171
1967

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

*Министерства просвещения Грузинской ССР*

**4**

აპრილი

თბილისი — 1967

ეროვნული
ბიბლიოთეკა

F 3189.

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 11 მარტის ბრძანება № 329

## გლდანის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის სპეციალურ სპორტულ საშუალო სკოლა-ინტერნატად გარდაქმნის შესახებ

სადირექტივო ორგანოების დადგენილების რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა სპორტულ სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ზომების შესახებ შესრულების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 1967—1968 სასწავლო წლიდან გლდანის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი გარდაიქმნას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს № 2 სპეციალურ სპორტულ საშუალო სკოლა-ინტერნატად. ამასთან დაკავშირებით ამჟამად არსებულ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპეციალურ საშუალო სპორტულ სკოლა-ინტერნატს ამიერიდან ეწოდოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს № 1 სპეციალური სპორტული საშუალო სკოლა-ინტერნატი.

2. № 2 სპეციალურ სპორტულ საშუალო სკოლა-ინტერნატში შემოღებულ იქნეს სპორტის შემდეგი სახეები—1967—1968 სასწავლო წლიდან: ტანვარჯიში, ჩოგბურთი და ფარიკაობა, ხოლო 1968—1969 სასწავლო წლიდან—ცურვა.

3. 1967—1968 სასწავლო წლისათვის № 2 სპეციალური საშუალო სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთა კონტინგენტი განისაზღვროს შემდეგნაირად: 3—მეოთხე კლასი 100 მოსწავლით, 2—მეხუთე კლასი 70 მოსწავლით, 2—მეექვსე კლასი 70 მოსწავ-

საქართველოს სსრ. სახ. საბ. საბჭოს
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

ლიო, 2—მეშვიდე კლასი 70 მოსწავლით და 1—მერვე კლასი 30 მოსწავლით, სულ 10 კლასი—340 მოსწავლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ ამხ. მ. ნ. ქოჩაკიძემ შეისწავლოს № 2 რესპუბლიკური სპორტული საშუალო სკოლა-ინტერნატის ცურვისა და ტანვარჯიშისათვის საჭირო სპორტული ბაზებით (საცურაო აუზი და სპორტული დარბაზი) უზრუნველყოფის საკითხი და მ/წლის 15 აპრილამდე წარმოუდგინოს კოლეგიას სათანადო წინადადებანი.

5. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ:

ა) გლდანის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები გადაიყვანოს რესპუბლიკის სხვა სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში;

ბ) კადრების, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებებთან ერთად № 2 სპეციალური სპორტული საშუალო სკოლა-ინტერნატი დააკომპლექტოს შესაფერისი მუშაკებით.

6. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ უზრუნველყოს № 2 სპეციალური სპორტული საშუალო სკოლა-ინტერნატის დაკომპლექტება აღსაზრდელებით 1966—1967 სასწავლო წლის დამთავრებამდე.

7. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ: ა) რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოუყოს № 2 სპეციალურ სპორტულ საშუალო სკოლა-ინტერნატს მწვრთნელთა ხელფასის დასაფარავად, სპორტული ინვენტარის შესაძენად და სასწავლო ხარჯებისათვის თანხები;

ბ) სპეციალური სკოლა.ინტერნატების სახელოსნოების 1966 წლის მოგებიდან გამოყოს დასახელებული სკოლა-ინტერნატის კეთილმოწყობისათვის საჭირო თანხები; კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ უზრუნველყოს კეთილმოწყობითი სამუშაოებისათვის ტექდოკუმენტაციის მომზადება.

8. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ 1967 წლის სახალხო მეურნეობის გეგმით სკოლა-ინტერნატებისათვის გამოყოფილი 2 ავტობუსი გადასცეს № 2 სპეციალურ სპორტულ საშუალო სკოლა-ინტერნატს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 10 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

3. პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტთან ერთად, მ/წლის მეორე კვარტალში ჩაატაროს სკოლამდელ მუშაკთა ერთკვირიანი სემინარი მცხეთის, ხობის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებში.

4. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაბალ დონეზე დაყენებისათვის, დღის რეჟიმის დარღვევისა, მენიუ-მოთხოვნილებათა გაუფორმებლობისა და საბავშვო ბაღში დაშვებული უსუფთაობისათვის მცხეთის № 1 საბავშვო ბაღის გამგეს ე. პაპიაშვილს მიეთითოს.

5. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (უფროსი ამხ. ს. არველიძე) უმოკლეს დროში უზრუნველყოს სკოლამდელი დაწესებულებები საჭირო ინვენტარით, სასწავლო ნივთებით და სათამაშოებით.

6. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (უფროსი ამხ. გ. აბდუშელიშვილი) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 17 მარტის კოლეგიის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ინტერნატში 57-ით ნაკლები, სოხუმის № 2 სკოლა-ინტერნატში 38-ით ნაკლები, ბაბუშერას რვაწლიან სკოლა-ინტერნატში 34-ით ნაკლები, ბათუმის რვაწლიან სკოლა-ინტერნატში 36 ით ნაკლები, ბოგდანოვკის რვაწლიან სკოლა-ინტერნატში 43-ით ნაკლები, გეგეჭკორის სკოლა-ინტერნატში 48-ით ნაკლები, ბოდბის სკოლა-ინტერნატში 30 აღსაზრდელით ნაკლები, ლაჯანურის სკოლა-ინტერნატში 37-ით ნაკლები, განთიადის № 2 სკოლა-ინტერნატში 27 აღსაზრდელით ნაკლები და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა-ინტერნატებში შეფასებული 20716 აღსაზრდელიდან ყველა საგანში ასწრებს 18174 აღსაზრდელი, ვერ ასწრებს 2542. საერთო მოსწრება 87,7%-ს შეადგენს; დაბალი აკადემიური მოსწრება აქვს მარნეულის სკოლა-ინტერნატს—ასწრებს მოსწავლეთა მხოლოდ 73%, ახალქალაქის სკოლა-ინტერნატს—75.6, ბოგდანოვკის სკოლა-ინტერნატს—76%, ბაბუშერას სკოლა-ინტერნატს—77% და ა. შ.

არ არის შესრულებული სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტის გეგმა საბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში. მათში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4725 აღსაზრდელისა, 1967 წლის 1 იანვრისათვის ირიცხებოდა 4309 აღსაზრდელი, 416 აღსაზრდელით ნაკლები; შეფასებული 3792 აღსაზრდელიდან ყველა საგანში ასწრებს 3519 აღსაზრდელი ე. ი. 92%.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული ცალკეული საგნების სწავლება ქუთაისის საშუალო სკოლა-ინტერნატში. მესამე კლასის მოსწავლეები (მასწ. ლ. ნუცუბიძე) ვერ ამჟღავნებენ განვლილი მასალის ცოდნას არითმეტიკაში. დაბალ დონეზე დგას მათემატიკის სწავლება V—X კლასებში (მასწავლებლები ე. ბენიაძე, ნ. ფუტკარაძე, გ. ნიკოლაძე, ე. მიმინოშვილი). სერიოზული ნაკლოვანებით ხასიათდება ქიმიის სწავლებაც (მასწ. ლ. მაღლაფერიძე); ნაკლები ყურადღება ექცევა ქიმიაში დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების გამომუშავებას. არ სწარმოებს განვლილი მასალის გამეორება. სუსტად მუშაობს ამ სკოლა-ინტერნატის რუსული სექტორის მესამე კლასის ქართული ენის მასწავლებელი რ. აბდალაძე.

ძალზე დაბალი აკადემიური მოსწრებაა დუშეთის სკოლა-ინტერნატის ზოგიერთ კლასში; აქ VIII კლასის 28 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 14, ხოლო IX კლასის 36 მოსწავლიდან—12 მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგი სკოლა-ინტერნატები არ არის უზრუნველყოფილი საეხელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით და აგრეთვე აღსაზრდელთა ტანსაცმელ-ფეხსაცმელით.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა გეგეჭკორის საბავშვო სახლის I, II და III რუსულ საალმზრდელო ჯგუფებში, აღმზრდელები ნ. გეგია, მ. ბოკუჩავა, მ. კვესელავა, შ. გვილავა, ლ. გვილავა, გ. ფაცია, რუსული ენის უცოდინარობის გამო აღსაზრდელებთან ლაპარაკსაც კი ერიდებიან. ისინი ვერ ატარებენ აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებს. ვერავითარ კონტროლსა და დახმარებას ვერ უწევენ აღსაზრდელებს თვითმომზადების დროს. ჭიათურის საბავშვო სახლის აღმზრდელთა ერთი ნაწილი ვერ ახერხებს საალმზრდელო გეგმების სწორად შედგენას; გეგმები გადატვირთულია რეჟიმული მომენტებით, შესასრულებელი საკითხები არ არის დასმული კონკრეტულად და სხვ.

წითელწყაროს სკოლა-ინტერნატში აღსაზრდელთა საცხოვრებელი პირობები ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს: საძინებელ კორპუსში ანტიჰიგიენური მდგომარეობაა. აღსაზრდელებს არა აქვთ არც საერთო და არც ჯგუფების მიხედვით გამოყოფილი საგარდერობო ოთახები, რის გამოც ბავშვები გამონაცვალ დასვრილ ტანსაცმელს იქვე საწოლებთან სკამებზე ჰკიდებენ; საწოლებს ქვეშ ყრია ნაგავი და იატაკის საწმენდი ჩვრები; მოუვლელია ელექტროგაყვანილობა; ნაკლები ყურადღება ექცევა მერხებისა და მაგიდების მოვლა-პატრონობას.

ცხაკაიას სკოლა-ინტერნატში საძინებელ ოთახებში, სახურავის დაზიანების გამო წყალი ჩამოდის; ნაწილი ფანჯრებისა არ იხურება, ზოგ ოთახში ჩამტვრეულია მინები, რის გამოც არ არის დაცული ნორმალური ტემპერატურა. აღსაზრდელთა ერთ ნაწილს არ გააჩნია პირადი ჰიგიენის ნივთები: ჯაგრისი, კბილის ფხვნილი, საპონი; მოუწესრიგებელია აბანო, არა აქვთ ტანისამოსის საკიდები, სკამები, ხის საფენები; აღსაზრდელები არ არიან უზრუნველველყოფილი რბილი და მაგარი ინვენტარით; არადამაკმაყოფილებელია აღსაზრდელთა კვება.

ახმეტის სკოლა-ინტერნატში მოუვლელია სასკოლო ინვენტარი, არ მუშაობს ცენტრალური გათბობის სისტემა, აბანო-სამრეცხაო; დაუდევრობის შედეგად მწყობრიდან გამოსულია საქვაბე დანადგარები. არაა მოწყობილი იზოლატორი. გათბობის უქონლო-

ბისა და საბედიცინო პერსონალის უყურადღებობის შედეგად ადგილი ჰქონდა აღსაზრდელების ავადმყოფობის შემთხვევებს. ინტერნატის შენობა-ნაგებობებში, სასადილოში, სამზარეულოში საძინებელ და საკლასო ოთახებში არ არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები; ნაკლები ყურადღება ექცევა მოსწავლეთა პირადი ჰიგიენის დაცვას. ამავე ინტერნატში ცუდად არის დაყენებული აღსაზრდელთა კვების საქმე. გასული წლის სექტემბრიდან მიმდინარე წლის თებერვლის ჩათვლით აღსაზრდელებისათვის არ მიუციათ ნორმით გათვალისწინებული მთელი რიგი პროდუქტები. დაბალ დონეზე დგას ინტერნატში კულტურულ-მასობრივი მუშაობა. არ მუშაობს რადიოკვანძი, ტელევიზორი; საპროგრამო მასალის გავლის დროს არ ეწყობა ექსკურსიები მახლობელ და შორეულ ადგილებში ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად. აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებით—აკლიათ 9 დასახელების 625 ცალი წიგნი. მასწავლებლების უმრავლესობა სწავლების დროს არ იყენებს თვალსაჩინოებას, არ ნერგავს მოსწავლეებში დამოუკიდებელი შრომის ჩვევებს. პედსაბჭოს სხდომებზე იშვიათად იხილება აღმზრდელობითი მუშაობისა და ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობა.

ამავე ინტერნატის $V^2$ კლასში (მასწავლებელი ლ. ბუჩუკური) არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა, დაბალი აკადემიური ცოდნა გამოამჟღავნეს ქართული ენის გრამატიკაში $VI^1$ და VII კლასის მოსწავლეებმა (მასწ. რ. შარმიაშვილი), არადამაკმაყოფილებლად ისწავლება აგრეთვე უცხო ენა V—VIII კლასებში (მასწ. თ. ჩეკურიშვილი).

ბოგდანოვკისა და კირნათის სკოლა-ინტერნატებსა და ასპინძის საბავშვო სახლში (დირექტორები რ. კარსლიანი, დ. მახარაძე, პ. ბერიძე) მატერიალურ ფასეულობათა დროულად აღრიცხვას და საბუღალტრო საბუთების გაფორმებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა; არ წარმოებს მიმწოდებელ ორგანიზაციებთან ანგარიშების შედარება და სათანადო აქტების გაფორმება, არ ხდება თვის ბოლოს პროდუქტების საწყობის აღწერა და საბუღალტრო ჩანაწერებთან შედარება. მატერიალურ პასუხისმგებელ პირებზე სუსტი კონტროლის შედეგად ადგილი აქვს პროდუქტების დანაკლისებს და ზედმეტობას.

სკოლა-ინტერნატების ნაწილი დროულად ვერ მოემზადა ზამთრისათვის. ბოდბის სკოლა-ინტერნატის ახლად დამთავრებულ საძინებელ კორპუსში სამუშაოების უხარისხოდ შესრულების გამო არ იკეტება კარ-ფანჯრები, უხარისხოდაა მოწყობილი სველი წერტილებიც, დაზიანებულია სახურავი, სასწავლო კორპუსი დღემდე შეულესავია. ჯერ კიდევ სათანადო კავშირი არ არის დამყარებული საბავშვო სახლებსა და მათ მომსახურე სკოლებს შორის.

ზოგ სკოლა-ინტერნატსა და საბავშვო სახლში ზუსტად მუშაობენ მზრუნველთა საბჭოები; ნაკლები ყურადღება ექცევა აღსაზრდელთა თვითმომსახურებასა და მათში შრომითი ჩვევების გამომუშავების საქმეს; სათანადო ყურადღება არ ექცევა აღსაზრდელთა პირად ჰიგიენას, ჩაცმულობას, ტანსაცმლის მოვლასა და დაცვას.

ბევრ ინტერნატში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მოწინავე გამოცდილების განზოგადების მხრივ. მუშაობის საუკეთესო ნიმუშები ნაკლებად ინერგება პრაქტიკაში.

რიგი რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებები ჯერ კიდევ არ ახორციელებენ სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატების მუშაობაზე სათანადო კონტროლს. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას გასული წლის 25 ნოემბრის № 1324 ბრძანებით დავალებული ჰქონდა სპეციალურად შეესწავლა ბოდბის, ლანჩხუთის, ქუთაისის, გეგეჭკორის, კიცხის, სალხინოსა და ყვარლის სკოლა-ინტერნატებში წყალსადენის, კანალიზაციის, ცენტრალური გათბობისა და რემონტთან დაკავშირებული სხვა საკითხები და შესწავლის შედეგები მოეხსენებინა კოლეგიისათვის 1966 წლის 10 დეკემბრამდე, რაც დღემდე შეუსრულებელია.

სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და ყველა რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებათა გამგეებმა გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთა კონტინგენტის გეგმის შესრულებისათვის.

2. სკოლა ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა ინტერნატების დირექტორებმა:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა და აღმზრდელთა მუშაობაზე, სისტემატურად მოისმინონ გაკვეთილები, შეისწავლონ აღმზრდელთა მუშაობა და მიაღწიონ აღმზრდელ-მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნების სრულყოფასა და სწავლა-აღზრდის მაღალ დონეზე დაყენებას;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციის საქმეს, უზრუნველყონ ნორმით გათვალისწინებული პროდუქტების სრულად მიღება და დანიშნულებისამებრ მიწოდება. ჯეროვანი ყურადღება დაუთმონ სასაწყობო მეურნეობისადმი კონტროლს, მოაგვარონ ანგარიშგება-აღრიცხვის საქმიანობა.

გ) სათანადო ყურადღება მიაქციონ მზრუნველთა საბჭოს მუშაობას, როგორც ორგანოსი, რომელიც ხელს უწყობს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მთელი მუშაობის გაუმჯობესებას.

3. განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მკაცრად დასაჯონ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების დირექტორები, მათი თანაშემწეები სამეურნეო ნაწილში და სხვა მუშაკები, სასწავლო და საძინებელ კორპუსებში არსებული უსუფთაობისა და სხვა უწესრიგობის გამო და აგრეთვე შემოწმების პროცესში გამოვლინებული სხვა დარღვევებისათვის;

ბ) მიმდინარე წლის ბოლომდე შეისწავლონ ამ ბრძანებაში აღნიშნული მასწავლებლების მუშაობა და შემოწმების მასალების მიხედვით იმსჯელონ მომავალში მათი სამუშაოზე დატოვების შესახებ.

4. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (უფროსი ს. არველაძე) უზრუნველყოს სკოლა-ინტერნატები და საბავშვო სახლები საჭირო რაოდენობის სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ დროულად უზრუნველყოს ტექნიკური დოკუმენტაციით და საშენი მასალით ის ობიექტები, რომლებიც ატარებენ შენობა-ნაგებობათა კაპიტალურ რემონტს.

6. ახმეტისა და ცხაკაიას რაიონების განათლების განყოფილების გამგეებმა (ს. სალაძე, კ. შარტავა) განათლების განყოფი-

ლებათა საბჭოების სხდომებზე განიხილონ ახმეტისა და ცხადაფარის სკოლა-ინტერნატების მუშაობის შემოწმების შედეგები, დასახონ და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი და მიღებული ზომების შესახებ აცნობონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მ/წლის 15 აპრილამდე.

7. მიღებულ იქნას ცნობად, რომ აღსაზრდელთა მოვლა-პატრონობის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებისათვის წითელწყაროს სკოლა-ინტერნატის დირექტორი ს. გოგოშვილი განთავისუფლებულია სამუშაოდან, ხოლო დუშეთის სკოლა ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგები მოსმენილია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების საზოგადოებრივი საბჭოს სხდომაზე და დასახულია სათანადო ღონისძიებანი.

8. დაევალოს კადრების განყოფილებას (ი. კვაჭაძეს) სასწავლო წლის ბოლომდე გეგეჭკორის განათლების განყოფილებასთან ერთად, გეგეჭკორის საბავშვო სახლი დააკომპლექტოს რუსული ენის მცოდნე კვალიფიციური მუშაკებით.

9. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 10 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 16 მარტის ბრძანება № 354

### სპორტული ბაზების კეთილმოწყობისა და მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მშენებლობის ერთთვიურის შედეგების შესახებ

აღვნიშნავთ, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს სსრ სპორტკავშირის პრეზიდიუმის 1966 წლის 6 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად 1966 წლის 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე ჩატარდა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სპორტული ბაზების კეთილმოწყობისა და მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მშენებლობის ერთთვიური. ამ დადგენილების შესრულებისათვის გარკვეული მუშაობა იქნა ჩატარებული სახალხო განათლების განყოფილებების, სპორტკავშირების, სკოლების ხელმძღვანელებისა და შეფი-ორგანიზაციების მიერ.

ზემოხსენებული ღონისძიების განხორციელების შედეგად სკოლებს შეემატა: სპორტული დარბაზი—16, შეგუებული სპორტული ოთახი—7, ჩოგბურთის მოედანი—4, კომპლექსური სპორტული მოედანი—5, მარტივი ტიპის სპორტული მოედანი—68, ხელბურთის მოედანი—69, ფეხბურთის მოედანი—80, კალათბურთის მოედანი—168, ფრენბურთის მოედანი—178, მძლეოსნობის სექტორი—102, საჭიდაო მოედანი—8, სასროლო სტენდი—2.

სასკოლო სპორტული კეთილმოწყობისა და სპორტული მოედნების მშენებლობის ერთთვიურმა გვიჩვენა, რომ იმ სკოლებში, სადაც აღნიშნული ღონისძიების შესრულებას ენერგიულად მოჰკიდეს ხელი, სასურველი შედეგიც მიიღეს (შეკეთდა არსებული სპორტული მოედნები, კეთილმოეწყო დარბაზები, სასკოლო სახელოსნოებში საკუთარი ძალებით დამზადდა აუცილებელი სასპორტო ინვენტარი და სხვ.).

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სპორტული ბაზების განმტკიცების მიზნით 1966 წლის 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე ჩატარებული სპორტული ბაზების კეთილმოწყობისა და მარტივი ტიპის სპორტული მოედნების ერთთვიურის შედეგები დამტკიცდეს.

2. ჩატარებული ერთთვიურის შედეგების მიხედვით საუკეთესო მაჩვენებლების მქონე სკოლები, დირექტორები, ფიზკულტურის აქტივი და შეფი-ორგანიზაციები დაჯილდოვდნენ სიგელებით (სია თან ერთვის).

3. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს და შესაბამის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოებს:

ა) სასკოლო სპორტული ბაზების განმტკიცების მიზნით 1967 წლის 20 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე ჩაატარონ დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების სპორტული ბაზების კეთილმოწყობისა და მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მშენებლობის ერთთვიური;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლის საზეინკლო და სადურგლო სახელოსნოებში საკუთარი და შეფი-ორგანიზაციების ძალებით თვითნაკეთი სპორტული ინვენტარის (ტანვარჯიშული სკამების, კედლების, კიბეების, ჯოხების, დვირის, ლატანის, სახტომი დგარების, ბოგის, კალათბურთის ფარებისა და სხვ.) დამზადებას;

გ) დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის თითოეულ დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლასთან მოაწყონ ნორმალური ზომის სპორტული მოედანი, მძლეოსნური სექტორი და სკოლები უზრუნველყონ აუცილებელი სპორტული ინვენტარით;

დ) სპორტული ბაზების კეთილმოწყობისა და მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მშენებლობის ერთთვიურში გამარჯვებული სკოლები და მათი ხელმძღვანელები დასაჯილდოებლად წარმოადგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სპორტკავშირში 1967 წლის 1 ნოემბრისათვის.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ი. ბაცელაშვილი) და საქართველოს სსრ სპორტკავშირის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებამ (ა. დოკვაძე) თვალყური ადევნონ ამ ბრძანების შესრულებას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს სსრ სპორტკავშირის პრეზიდიუმის 1967 წლის 17 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

საქართველოს სსრ სპორტკავშირის თავმჯდომარე **გ. ხიხარულიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**სპორტული ბაზების კეთილმოწყობისა და მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მშენებლობის ერთთვიურში გამარჯვებული სკოლების დირექტორების, ფიზკულტურული აქტივისა და შეფი ორგანიზაციების სიგელებით დაჯილდოებულთა**

## ს ი ა

1. თბილისის 129-ე საშუალო სკოლის დირექტორი ა. ი. შარაშენიძე, ფიზიკური კულტურის მასწავლებელი კ. ი. ჩხეიძე.

2. თბილისის 57-ე საშუალო სკოლის დირექტორი ა. ვ. კოროხაშვილი.

3. თბილისის მე-19 საშუალო სკოლის დირექტორი ი. ნ. ხაჩიძე, ფიზკულტურის მასწავლებელი დ. მ. ქართველიშვილი.

4. თბილისის 65-ე საშუალო სკოლის დირექტორი გ. შ. ჩალაური, ფიზკულტურის მასწავლებელი დ. ოსიტაშვილი.

5. თბილისის 42-ე საშუალო სკოლის დირექტორი ო. მ. ღალანიძე, ფიზკულტურის მასწავლებლები გ. მ. არჩვაძე და თ. პარკაია.

6. თბილისის 111-ე საშუალო სკოლის დირექტორი ე. ა. ციცქიშვილი, ფიზკულტურის მასწავლებელი ვ. ფეტვიაშვილი.

7. თბილისის 37-ე საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლები ვ. ა. ბახტიანი, ზ. ი. ბაქრაძე და ი. ა. კოშაძე.

8. თბილისის 98-ე საშუალო სკოლის დირექტორი ვ. ვ. ბრეშკოვი, ფიზკულტურის მასწავლებელი პ. დ. კაპრანოვი.

9. შუახევის საშუალო სკოლის დირექტორი ა. მიქელაძე, ფიზკულტურის მასწავლებელი ხ. მიქელაძე.

10. ტყვარჩელის № 5 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში სამოილენკო, ფიზკულტურის მასწავლებელი კორძაია.

11. ტყვარჩელის № 1 საშუალო სკოლის დირექტორი კ. კ. მინჯია.

12. აბაშის რაიონის სეფიეთის საშუალო სკოლის დირექტორი გ. ნ. ჩაგანავა, ფიზიკური კულტურის მასწავლებელი ვ. ა. ნადარეიშვილი.

13. ქუთაისის მე-14 საშუალო სკოლის დირექტორი პ. დ. ბენიაშვილი, ფიზკულტურის მასწავლებლები კ. მ. ჯაოშვილი და ვ. ე. მიქელაძე, სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვ. ა. მანჯგალაძე.

14. ახალციხის რაიონის ვალის № 1 საშუალო სკოლის დირექტორი გ. ივანიძე.

15. ქ. გორის X საშუალო სკოლის დირექტორი ო. შ. კლიმიაშვილი, ფიზიკური კულტურის მასწავლებელი ა. ცხოვრებაძე.

16. ტყიბულის რაიონის ორპირის საშუალო სკოლის დირექტორი ნ. კ. მასხარაშვილი, ფიზიკური კულტურის მასწავლებელი დ. ნ. მახვილაძე.

17. ახმეტის № 1 საშუალო სკოლის დირექტორი ნ. ა. პეტრიაშვილი, ფიზიკური კულტურის მასწავლებლები გ. ი. ჭიღიტაშვილი და ი. შ. გიგაური.

18. ბოლნისის რაიონის სოფ. კაზარეთის რუსული რვაწლიანი სკოლის დირექტორი ვ. ბ. უჩანეიშვილი.

19. გეგეჭკორის რაიონის სერგიეთის საშუალო სკოლის ფიზიკური კულტურის მასწავლებელი ქ. ს. ჭილაია.

20. გორის რაიონის სოფ. ქახვრელის საშუალო სკოლის დირექტორი კ. გ. სადაღაშვილი, ფიზიკური კულტურის მასწავლებელი ა. გ. მირუაშვილი.

21. გორის რაიონის განათლების განყოფილების გამგე—ა. რ. ჩხეიძე

22. ასპინძის რაიონის იდუმალის საშუალო სკოლის დირექტორი ვ. აბულაძე, ფიზიკური კულტურის მასწავლებელი ნ. გიორგაძე.

23. ახალქალაქის რაიონის, გომანის რვაწლიანი სკოლის დირექტორი ა. სარქისიანი, ფიზიკური კულტურის მასწავლებელი კირაკოსიანი.

24. გურჯაანის რაიონის მელაანის საშუალო სკოლის დირექტორი გ. გ. ნათიძე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲯ. ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Ⅰ-3189

25. ვანის ს. მ. კიროვის სახ. საშუალო სკოლის დირექტორი მ. მესხი, ფიზკულტურის მასწავლებლები ა. ნიკოლეიშვილი და შ. მაღლაკელიძე.

26. დუშეთის № 1 საშუალო სკოლის დირექტორი ვ. ი. ტუნტურიშვილი, ფიზკულტურის მასწავლებელი ბ. ზ. სვიანაიძე.

27. დუშეთის № 2 საშუალო სკოლის დირექტორი ო. ნ. ოთარაშვილი, ფიზკულტურის მასწავლებელი რ. მ. ოთარაშვილი.

28. დმანისის რაიონის გომარეთის საშუალო სკოლის დირექტორი ვ. მუჯირიშვილი.

29. ზუგდიდის № 1 საშუალო სკოლის დირექტორი შ. ხუბულავა, ფიზკულტურის მასწავლებლები თ. ჭითანავა და ა. დიდიშვილი.

30. ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილების გამგე მ. ნარმანია.

31. ზუგდიდის ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი გ. გ. ლოგუა.

32. კასპის რაიონის ქვ. ხანდაკის რვაწლიანი სკოლის დირექტორი ი. ნადირაძე.

33. მაიაკოვსკის რ-ნის ე. ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლის ფიზიკური კულტურის მასწავლებელი გ. სოფრომაძე.

34. ორჯონიკიძის რ-ნის კიცხის საშუალო სკოლის დირექტორი ფ. გელაშვილი.

35. ონის რ-ნის უწერის საშ. სკოლის დირექტორი ლ. მეტრეველი, ფიზიკური კულტურის მასწავლებელი ბ. ჯაფარიძე.

36. თელავის რაიონის წინანდლის საშუალო სკოლის დირექტორი ა. შიუკაშვილი, ფიზკულტურის მასწავლებლები მ. მაისურაძე და ა. ვეფხიშვილი.

37. თერჯოლის რ-ნის ნახშირღელის საშუალო სკოლის დირექტორი გ. ე. კახიძე, ფიზკულტურის მასწავლებელი ლ. ი. ჯიშიაშვილი.

38. თერჯოლის რ-ნის ზედასიმონეთის საშუალო სკოლის დირექტორი გ. ი. ურიადმყოფელი, ფიზკულტურის მასწავლებლები კ. ს. სულამანიძე და ო. ი. გვენეტაძე.

39. თეთრიწყაროს რ-ნის ბოგვის საშუალო სკოლის დირექტორი ვ. ა. ტყეშელაშვილი, ფიზკულტურის მასწავლებელი დ. ს. ღარიბაშვილი.

40. ზესტაფონის № 1 საშუალო სკოლის დირექტორი ა. ერ-ლომიძე, ფიზკულტურის მასწავლებელი ბ. ა. ბარამაძე.

41. ზესტაფონის № 2 საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი შ. ა. გეწაძე.

42. ზესტაფონის № 3 საშუალო სკოლის დირექტორი ბ. ს. კუპატაძე.

43. ზესტაფონის რაიონის ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი ა. ა. კვესიტაძე.

44. ზესტაფონის რ-ნის სპორტკავშირის თავმჯდომარე კ. მ. ბაზაძე და საქართველოს ზესტაფონის ალკკ რაიკომის პირველი მდივანი თ. მ. კაკოჩაშვილი.

45. მესტიის რაიონის ბეჩოს საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი მ. წერედიანი.

46. გარდაბნის რ-ნის დაბა სამგორის საშუალო სკოლის დირექტორი გ. ნ. მეფისაშვილი, ფიზკულტურის მასწავლებელი ვ ვ. ნუცუბიძე.

47. გარდაბნის რაიონის ვარკეთის რვაწლიანი სკოლის დირექტორი მ. ი. რამიშვილი, ფიზკულტურის მასწავლებელი ს. მ. ხელაშვილი.

48. ქ. ბათუმის № 10 საშუალო სკოლის დირექტორი დ. მამფორია, ფიზკულტურის მასწავლებელი გ. მეგრელიძე.

49. ქ. ბათუმის № 8 საშუალო სკოლის დირექტორი ნ. ვეკუა, ფიზკულტურის მასწავლებლები ა. ცოტაძე და ნ. ტილიფცევი.

50. ბათუმის რ-ნის ხელვაჩაურის საშუალო სკოლის დირექტორი მ. ბუაძე, ფიზკულტურის მასწავლებელი ი. ვაშალომიძე.

51. შუახევის რ-ნის უჩამბის საშუალო სკოლის დირექტორი მ. თურმანიძე, ფიზკულტურის მასწავლებელი ი. ველიაძე.

52. ქობულეთის № 1 საშუალო სკოლის დირექტორი ს. გოგიბერიძე, ფიზკულტურის მასწავლებლები გ. ჩახუნაშვილი და ნ. კილაძე.

53. ხულოს საშუალო სკოლის დირექტორი ვ. ბოლქვაძე, ფიზკულტურის მასწავლებელი მ. ქარცივაძე.

54. ქარელის რ-ის აბისის საშუალო სკოლის დირექტორი შ. ვ. ნოზაძე.

55. ქარელის რვაწლიანი სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ჯ. შ. სიქტურაშვილი.

56. ლაგოდეხის რუსული საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლები უ. მ. კურტანიძე და ბ. მ. ხარაიშვილი.

57. ლანჩხუთის რაიონის შუხუთის საშუალო სკოლის დირექტორი ა. ი ხომერიკი.

58. ლენტეხის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლები ა. ე. გუგავა და ნ. მ. ონიანი.

59. მახარაძის მესამე საშუალო სკოლის დირექტორი ტ. გ. დოლიძე, ფიზკულტურის მასწავლებელი ი. ვადაჭკორია.

60. მცხეთის რაიონის მუხრანის საშუალო სკოლის დირექტორი მ. ავანაშვილი, ფიზკულტურის მასწავლებელი შ. ტატიშვილი.

61. საგარეჯოს რაიონის კაკაბეთის საშუალო სკოლის დირექტორი ლ. ა. კარტოზია, ფიზკულტურის მასწავლებელი ა. ა. გულადაშვილი.

62. საგარეჯოს რ-ის გომბორის საშუალო სკოლის დირექტორი ჯ. მ. გულისაშვილი, ფიზკულტურის მასწავლებელი ა. პ. გრებკოვი.

63. სამტრედიის რაიონის ღანირის საშუალო სკოლის დირექტორი მ. რ. ჯიბლაძე, ფიზკულტურის მასწავლებელი დ. ბ. მიქაძე.

64. საჩხერის რაიონის სოფ. ჩიხის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი გ. კ. მაჭავარიანი.

65. სიღნაღის რ-ის, წნორის რუსული საშუალო სკოლის დირექტორი მ. ხ. კირაკოზოვა, ფიზკულტურის მასწავლებელი შ. მ. სიყმაშვილი.

66. წყალტუბოს № 1 საშუალო სკოლის დირექტორი ო. ა. მხეიძე, ფიზკულტურის მასწავლებელი მ. ზარნაძე.

67. ჩოხატაურის რ-ის ბუკისციხის საშუალო სკოლის დირექტორი ა. ი. სიხარულიძე, ფიზკულტურის მასწავლებელი ი. ა. მგალობლიშვილი.

68. ჩხოროწყუს რაიონის მუხურის საშუალო სკოლის დირექტორი კ. ჩიქოვანი, ფიზკულტურის მასწავლებელი ქ. კვარაცხელია.

69. ხაშურის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი თ. ნ. ცინცაბაძე, ფიზკულტურის მასწავლებელი კ. ვ. აბაშიძე.

70. ხაშურის რ-ის სურამას პირველი საშუალო სკოლის დირექტორი ა. ი. ტაბიძე, ფიზკულტურის მასწავლებელი შ. ვ. ლურსმანაშვილი.

71. ხაშურის რაიონის ქვიშხეთის საშუალო სკოლის დირექტორი გ. ი. მანჩხაშვილი, ფიზკულტურის მასწავლებლები ა. ნ. რობაქიძე და ვ. ნ. ენჯიბაძე.

72. ხაშურის რ-ის ვაყის საშუალო სკოლის დირექტორი დ. გ. ტეფნაძე, ფიზკულტურის მასწავლებელი შ. ი. გელაშვილი.

73. ცხკააიას რ-ის ნაქალაქევის საშუალო სკოლის დირექტორი ჟ. ვ. გვათუა, ფიზკულტურის მასწავლებელი ნ. ს. ბესელია.

74. ცხაკაიას რ-ის ძველი სენაკის საშუალო სკოლის დირექტორი ი. მიქაძე, ფიზკულტურის მასწავლებელი ა. ესებუა.

75. თიანეთის რაიონის სოფ. ზარიძეების რვაწლიანი სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი გ. შ. სუარიშვილი.

76. ხობის რ-ის I-ლი მაისის საშუალო სკოლის დირექტორი ვ. ბ. ბუკია, ფიზკულტურის მასწავლებელი ა. თ. ზარანდია.

77. ხობის რ-ის ხამისქურის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ვ. ნ. ვაშაკიძე.

78. ხობის რ-ის შუა ხორგის საშუალო სკოლის დირექტორი ა. ე. ქარჩავა, ფიზკულტურის მასწავლებელი ვ. ვ. ლიპარტია.

79. ცაგერის რ-ის ოყურეშის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი კ. გასვიანი.

80. წალენჯიხის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი ს. თ. კაკაჩია, ფიზკულტურის მასწავლებელი მ. მ. შელია.

81. წალკის რ-ის სოფ. აშკალინის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ს. პასენოვი.

82. წითელწყაროს სკოლა-ინტერნატის დირექტორი ს. გოგოშვილი, ფიზკულტურის მასწავლებელი გ. ბოსტაშვილი.

83. წულუკიძის რაიონის ივანდიდის საშუალო სკოლის დირექტორი ბ. ა. ჭოლოკავა, ფიზკულტურის მასწავლებელი ნ. პ. სანოძე.

84. წულუკიძის № 3 საშუალო სკოლის დირექტორი ა. ს. ძიძავა, ფიზკულტურის მასწავლებელი გ. კ. წიკწიკავაძე.

85. ცხაკაიას მეორე საშუალო სკოლის დირექტორი ნ. გ. გუგუნავა, ფიზკულტურის მასწავლებელი თ. გ. ჩიქობავა და ო. მ. გვაძაბია.

86. ცხაკაიას რაიონის სოფ. უმაფათის საშუალო სკოლის დირექტორი ი. ბ. გოგინავა, ფიზკულტურის მასწავლებელი გ. კ. დუდუჩავა.

87. ჯავის სკოლა-ინტერნატის დირექტორი ი. ტ. კოჩიევი, ფიზკულტურის მასწავლებელი ვ. ი. ბეჟანოვი.

88. ცხინვალის № 5 საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ი. ვ. ტიგიევი.

89. ცხინვალის № 6 საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ვ. ფ. ქელეხსაევი.

90. ცხინვალის რაიონის ზარცემის საშუალო სკოლის დირექტორი ი. ზ. მაისურაძე.

91. ლენინგორის საშუალო სკოლის დირექტორი ო. ი. ჩიბირაშვილი.

92. ლენინგორის რაიონის ლარგვისის საშუალო სკოლის დირექტორი ე. ი. დურგლიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 17 მარტის ბრძანება № 360

### მცხეთის, ხობის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონების სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა რესპუბლიკის მრავალ სკოლამდელ დაწესებულებაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და განმტკიცდა მათი ნივთიერი ბაზა, მცხეთის, ხობის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონების სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობაში კვლავ აქვს ადგილი სერიოზულ ნაკლოვანებებს.

მცხეთის რაიონის ბევრ სკოლამდელ დაწესებულებაში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. აღმზრდელთა ერთი ნაწილის პედაგოგიური და იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონე დაბალია. ზოგიერთი აღმზრდელი არ ემზადება მეცადინეობისათვის, თვითნებურად არჩევს მასალას, გვერდს უვლის აღზრდის პროგრამას, რის გამოც მათ მიერ ჩატარებული მეცადინეობები მეთოდურად და პედაგოგიურად გაუმართავია.

მცხეთის რაიონის ქვემო ქანდის ხეხილის სანერგე მეურნეობის ერთჯგუფიანი საბავშვო ბაღის გამგემ (იგივე აღმზრდელი) ა. ნათაძემ, ისიც კი არ იცის, თვლა-ანგარიშის ელემენტებიდან რა ასწავლოს ბავშვებს. მითუმეტეს, ჯგუფი შერეულია და სხვადასხვა ასაკის ბავშვებისათვის სხვადასხვა მასალა უნდა შეირჩეს. ა. ნათაძეს არ აქვს პედაგოგიური განათლება, მას სავაჭრო ტექნიკუმი აქვს დამთავრებული.

ქსნის საბავშვო ბაღის აღმზრდელმა თ. ლილუაშვილმა მშობლიურ ენაში ვერ განსაზღვრა გადასაცემი მასალის მოცულობა და ერთ მეცადინეობაზე ბავშვებს გააცნო ყველა შინაური ცხოველისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ფრინველის ფიზიკური თვისებები და მათი სარგებლიანობა. გაამეორებინა ლექსები, შემდეგ გადავიდა წელიწადის დროს გაცნობაზე, რის გამოც მეცადინეობა გაჭიანურდა ერთ საათს, ნაცვლად 25 წუთისა. პედაგოგიური მომზადების დაბალი დონე გამოამჟღავნა ხობის ბაგა-ბაღის აღმზრდელმა გ. სხულუხიამ. მეცადინეობაზე „დეკორატიული ხატვა“ ჯგუფი არ იყო მომზადებული, აღმზრდელმა ვერ მისცა ბავშვებს სათანადო ნიმუში. მცხეთის საბავშვო ბაღის მუსიკის მასწავლებლის თ. უთნელიძის მიერ ჩატარებული მეცადინეობა მხოლოდ სიმღერებით შემოიფარგლა, ბავშვებს არ მოუსმენიათ მუსიკა, არ ჩატარებულა თამაშობანი და სხვ. საერთოდ შესწავლილი ბაღების მუსიკის მასწავლებლები არ იცნობენ პროგრამას და ბავშვებს სულ სხვა მასალებს აწვდიან, ვიდრე პროგრამით არის გათვალისწინებული. ხობის რაიონის უმრავლეს საბავშვო ბაღში კი მუსაკის მასწავლებლები სულაც არა ჰყავთ. ლაგოდეხის რაიონის ნინიგორის საბავშვო ბაღის აღმზრდელი ჟ. მანგოშვილი ბავშვებს სათანადო ცოდნასა და ჩვევებს ვერ აძლევს. აღმზრდელი ვერ ერკვევა რა განსხვავებაა ჩანაფიქრსა და დავალებით ხატვას შორის. ყვარლის რაიონის ოქტომბრის საბავშვო ბაღის აღმზრდელმა ლ. აჯიაშვილმა მეცადინეობა მშობლიურ ენაში—ზღაპარი „წითელქუდა“ გადასცა მეტად უინტერესოდ. ასეთივე მდგომარეობაა ლაგოდეხის № 2, 3 და ცოდნისკარის საბავშვო ბაღებში. ყვარლის № 2 საბავშვო ბაღის უფროსი ჯგუფის აღმზრდელმა რ. მზექალიშვილმა თვითნებურად შეცვალა სამუშაო გეგმა და აპლიკაციის ნაცვლად მეცადინეობა ძერწვაში ჩაატარა.

აღმზრდელთა უმრავლესობა სწორად ვერ აწარმოებს მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვას. მათ მიერ შედგენილი გეგმები სქემატური, ტრაფარეტული და ენობრივად გაუმართავია. სამუშაო გეგმებში არაა ასახული აღზრდის პროგრამის მოთხოვნები. მცხეთის რაიონის მიხაქციელის საბავშვო ბაღის აღმზრდელ ე. ბერიაშვილს, რომელიც სპეციალობით ექთანია, 3 იანვარს გეგმაში ნაცვლად ზამთრის დამახასიათებელი ნიშნების გაცნობისა, გათვალისწინებული ჰქონდა გაზაფხულის ნიშნების გაცნობა. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული აგეგმვა-აღრიცხვა მცხეთის რაიონის ნატახტარის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღში—აღმზრდელი მ. მტრედაძე; ძეგვის მეურნეობის საბავშვო ბაღში—აღმზრდელი ი. კოდინოვა; ხობის რაიონის კოლხეთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის № 2 საბავშვო ბაღში—აღმზრდელი ვ. ხურ-

ცია. მსგავსი მდგომარეობაა ლაგოდეხის და ყვარლის რაიონების შემოწმებულ საბავშვო ბაღებშიც. საბავშვო ბაღების გამგეების სამუშაო გეგმებიც ვერ პასუხობენ მოთხოვნებს: მცხეთის რაიონის ქსნის საბავშვო ბაღის გამგემ თ. დონაძემ გასული წლის სამუშაო გეგმაზე გადაასწორა წელი, თარიღი და მიმდინარე სასწავლო წელს იმავე გეგმით მუშაობდა. ხობის რაიონის კოლხეთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის № 2 საბავშვო ბაღის გამგეს ნ. საბახტარაშვილს გეგმაში გათვალისწინებული აქვს ისეთი საკითხები, რომელთა შინაარსი თვითონაც არ ესმის. სუსტია საბავშვო ბაღის გამგეების კონტროლი და ხელმძღვანელობა აღმზრდელების საქმიანობაზე. ისინი იშვიათად ესწრებიან აღმზრდელების მეცადინეობაზე, არ აანალიზებენ მათ მიერ ჩატარებულ მუშაობას და არ აძლევენ საჭირო მითითებებს. მცხეთის რაიონის № 1 საბავშვო ბაღის გამგეს ვ. პაპიაშვილს, რომელიც ამავე დროს რაიონის მეთოდგაერთიანებების ხელმძღვანელია, არ აქვს აღმზრდელთა მეცადინეობაზე დასწრებისა და გაანალიზების აღრიცხვა. არადამაკმაყოფილებელია ნოჯიხევის საბავშვო ბაღის გამგის ტ. ჭითანავას მუშაობა

შემოწმებული რაიონების სკოლამდელ დაწესებულებებში არასათანადო სიმაღლეზე დგას ბავშვთა ზნეობრივი აღზრდა. ბავშვებში არაა გამომუშავებული უფროსებისადმი მისალმების, სილამაზისა და სიფაქიზის ჩვევები. არ ექცევა საჭირო ყურადღება შენობების ინტერიერისა და ექსტერიერის გაფორმებას, ლაგოდეხის № 2 საბავშვო ბაღში (აღმზრდელები პოღოსოვა, გრიგალაშვილი) მოუწესრიგებელია კარადები, დამტვერიანებული სათამაშოები ერთიმეორეზეა მიყრილი, თვით აღმზრდელის მაგიდაზე ჭუჭყიანი ქსოვილია გადაფარებული. ძალზე დაბალი გემოვნებითაა გაფორმებული ჯგუფის ოთახები. მცხეთის რაიონის ჩარდახის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღში (გამგე მ. გრძელიშვილი) კედელზე გაკრულია წითელი და შავი დაფა წარწერებით „ვინ გვასახელებს", „ვინ გვარცხვენს", რაც პედაგოგიურად გაუმართლებელია. მისაქციელის საბავშვო ბაღში კი ჯგუფის კედელი სავსეა ფერადი ქაღალდებით ჟურნალ-გაზეთებიდან ამონაჭერი სურათებით, მაგიდებზე გადაფარებულია ძველი დახეული მუშამბები, რაც მეტად უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. მცხეთის რაიონის უმრავლეს საბავშვო ბაღში თანამშრომელთა ჩაცმულობასა და ქცევაში უდარდელობა იგრძნობა—ზოგიერთი აღმზრდელისა და ბავშვის ჩაცმულობა ვერ

აკმაყოფილებს ესთეტიკურ მოთხოვნებს. ანალოგიური მდგომარეობაა ხობის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებებში.

სასწავლო.აღმზრდელობით მუშაობაში აღნიშნული ნაკლოვანებანი მნიშვნელოვნად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ შემოწმებული რაიონების მეთოდური გაერთიანებები (ე. პაპიაშვილი—მცხეთა და ქ. ჩიკვაიძე—ლაგოდეხი) არ მუშაობენ სათანადოდ, არ იხილავენ მეთოდურ ლიტერატურასა და არ მსჯელობენ აღზრდის საკითხებზე, არ იმაღლებენ კვალიფიკაციას. სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის ნორმალურად წარმართვას დიდად უშლის ხელს ისიც, რომ უმრავლეს სკოლამდელ დაწესებულებაში შეუფერებელი განათლების მქონე კადრებია შერჩეული, განსაკუთრებით ითქმის ეს მცხეთის რაიონზე—აქ აღმზრდელებად მუშაობენ სავაჭრო ტექნიკუმდამთავრებული ა. ნათაძე და მ. მტრედაძე (ძველი ქანდისა და ნატახტარის საბავშვო ბაღები) ვეტექთანი—ნ. ურთაშვილი, ექთანები ე. ბერიშვილი (მისაქციელის ს/ბაღი) ო. ბასიშვილი (ნატახტარის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის ბაღი), თ. ლილუაშვილი (ქსანის ს/ბაღი), გარდა ამისა, აღმზრდელთა დიდი ნაწილი საშუალო ზოგადი განათლებითაა.

მცხეთის რაიონის უმრავლეს საბავშვო ბაღში სისუფთავის საქმე არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. მცხეთის № 1 საბავშვო ბაღში (გამგე ე. პაპიაშვილი). საძინებელში თეთრეული ჭუჭყიანია, სველი წერტილებიც მოუწესრიგებელია, შეუფერებელ ადგილზეა მიყრილ-მოყრილი დამტვრეული, ჩამოსაწერი ჭურჭელი. ქსნის საბავშვო ბაღის პროდუქტების საწყობში უსუფთაობა და უწესრიგობაა. კვების პროდუქტების სუფთად შენახვის საქმე მოუწესრიგებელია ხობის რაიონის ნოჯიხევისა და ყორათის საბავშვო ბაღებში. ზოგიერთ საბავშვო ბაღში დროზე არ ადგენენ მენიუ-მოთხოვნილებას. მცხეთის № 1 საბავშვო ბაღს (გამგე ე. პაპიაშვილს) შემოწმების დღისა და წინა დღის მენიუ არ ჰქონდა. ამრიგად ორი დღის განმავლობაში სამზარეულოს პროდუქტი ეძლეოდა ყოველგვარი დოკუმენტის გარეშე, რაც საფუძველს ქმნის ბოროტმოქმედებისათვის, ამავე საბავშვო ბაღში ადგილი ჰქონდა დღის რეჟიმის დარღვევას. შემოწმების დღეს საუზმე ბავშვებზე გაიცა დღის 12 საათზე, ნაცვლად დილის 10 საათისა. ქსნის საბავშვო ბაღში 18 იანვარს დღის ორ საათზე მენიუ-მოთხოვნილებები გამგის მიერ დამტკიცებული არ იყო.

მცხეთის საბავშვო ბაღებში ადგილი აქვს სავაჭრო ორგანიზაციიდან პროდუქტების უფაქტოროდ მოტანის შემთხვევებს. საბავშვო ბაღებში გაზრდილია პურის ნორმები. თითოეულ ბავშვს დღეში ნაცვლად 200 გრამისა ეძლევათ 250—300 გრ. პური. სამაგიეროდ არ აძლევენ მეორე თავ კერძს. საერთოდ, შემოწმებული რაიონების სკოლამდელ დაწესებულებებში კვების საქმე სავალალო მდგომარეობაშია. ბავშვებს ეძლევა ერთფეროვანი კერძები. სავაჭრო ორგანიზაციები სკოლამდელ დაწესებულებებს ვერ ამარაგებენ ისეთი პროდუქტებით როგორიცაა ახალი ხორცი, რძე, ხაჭო, არაჟანი, ბოსტნეული, კვერცხი და სხვა.

მცხეთის, ხობის, ყვარლისა და ლაგოდეხის სკოლამდელ დაწესებულებებში მოუწესრიგებელია ნივთიერი ბაზა. სკოლამდელ დაწესებულებათა უმრავლესობა მოთავსებულია ძველ, შეგუებულ და ზოგჯერ მწყობრიდან გამოსულ შენობებში. განათლების განყოფილებები არ ზრუნავენ სკოლამდელ დაწესებულებათა მიმდინარე და კაპიტალური რემონტის დროულად და ხარისხიანად ჩატარებისათვის. ყვარლის რაიონის შილდის საბავშვო ბაღში გასული წლის 16 სექტემბრიდან მიმდინარეობს რემონტი, ასეთივე მდგომარეობაშია ლაგოდეხის რაიონის სოფ. შრომისა და ცოდნისკარის საბავშვო ბაღებში, ხოლო სადაც რემონტი ჩატარდა, სამუშაოები ძალზე უხარისხოდაა შესრულებული. ლაგოდეხის № 1 საბავშვო ბაღის (გამგე ქ. ჩიკვაიძე), შენობა ექსპლოატაციაში შევიდა გასულ წელს, მიუხედავად ამისა, შენობის შიგნით კედლები ჭუჭყიანია, მინები ჩამტვრეულია, მოუგვარებელია გათბობის სისტემა. სრულიად შეუფერებელ შენობაშია მოთავსებული ხობის რაიონის ნოჯიხევის საბავშვო ბაღი.

ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილების გამგე თავს არიდებს სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გადიდებას და ახალი შენობის აგების შემთხვევაში აუქმებს არსებულ ბაღს, მაგალითად, ქ. მცხეთაში საბავშვო ბაღის ტიპიური შენობის დამთავრებისთანავე მცხეთის № 2 საბავშვო ბაღის შენობა სხვა დანიშნულებისათვის გამოიყენეს მაშინ, როდესაც ბაღზე დიდი მოთხოვნილებაა.

სკოლამდელ დაწესებულებათა უმრავლესობას არ აქვს ინვენტარი მინიმალური რაოდენობითაც კი, სასწავლო ნივთები (სახატავი რვეულები, ფერადი ქაღალდები, ფანქრები, პლასტილინი), სათამაშოები და სხვა.

სუსტია მცხეთის, ხობის, ყვარელისა და ლაგოდეხის განათლების განყოფილებათა გამგეების ხელმძღვანელობა, კონტროლი და დახმარება სკოლამდელი დაწესებულებებისადმი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მცხეთის, ხობის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე განიხილონ აღნიშნული ბრძანება და დასახონ კონკრეტული ღონისძიებები სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

ბ) სკოლამდელ დაწესებულებათა იმ გამგეებსა, აღმზრდელებსა და მუსიკის მასწავლებლებს, რომლებიც არ მუშაობენ თავიანთ თავზე, არ იმაღლებენ კვალიფიკაციას და დაბალ დონეზე წარმართავენ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას, დაადონ სათანადო ადმინისტრაციული სასჯელი;

გ) აღკვეთონ შეუფერებელი მუშაკების დანიშვნა და არ დაუშვან უწყების საბავშვო ბაღებში კადრების შერჩევა-დანიშვნა მათი რეკომენდაციის გარეშე;

დ) ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გაზრდას, არ დაუშვან ახალი ტიპიური შენობების აგების შემთხვევაში არსებული საბავშვო ბაღის გაუქმება;

ე) სისტემატური კონტროლი დააწესონ და ქმედითი დახმარება გაუწიონ სკოლამდელ დაწესებულებებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების, ნივთიერი ბაზის განმტკიცებისა, საჭირო დგამ-ავეჯით, სასწავლო ნივთებითა და სათამაშოებით უზრუნველყოფის საქმეში;

2. მცხეთის განათლების განყოფილებამ (გამგე ა. ლაშხაური) საბჭოთა მეურნეობებთან ერთად არსებული წესის თანახმად განიხილოს და როგორც შეუფერებელნი და სათანადო ცენზის არ მქონენი გაათავისუფლოს სამუშაოდან: სავაჭრო ტექნიკუმდამთავრებულები ა. ნათაძე და მ. მტრედაძე (ძველი ,ქანდისა და ნატახტარის საბავშვო ბაღები), ვეტექთანი ნ. ურთაშვილი, ექთანები: ვ. ბერიშვილი (მისაქციელის საბავშვო ბაღი), ო. ბასიშვილი (ნატახტარის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღი).

3. პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტთან ერთად მ/წლის მეორე კვარტალში ჩაატაროს სკოლამდელ მუშაკთა ერთკვირიანი სემინარი მცხეთის, ხობის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებში.

4. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაბალ დონეზე დაყენებისათვის, დღის რეჟიმის დარღვევისა, მენიუ-მოთხოვნილებათა გაუფორმებლობისა და საბავშვო ბაღში დაშვებული უსუფთაობისათვის მცხეთის № 1 საბავშვო ბაღის გამგეს ე. პაპიაშვილს მიეთითოს.

5. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (უფროსი ამხ. ს. არველიძე) უმოკლეს დროში უზრუნველყოს სკოლამდელი დაწესებულებები საჭირო ინვენტარით, სასწავლო ნივთებითა და სათამაშოებით.

6. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (უფროსი ამხ. გ. აბდუშელიშვილი) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 17 მარტის კოლეგიის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

Утверждаю
Министр просвещения ГССР
**Т. Лашкарашвили**
24 марта 1967 года

# УКАЗАНИЯ

## О проведении выпускных экзаменов и экзаменов на аттестат о среднем образовании в общеобразовательных школах при Домах офицеров и офицерских клубах в 1966—67 учебном году

1. Учебные занятия в общеобразовательных школах при Домах офицеров и офицерских клубах в 1966—1967 учебном году заканчиваются 29 апреля.

2. Выпускные экзамены в восьмых классах проводятся с 5 по 13 мая включительно.

3. Экзамены на аттестат о среднем образовании проводятся с 3 по 24 мая включительно.

4. Письменные экзамены в восьмом классе проводятся: по русскому языку (изложение)—5 мая, по алгебре с арифметикой—10 мая.

5. Письменный экзамен в одиннадцатом классе по литературе (сочинение) проводится 4 мая.

6. Письменный экзамен проводится по текстам, утвержденным Министерством просвещения РСФСР. Для школ, находящихся на территории Грузинской ССР, тексты будут высланы Политическим Управлением Закавказского военного округа.

7. Общеобразовательным школам при Домах офицеров и офицерских клубах с 1966—67 учебного года разрешено производить прием экзаменов в порядке экстерната из числа военнослужащих.

8. По всем вопросам подготовки и проведения экзаменов школы должны руководствоваться Инструкцией о проведении экзаменов за курс восьмилетней и средней школы Министерства просвещения РСФСР (см. Сборник приказов и инструкций Министерства просвещения РСФСР).

9. Учащимся общеобразовательных школ при Домах офицеров и офицерских клубах на период экзаменов предоставляется отпуск с сохранением зарплаты: VIII классов—8 рабочих дней; XI классов 20 рабочих дней.

10. В целях лучшей подготовки и проведения экзаменов в общеобразовательных школах при Дома офицеров и офицерских клубах, для оказания необходимой помощи и обеспечения надлежащего контроля за точным соблюдением Инструкции Министерства просвещения РСФСР отделам просвещения предлагается провести следующие мероприятия:

а) провести совещание с директорами вышеуказанных школ по вопросам экзаменов;

б) в соответствии с Инструкцией до 5 апреля 1967 года утвердить состав экзаменационных комиссий для проведения экзаменов на аттестат о среднем образовании в общеобразовательных школах при Домах офицеров и офицерских клубах;

д) осуществлять систематический контроль за организацией и проведением экзаменов и в случае обнаружения недостатков, принимать совместно с политорганами частей необходимые меры к их устранению;

г) своевременно обеспечить общеобразовательные школы при Домах офицеров и офицерских клубах свидетельствами о восьмилетнем образовании и аттестатами о среднем образовании;

д) результаты экзаменов и итоги учебного года в общеобразовательных школах при Домах офицеров и офицерских

клубах кратко осветить в годовом отчете о работе вечерних и заочных школ на 1966—1967 учебный год.

**Основание:** Постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 24 марта 1967 года.

Начальник Управления вечерних
и заочных щкол **Р. Канделаки**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 22 მარტის ბრძანება № 383

## რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში სამოქალაქო თავდაცვის სწავლების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის მიერ შექმნილი კომისიების მიერ 1966 წლის ნოემბერ-დეკემბერში შემოწმებულ იქნა რესპუბლიკის 49 რაიონისა და ქალაქის 236 საშუალო სკოლაში სამოქალაქო თავდაცვის სწავლების მდგომარეობა.

შემოწმების შედეგები გვიჩვენებენ, რომ რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოები, სამოქალაქო თავდაცვის შტაბები და სკოლები სერიოზულად მუშაობენ სამოქალაქო თავდაცვის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის. ამ საგნის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას ხელი შეუწყო განათლების განყოფილებებთან და სამოქალაქო თავდაცვის შტაბებთან სამოქალაქო თავდაცვის მეთოდური საბჭოების შექმნამ და სამოქალაქო თავდაცვის რესპუბლიკურ კურსებზე განათლების განყოფილებათა სასკოლო ინსპექტორების, საშუალო სკოლების დირექტორებისა და სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებლების ფართო მასშტაბით გადამზადებამ. ყველა შემოწმებულ სკოლაში სამოქალაქო თავდაცვის საგანი შეტანილია სკოლის ცხრილში, მასწავლებელთა დიდ უმრავლესობას გავლილი აქვს სამოქალაქო თავდაცვის რესპუბლიკური კურსები, სკოლები უზრუნველყოფილია ახალი პროგრამებით, მოსწავლეთა მნიშვნელოვან ნაწილს აქვს სახელმძღვანელოები. სსრ კავშირის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის სარეკომენდაციო ინსტრუქციის შესაბამისად, ბევრ სკოლასთან მოწყობილია სამოქალაქო თავდაცვის კაბინეტი.

კარგადაა დაყენებული სამოქალაქო თავდაცვის სწავლება თბილისის 31-ე, 52-ე, 62-ე, 63-ე, 84-ე, ხაშურის I-ლ და მე-3 საშუალო სკოლებში (მასწავლებლები პ. ელბაქიანი, გ. შოთაძე, გ. ლასკარი, ვ. პარკაძე და მ. რევაზიშვილი). აღნიშნული მასწავლებლები გულდასმით ემზადებიან გაკვეთილისათვის, სწავლებაში იყენებენ თვალსაჩინოებას. ამ სკოლების IX კლ. მოსწავლეებს შეუკერიათ მტვერსაწინააღმდეგო ქსოვილის ნიღბები, ჩამოყალიბებულია სანიტარული რაზმები და რაზმეულები. სკოლის პედაგოგიურ საბჭოზე რეგულარულად ისმენენ სთ საგნის სწავლების მდგომარეობას.

მაღალ პედაგოგიურ დონეზე ტარდება სთ გაკვეთილები თელავის რაიონის კურდღელაურის და ტყიბულის მე-5 საშუალო სკოლებში (მასწავლებლები დ. მარკოზაშვილი და შ. ქარქაშაძე). ზემოაღნიშნულ სკოლებში სთ გაკვეთილები ტარდება პრაქტიკულ ვითარებაში, მოსწავლეებს კარგად აქვთ შეთვისებული პროგრამული მასალა. სკოლებთან მოწყობილია სამოქალაქო თავდაცვის კაბინეტები.

მიუხედავად აღნიშნულისა, სამოქალაქო თავდაცვის სწავლებაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებებს, რაც სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. ასე, მაგალითად, ადიგენის, ბოგდანოვკის, ვანის, ყვარლის, ლაგოდეხის, თერჯოლის, წალკის რაიონების განათლების განყოფილებებთან და სამოქალაქო თავდაცვის ადგილობრივ შტაბებთან არსებული სამოქალაქო თავდაცვის მეთოდური საბჭოები, რომლებიც შექმნილია სკოლებისათვის სათანადო მეთოდური დახმარების გასაწევად, სუსტად მუშაობენ. ამ რაიონების განათლების განყოფილებები არ ზრუნავენ თითოეულ საშუალო სკოლასთან სამოქალაქო თავდაცვის კაბინეტების, კლასკაბინეტებისა და კუთხეების მოსაწყობად. ხოლო თბილისის 83-ე საშუალო სკოლაში სამოქალაქო თავდაცვის კაბინეტი გააუქმეს.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მოსწავლეთა სამოქალაქო თავდაცვის სწავლება თბილისის 23-ე, 57-ე, მცხეთის რაიონის სოფ. ძველი ქანდის და მარნეულის აზერბაიჯანულ საშუალო სკოლებში (სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებლები ა. კვაიჭაძე, ო. გვარამია, ჯ. მარუაშვილი, ა. მამედოვი) გაკვეთილების ჩასატარებლად წინასწარ არ ემზადებიან, არ ზრუნავენ პედაგოგიური ცოდნის ამაღლებაზე. აღნიშნულ სკოლებში მოსწავლეებს გავლილი აქვთ 4 საათიანი მეცადინეობა ინდივიდუალური დაცვის საშუალე-

ბების შესწავლაში, მაგრამ IX კლ. არც ერთ მოსწავლეს არ შეუ-
კერავს მტვერსაწინააღმდეგო ქსოვილის ნიღაბი. ხსენებულ სკო-
ლის დირექტორები სუსტად ახორციელებენ კონტროლსა და ხელ-
მძღვანელობას სთ საგნის სწავლებაზე. შემოწმების შედეგად გამო-
ირკვა, რომ სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელთა დიდი ნაწი-
ლი სათანადო ყურადღებას არ უთმობს პროგრამით მეცადინეობის
ჩატარებას, განსაკუთრებით ეს შეინიშნება სამედიცინო თემების
ჩატარებისას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა და შესაბამისი სთ შტაბების უფროსებმა:

ა) 1967 წლის 15 მარტამდე მოაწესრიგონ სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელთა მეთოდური საბჭოების მუშაობა და მთელი მისი საქმიანობა წარმართონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის შტაბების მიერ დამტკიცებული დებულების მიხედვით;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სთ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 7 იანვრის წერილის შესაბამისად სამოქალაქო თავდაცვის რესპუბლიკურ კურსებზე მიავლინონ სთ მასწავლებლები, რომლებსაც 1966 წელს ასეთი სახის კურსები არ გაუვლიათ;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელთა შერჩევას, განუმარტონ სკოლების დირექტორებს, რომ მასწავლებელს სამოქალაქო თავდაცვაში მეცადინეობის ჩატარების უფლება ეძლევა მხოლოდ სამოქალაქო თავდაცვის კურსების გავლის შემდეგ;

დ) უზრუნველყონ სკოლები საჭირო ინვენტარით, სასწავლო თვალსაჩინოებით, დამხმარე სახელმძღვანელოებითა და დიაფილმებით;

ე) სსრ კავშირის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის სარეკომენდაციო ინსტრუქციის მიხედვით თითოეულ საშუალო სკოლასთან მოაწყონ სამოქალაქო თავდაცვის კაბინეტები, ხოლო თუ სკოლას შენობის მხრივ კაბინეტის მოწყობის შესაძლებლობა არ გააჩნია,

ასეთ შემთხვევაში მოაწყონ კლას-კაბინეტი ან სამოქალაქო თავდაცვის კუთხე;

ვ) განახორციელონ სისტემატური ქმედითი კონტროლი სთ სწავლებაზე და შედეგები განიხილონ კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოების ან აღმასკომების სხდომებზე.

2. ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ (ამხ. თ. ეგაძე):

ა) წინადადება მისცეს ქ. თბილისის 83-ე საშ. სკოლის ხელმძღვანელობას, რათა დაუყოვნებლივ აღადგინონ და სათანადოდ მოაწყონ ამჟამად გაუქმებული სამოქალაქო თავდაცვის კაბინეტი;

ბ) დაავალოს თბილისის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს, რომ სამოქალაქო თავდაცვის კაბინეტის გამგეობისათვის დაწესებული საზღაურის გაცემა აწარმოონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 14 ოქტომბრის № 1/2073 საინსტრუქციო წერილის შესაბამისად.

2. საშუალო სკოლების დირექტორებმა:

ა) გაკვეთილებზე დასწრებით სათანადო მეთოდური დახმარება გაუწიონ სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებლებს. სისტემატურად მოისმინონ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე საკითხი სთ სწავლების მდგომარეობას შესახებ;

ბ) ამ საგნის სწავლებისათვის უზრუნველყონ ნორმალური პირობების შექმნა, სათანადოდ მოაწყონ სთ კაბინეტები (კლას-კაბინეტები, კუთხეები);

გ) სკოლებთან ბრძანებით ჩამოაყალიბონ სანიტარული რაზმებითა და რაზმეულთა ფორმირებანი და მათი მუშაობა წარმართონ მოქმედი დებულებისა და დამტკიცებული ტიპიური სქემების მიხედვით;

დ) V—VI—VII კლ. მოსწავლეთა სანიტარულ-ჰიგიენური მომზადების მიზნით წითელი ჯვრის საზოგადოებათა ადგილობრივ კომიტეტებთან ერთად სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა განახორციელონ სამედიცინო პერსონალის მუშაობაზე;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამოქალაქო თავდაცვის ქონების მოვლას, შენახვასა და გამოყენებას, რისთვისაც სრულ წესრიგში მოიყვანონ სთ კაბინეტები და საწყობები.

4. სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებლებმა:

ა) გულდასმით მოამზადონ ყოველი გაკვეთილი, შეადგინონ გაკვეთილის გეგმა და წინასწარ დაამტკიცებინონ იგი სკოლის დირექტორს ან მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სისტემატური მუშაობით აიმაღლონ თავიანთი ცოდნა სამოქალაქო თავდაცვაში, გაკვეთილები ჩაატარონ პროგრამის მიხედვით და მიაღწიონ მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის გაუმჯობესებას;

გ) სათანადო ყურადღება მიაქციონ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული მეცადინეობისა და სამედიცინო თემების ჩატარებას. სთ მომზადების მთავარ ამოცანად დასახონ მოსწავლეებში მტკიცე პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება და მასობრივი განადგურების იარაღისაგან თავდაცვის საშუალებათა შესწავლა;

დ) მეცადინეობა ჩაატარონ სატაბელო, სასწავლო და თვალსაჩინო ხელსაწყოების, დიაფილმების, პლაკატების, ფოტოსტენდების, მაკეტების, სქემებისა და სხვა დამხმარე საშუალებათა ფართო გამოყენებით. თუ სკოლასთან თავშესაფარი არაა, ასეთ შემთხვევაში დაამზადონ თავშესაფარის მაკეტი და მოსწავლეებს გააცნონ თავშესაფარში შესვლის, განლაგებისა და ყოფნის წესები;

ე) მიაღწიონ იმას, რომ IX კლ. თითოეულმა მოსწავლემ შეძლოს მტვერსაწინააღმდეგო ქსოვილის ნიღბის დამოუკიდებლად შეკერვა დაწესებულ ვადაში.

ვ) რეგულარულად მოახსენონ სკოლის ხელმძღვანელობას მეცადინეობათა მიმდინარეობისა და მოსწავლეთა მოსწრების მდგომარეობის შესახებ.

5. სამოქალაქო თავდაცვის საგნის სწავლების სათანადო დონეზე დაყენებისა და მოსწავლეთა შორის პატრიოტული აღზრდის დარგში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის ქ. თბილისის 31-ე საშუალო სკოლის სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელი პეტრე კარაპეტის ძე ელბაქიანი, 62-ე საშუალო სკოლის სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელი გივი გრიგოლის ძე ლასკარი, ტყიბულის მე-5 საშუალო სკოლის სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელი შოთა ვიქტორის ძე ქარქაშაძე, ხაშურის № 1 საშუალო სკოლის სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელი მიხეილ ნიკოლოზის ძე რევაზიშვილი და გურჯაანის რაიონის სოფ. არაშენდის საშუალო სკოლის სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელი ვლადიმერ ალექსის ძე არაშვილი დაჯილდოვდნენ „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს საშუალო სკოლების დირექტორებისა და სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელთა თათბირზე და გატარებულ ღონისძიებათა შესახებ მოხსენებითი ბარათი წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბს ა/წლის 1 აპრილამდე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 17 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

საქართველოს სსრ სამოქალაქო
თავდაცვის შტაბის უფროსი
გენერალ-მაიორი
**ი. შაიშმელაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 27 მარტის ბრძანება № 414

### გეგეჭკორის რაიონის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გეგეჭკორის რაიონის სკოლებში მნიშვნელოვანი მუშაობა წარმოებს მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

1965—1966 სასწავლო წლისათვის რაიონში შეფ ორგანიზაციების მიერ სასკოლო მშენებლობისათვის და საკლასო ოთახების მიშენებისათვის დაიხარჯა 323 ათასი მანეთი.

გეგეჭკორის რაიონში სასკოლო ქსელი აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ყველა სკოლა ძირითადად დაკომპლექტებულია სათანადო კვალიფიკაციის მქონე პედაგოგიური კადრებით—1178 მასწავლებლიდან 800 მასწავლებელი უმაღლესი განათლებითაა.

რაიონში სათანადო მუშაობაა ჩატარებული 1965—1966 სასწავლო წელს სკოლის კურსდამთავრებულთა სამუშაოზე მოსაწყობად. ასე, მაგალითად, 1136 კურსდამთავრებულიდან უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სწავლა გააგრძელა 211 ახალგაზრდამ, ხოლო 925 კურსდამთავრებული მუშაობს კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობებსა და წარმოება-დაწესებულებებში.

რაიონის სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი მონდომებით მუშაობს, გულდასმით ემზადება გაკვეთილისათვის, სწავლებაში იყენებს აქტუალურ მეთოდებსა და ხერხებს.

ქართულ ენას დამაკმაყოფილებლად ასწავლიან სერგიეთის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლები თ. ბედია და თ. მასხულია. მათ მოსწავლეებს გამომუშავებული აქვთ სწორი მეტყველებისა და კითხვის ჩვევები.

რუსულ ენასა და ლიტერატურას სათანადოდ ასწავლიან ლ. ძაგანია (სერგიეთის საშ. სკოლა), ნ. გიორგაძე (ბანძის საშ. სკოლა),

დ. ქავჟარაძე (ლეციცხვაიეს საშ. სკოლა). აღნიშნული მასწავლებლები კარგად ფლობენ რუსულ ენას და მეთოდიკურად სწორად გადასცემენ გაკვეთილებს, მოსწავლეთა ცოდნა დამაკმაყოფილებელია.

რაიონის ზოგიერთ სკოლაში მათემატიკის მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი მუშაობს კარგად და სათანადო შედეგსაც აღწევს. ასეთებია, მაგალითად, მასწავლებლები ბ. რუხაძე და მ. მონიავა (ქვემო ხუნწის რვაწლიანი სკოლა), გ. პატარაია (ბანძის საშ. სკოლა), მ. ძიძიგური (ლეციცხვაიეს საშ. სკოლა). აღნიშნული სკოლის მოსწავლეები კარგ ცოდნას ამჟღავნებენ ამ საგანში.

ფიზიკის მასწავლებლები: ბ. კვანტალიანი (ლეციცხვაიეს საშ. სკოლა) და რ. გაწერელია (სერგიეთის საშ. სკოლა) დამაკმაყოფილებლად მუშაობენ. მოსწავლეებმა კარგად იციან პროგრამით გათვალისწინებული საკითხები.

ბიოლოგიის მასწავლებლები პ. დანელია (ლეხაინდრაოს საშ. სკოლა), ტ. ოდიშარია (ბანძის საშ. სკოლა), ვ. ხაჟომია, მ. ხუნწელია და ნ. ელიავა (გეგეჭკორის I-ლი საშ. სკოლა) პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთ საქმეს, გულდასმით ემზადებიან გაკვეთილებისათვის, სწავლებაში საფუძვლიანად იყენებენ თვალსაჩინოებას და აძლევენ მოსწავლეებს მეცნიერების საფუძვლების მკვიდრ ცოდნას. აღნიშნულ სკოლებში კარგადაა მოწყობილი ბიოლოგიის კაბინეტები და კლასკაბინეტები, კარგად მუშაობენ ნორჩ ნატურალისტთა წრეები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ლეხაინდრაოს საშუალო სკოლის ბიოლოგიის კაბინეტი.

გერმანულ ენას დამაკმაყოფილებლად ასწავლიან მასწავლებლები მ. ხაინდრავა (ლეხაინდრაოს საშ. სკოლა), ნ. პატარაია (სერგიეთის საშ. სკოლა). აღნიშნული მასწავლებლები კარგად ფლობენ გერმანულ ენასა და მისი სწავლების მეთოდებს, მოსწავლეებს სათანადოდ აქვთ ათვისებული პროგრამით გათვალისწინებული საკითხები.

ფიზიკური კულტურის გაკვეთილებს კარგად ატარებენ მასწავლებლები პ. ბორისოვი (გეგეჭკორის I-ლი საშ. სკოლა), პ. ცანავა (სერგიეთის საშ. სკოლა), ტ. კილასონია (სალხინოს საშ. სკოლა), რაიონის სკოლების უმრავლესობას გააჩნია მარტივი ტიპის საზაფხულო სპორტული მოედნები. საშუალო სკოლები ძირითადად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკომპლექტებულია უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებით.

მიუხედავად ამისა შემოწმებული სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

დაწყებითი კლასის მასწავლებელი ლ. სურმავა (ლეკიცხვაიეს საშ. სკოლა) არადამაკმაყოფილებლად ასწავლის დედაენას, ბავშვებს არა აქვთ გამომუშავებული სწორი, გამართული კითხვის, სუფთა და სწორი წერის ჩვევები, არ იყენებენ „ქართული წერის დედანს". მოსწავლეთა მეტყველების დონე დაბალია.

შემოწმებულ ყველა სკოლაში მასწავლებლები ქართული ენის გრამატიკის სწავლების დროს საკმაო მუშაობას არ ატარებენ მოსწავლეებში თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების ჩვევათა დასანერგავად, ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად, ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის ასამაღლებლად. გრამატიკის სწავლებას ცოცხალი სასაუბრო მეტყველებიდან და ლიტერატურული მასალებისაგან მოწვეტილად ატარებენ. მოსწავლეებს მხატვრული ნაწარმოების ტექსტზე მუშაობის დროს არ ავარჯიშებენ ქართული ენის გაკვეთილზე მიღებული ცოდნის განმტკიცებაზე.

მასწავლებლები ლ. ციცხვაია (გეგეჭკორის I-ლი საშ. სკოლა), ვ. გოლეთიანი (ლეხაინდრაოს საშ. სკოლა), V—VIII კლასებში მშობლიური ლიტერატურის სწავლების დროს ტექსტზე მუშაობისას არ აქცევენ ყურადღებას ენობრივ ლექსიკურ ვარჯიშს, მხატვრულ თქმასა და კითხვას. მოსწავლეებს უძნელდებათ ნაწარმოების შინაარსის დამოუკიდებლად თხრობა. შესწავლილი სკოლების IX—X კლასებში ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მხატვრული ნაწარმოების შინაარსისა და საზეპირო ადგილების შესწავლას, რის შედეგადაც მოსწავლეებმა სუსტად იციან ტექსტების იდეურ-მხატვრული ანალიზი.

შესწავლილ სკოლებში დაბალია მოსწავლეთა წერის კულტურა. ამის ძირითადი მიზეზი არის ის, რომ მასწავლებლები არ იცავენ წერის ნორმებს (გეგეჭკორის I-ლი საშ. სკოლა), წერითი მუშაობის სახეთა მრავალფეროვნებას და მოსწავლეებს უმეტესად ერთი და იგივე ხასიათის თემებზე ამუშავებენ, გულდასმით არ ასწორებენ წერით ნამუშევრებს, გაუსწორებლად სტოვებენ მრავალ ორთოგრაფიულ, პუნქტუაციურ, სტილისტიკურ, სინტაქსურ და ფაქტობრივ შეცდომებს, [illegible] ნამუშევრებს, არასაკმაო რაოდენობით ატარებენ ვარჯიშს მოსწავლეთა წერით ნამუ-

შევრებში დაშვებულ შეცდომათა გასწორებაზე და სხვ. მაგალითად, გეგეჭკორის I-ლი საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლის მ. ...ის 20 დეკემბრის ნამუშევარი მასწავლებელ ვ. წულაიას შეუფასებია ნიშან „4"-ზე და შეუნიშნავს 13 შეცდომა. გაუსწორებლად დაუტოვებია 7 შეცდომა. წერის დაბალი დონე განსაკუთრებით შეინიშნება დამამთავრებელ X კლასებში. ლეხაინდრაოს საშუალო სკოლის X კლასში (მასწავლებელი ვ. გოლეთიანი) საკონტროლო წერის დროს 20 მოსწავლიდან ნიშანი „1" მიიღო 3 მოსწავლემ. „2"—14, ხოლო „3"—3-მა მოსწავლემ. სერგიეთის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი მ. დანელია) 26 მოსწავლიდან ნიშან „1"-ზე შეფასდა 10 მოსწავლის ნამუშევარი, „2"-ზე—8, „3"-ზე—6 და „4"-ზე—2 მოსწავლის ნაწერი.

მიმდინარე სასწავლო წელს განათლების განყოფილების მიერ ქართულ ენასა და ლიტერატურაში 15 საშუალო სკოლის X კლასებში ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგად 497 მოსწავლიდან არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 177 მოსწავლემ, ხოლო ფრიადი შეფასება—არცერთმა.

რუსულ ენასა და ლიტერატურას არადამაკმაყოფილებლად ასწავლიან მასწავლებლები: მ. ბეჭვაია (დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობასთან არსებული საშ. სკოლა), ბ. სიგუა (სერგიეთის საშ. სკოლა), ლ. მონიავა (ბანძის საშ. სკოლა). ისინი საფუძვლიანად არ ემზადებიან გაკვეთილისათვის, სუსტად ატარებენ სალექსიკონო მუშაობას. მოსწავლეებს არა აქვთ გამომუშავებული კითხვის ჩვევები, არ შეუძლიათ ამ ენაზე საუბარი. თითქმის ყველა შესწავლილ სკოლაში დაბალია წერის კულტურა.

დაწყებით კლასებში არითმეტიკას სუსტად ასწავლიან მასწავლებლები: ე. სურმავა (ლეციცხვაიეს საშ. სკოლა), ნ. კეკელია (ბანძის საშ. სკოლა). მასწავლებლები არ იცნობენ ამოცანებზე მუშაობის მეთოდიკას, მოსწავლეებმა არადამაკმაყოფილებლად იციან პროგრამით გათვალისწინებული საკითხები.

დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა ძალზე სუსტი მომზადება გამოამჟღავნეს მათემატიკაში.

მათემატიკის სწავლება განსაკუთრებით ცუდადაა დაყენებული შესწავლილი სკოლების X კლასებში. სერგიეთის საშ. სკოლის X კლასის (მასწავლებელი ბ. სურმავა) 26 მოსწავლიდან საკონტროლო წერაში მხოლოდ ერთმა მიიღო დამაკმაყოფილებელი შეფასება,

ხოლო ზოგიერთმა მოსწავლემ, რომელსაც I-ლსა და II მეოთხედში მაღალი ნიშნები ჰქონდა, წერით ნამუშევრებში შეფასება „2“ მიიღო; გეგეჭკორის I-ლი საშუალო სკოლის X კლასის (მასწავლებელი ს. ხუნწელია) 26 მოსწავლიდან 15 მოსწავლის ნამუშევარი არადამაკმაყოფილებლად შეფასდა, ასევე ნიშან „2“-ზე შეფასდა ლეხაინდრაოს საშ. სკოლის X კლასის (მასწავლებელი ა. ნაჭყებია) 8 მოსწავლის, დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობის საშ. სკოლის X კლასის (მასწავლებელი ნ. ჯანჯღავა) 17 მოსწავლის, ლეციცხვაიეს საშ. სკოლის (მასწავლებელი ბ. კვანტალიანი) 14 მოსწავლის ნაშრომი.

შემოწმებით დადასტურდა, რომ შესწავლილ სკოლებში ფიზიკის სწავლება ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო დონეზე. მართალია სერგიეთისა და ბანძის საშ. სკოლებში ფიზიკის კაბინეტები სათანადოდაა მოწყობილი, მაგრამ ბევრ სკოლაში არცერთ ფიზიკის კაბინეტში არ შეიძლება ჩატარდეს IX და X კლასელთათვის პროგრამით გათვალისწინებული ფრონტალური წესით ლაბორატორიული სამუშაოები და პრაქტიკუმები, რაც გამოწვეულია ხელსაწყოების სიმცირითა და საჭირო მასალების უქონლობით. დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობისა და ლეციცხვაიეს საშუალო სკოლებში ხელსაწყო-იარაღები მოუვლელია.

არადამაკმაყოფილებლად ასწავლიან ფიზიკას მასწავლებლები: ალ. მოწერელია და ლ. ჩხეტია (გეგეჭკორის I-ლი საშ. სკოლა), გ. ციცხვაია (ლეციცხვაიეს საშ. სკოლა); განსაკუთრებით სუსტია მოსწავლეთა ცოდნა გეგეჭკორის პირველი, სერგიეთის, ბანძის, დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობისა და ლეციცხვაიეს საშ. სკოლების X კლასებში.

ქიმიას სუსტად ასწავლიან მასწავლებლები მ. კეპულაძე (დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობის საშ. სკოლა), ლ. სორდია (ბანძის საშ. სკოლა), მოსწავლეები დაბალ ცოდნას ამჟღავნებენ ამ საგანში; ვერ ადგენენ უმარტივეს ქიმიურ ფორმულებს, უძნელდებათ ქიმიური განტოლებებისა და იონური ტოლობების წერა, ვერ არკვევენ ნაერთში ელემენტის ვალენტობას. შესწავლილ სკოლებში არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოები, ნაკლები ყურადღება ექცევა საკონტროლო წერების ჩატარებასა და თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადებას. სკოლებში შექმნილი საგნობრივი წრეების მუშაობა ფორმალურ

ხასიათს ატარებს, ყურადღება არ ექცევა სასწავლო ხასიათის ექსკურსიების ჩატარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის სათანადოდ მოწყობილი ბიოლოგიის კაბინეტები სალხინოს, დიდი ჭყონის, სერგიეთის საშუალო და ქვედა ხუნწის რვაწლიან სკოლებში. აღნიშნულ სკოლებს გააჩნიათ ბიოლოგიის კლას-კაბინეტები, მაგრამ თვალსაჩინო მასალები არასაკმაო რაოდენობით აქვთ, არა, აქვთ მოსწავლეთა თვითნაკეთი მასალები, სუსტად მუშაობენ ბიოლოგიის საგნობრივი წრეები, ამ საგნის სწავლება დასახელებულ სკოლებში ზეპირსიტყვიერ ხასიათს ატარებს, ამის შედეგად მოსწავლეთა ცოდნა ბიოლოგიაში დაბალია.

არადამაკმაყოფილებლად ასწავლის გერმანულ ენას მასწავლებელი მ. არახამია (სალხინოს საშ. სკოლა), ის ვერ ფლობს ენას და გამოთქმების დროს უშვებს უხეშ შეცდომებს, არ ატარებს გაკვეთილებზე სალექსიკონო მუშაობას, რის შედეგადაც დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე.

რაიონის სკოლებში ფიზიკური კულტურის სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას ხელს უშლის სპორტული დარბაზებისა და ოთახების უქონლობა. უმრავლესი სკოლების დაწყებით კლასებში ამ საგანს ასწავლიან არასპეციალისტები, ნაკლები ყურადღება ექცევა კლასგარეშე მუშაობას.

რაიონში კარგი მუშაობა ტარდება საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განსახორციელებლად, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც არ არის შესრულებული მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა (აკლიათ 11 ბავშვი), ხოლო სალხინოს საშუალო სკოლაში სწავლას ჩამოშორდა ორი მოსწავლე.

გაკვეთილების ცხრილის შედგენისას რიგ სკოლებში არ იცავენ პედაგოგიურსა და მეთოდურ მოთხოვნებს. საგნების სიძნელეების მიხედვით დღეები თანაბრად არ არის დატვირთული, ადგილი აქვს გაკვეთილების გაწყვეტილების ხშირ შემთხვევებს.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მეთოდური მუშაობა რიგ სკოლებში. მეთოდურ გაერთიანებათა გეგმები ზოგადია, მოხსენებები ზერელე და არა საინტერესოა. სუსტია მოწინავე გამოცდილებათა შესწავლა და განზოგადება. არ არის განხილული პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე და მასწავლებლები არ იცნობენ განათლების სამინისტროს 1966 წლის 14 აპრილის ბრძანებას „რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლების X—XI კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შემოწმების შედეგების შესახებ".

შესწავლილი სკოლების მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი სათანადოდ არ უვლის სახელმძღვანელოებსა და სასწავლო ნივთებს, წიგნები დაზიანებული და უსუფთაოა.

საკლასო ჟურნალების წარმოება, მეოთხედური ნიშნების დადგენა მიმდინარე შეფასების მიხედვით არადამაკმაყოფილებელია გეგეჭკორის I-ლი (დირექტორი ვ. ხაჟომია), სალხინოს (დირექტორი ვ. ბასილაია), ლეხაინდრაოს (დირექტორი ე. დანელია) საშ. სკოლებში. აღნიშნულ სკოლებში ადგილი აქვს მოსწავლეთა შეფასების ნიშნების ჟურნალებიდან ამოფხეკისა და გადასწორების შემთხვევებს.

შესწავლილ სკოლებში სუსტადაა დაყენებული შიგასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა სასწავლო მეთოდურ მუშაობაზე. სკოლის დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები ძალიან მცირე დროს უთმობენ მუშაობას მასწავლებლებთან, არ ხდება ცალკეულ მასწავლებელთა სასწავლო მუშაობის ყოველმხრივი შესწავლა, მოწინავე გამოცდილების განზოგადება. ყველა შემოწმებულ სკოლაში მასწავლებლის მუშაობის შესწავლა და მისთვის დახმარების გაწევა განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ დირექტორებისა და მათი მოადგილეების მიერ დროგამოშვებით გაკვეთილებზე დასწრებით. რაც არც ერთ შემთხვევაში არ ითვალისწინებს მასწავლებლის მუშაობის სისტემის შესწავლას, სასწავლო პროცესის ყოველმხრივ გარჩევა-გაანალიზებას.

სკოლის ხელმძღვანელთა მიერ მოსმენილი გაკვეთილების ჩანაწერები ზოგჯერ ნაჩქარევად, ზერელედ არის შედგენილი, იგრძნობა დამსწრის მოუმზადებლად შესვლა გაკვეთილზე.

არის შემთხვევები, როდესაც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ სახელმძღვანელო დოკუმენტებს სკოლის ხელმძღვანელობა ან სრულად არ იცნობს, ან მასზე ფორმალურ რეაგირებას ახდენს და კმაყოფილდება მხოლოდ მისი შინაარსის გაცნობით.

რაიონის ბევრ სკოლაში ერთი და იგივე სპეციალობის მქონე დირექტორები და მოადგილეებია, ასე, მაგალითად, სერგიეთისა და ლეხაინდრაოს საშუალო სკოლაში დირექტორები და მოადგილეები ისტორიკოსები არიან, ლეციცხვაიეს საშ. სკოლაში კი ფილოლოგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის განათლების განყოფილება და პედაგოგიური კაბინეტი დაკომპლექტებულია სათანადო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით; განათლების განყოფილება სისტემატურად ამოწმებს სკოლების მუშაობას. მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში განყოფილებას შეუმოწმებია 14 საშუალო, 18 რვაწლიანი და 16 დაწყებითი სკოლის მუშაობა, საკითხები განხილულია აღმასკომისა და განათლების საბჭოს სხდომებზე და მიღებულია სათანადო დადგენილებები. შესრულების შემოწმებას არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გეგეჭკორის რაიონის განათლების განყოფილებამ (მ. ცანავა):

ა) გააძლიეროს კონტროლი და ხელმძღვანელობა დირექტორების, დირექტორების მოადგილეებისა და მასწავლებლების მუშაობაზე, საჭირო დახმარების აღმოჩენით მათი მთელი საქმიანობა წარმართოს სკოლის წინაშე მდგარი სადღეისო ამოცანების განსახორციელებლად;

ბ) სისტემატურად შეისწავლოს სკოლების მუშაობა და იბრძოლოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, პერიოდულად შეამოწმოს სკოლებისადმი მიცემულ მითითებათა შესრულება;

გ) იზრუნოს სკოლის ხელმძღვანელთა შემადგენლობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის; ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით სკოლების დირექტორებად და მოადგილეებად დააწინაუროს სათანადო პედაგოგიური განათლებისა და გამოცდილების მქონე მუშაკები, რომლებიც მაღალი ავტორიტეტით სარგებლობენ მასწავლებელთა შორის და რომლებსაც შესწევთ უნარი თანამედროვე მოთხოვნების დონეზე წარმართონ პედაგოგიური კოლექტივების მუშაობა სკოლის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით განსახორციელებლად;

დ) ახალი სასწავლო წლისათვის, როგორც წესი, გადასინჯოს მასწავლებელთა შემადგენლობა და იმ მასწავლებლების შესახებ, რომლებიც ვერ ამართლებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, განიხილოს საკითხი და გაათავისუფლოს ისინი სამუშაოდან არსებული წესის დაცვით; სისტემატურად იზრუნოს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ჩააბას დაუსწრებელ სწავლებაში მასწავლებლები, რომლებსაც არ გააჩნიათ უმაღლესი პედაგოგიური განათლება. მეტი ყურადღება დაუთმოს მასწავლებელთა თვითგანათლე-

ბას, მიაღწიოს იმას, რომ იგი გახდეს კვალიფიკაციის ამაღლების ძირითადი ფორმა;

ე) გააუმჯობესოს მუშაობა მოწინავე გამოცდილების შესწავლა-განზოგადოებისათვის; ფართოდ დანერგოს რაიონის სკოლების მუშაობის პრაქტიკაში იმ მასწავლებლებისა და პედაგოგიური კოლექტივების გამოცდილება, რომლებმაც მიაღწიეს მაღალ მაჩვენებლებს მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისა და საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელებაში;

ვ) ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით ფართოდ გაშალოს მუშაობა სკოლების მატერიალური ბაზის გასაფართოებლად და განსამტკიცებლად, აქტიურად ჩააბას ამ საქმეში კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, წარმოება-დაწესებულებები, საშეფო ორგანიზაციები;

მოაწყოს სკოლებთან კალათბურთის, ფეხბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, ჩოგბურთის და სხვა მარტივი ტიპის მოედნები; მიაღწიოს იმას, რომ თითოეულ სკოლას ჰქონდეს კეთილმოწყობილი სპორტული ბაზა ფიზკულტურაში საკლასო და კლასგარეშე მეცადინეობის ჩასატარებლად;

ზ) პერსონალური კონტროლის ქვეშ დააყენოს მასწავლებლების ბ. კვანტალიანის, ლ. სურმავას, ე. სურმავას, გ. ციცხვაიას (ლეციცხვაიეს საშ. სკოლა), ლ. ციცხვაიას, ვ. წულაიას, ა. მოწერელიას (გეგეჭკორის I-ლი საშ. სკოლა), მ. ბეჭვაიას, მ. კეპულაძის (დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობის საშ. სკოლა), ბ. სიგუას, (სერგიეთის საშ. სკოლა), ლ. მონიავას, ნ. კეკელიას, ლ. სორდიას (ბანძის საშ. სკოლა), ა. ნაჭყებიას (ლეხაინდრაოს საშ. სკოლა), ე. არახამიას (სალხინოს საშ. სკოლა) პედაგოგიური საქმიანობა. მიაღწიოს იმას, რომ აღნიშნული მასწავლებლები სისტემატურად მუშაობდნენ თავისთავზე და საფუძვლიანად ემზადებოდნენ ყოველი გაკვეთილისათვის;

თ) მასწავლებლები ვ. გოლეთიანი (ლეხაინდრაოს საშ. სკოლა), მ. დანელია, პ. სურმავა (სერგიეთის საშ. სკოლა), ნ. ჯანჯღავა (დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობასთან არსებული საშ. სკოლა), ს. ხუნწელია (გეგეჭკორის I-ლი საშ. სკოლა), რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს X კლასის მოსწავლეთა ცოდნის მაღალი დონე, თუ არსებითად არ გააუმჯობესებენ მუშაობას, განიხილოს სასწავლო წლის ბოლოს მათი დაბალ კლასებში ჩამოქვეითების შესახებ;

ი) აღნიშნული ბრძანება განიხილოს ყველა სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე.

2. სკოლის დირექტორებმა და დირექტორის მოადგილეებმა სასწავლო მუშაობის დარგში:

ა) გააუმჯობესონ კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე, მიაღწიონ იმას, რომ თითოეული მასწავლებელი სანიმუშოდ ემზადებოდეს გაკვეთილისათვის; სისტემატურად და საფუძვლიანად შეამოწმონ მასწავლებელთა გაკვეთილების ხარისხი;

ბ) სასწავლო კაბინეტები შეავსონ ხელსაწყოებითა და რეაქტივებით, შექმნან საჭირო პირობები, რომ პროგრამით გათვალისწინებული ცდები და ლაბორატორიული სამუშაოები ტარდებოდეს სისტემატურად;

გ) გაკვეთილების ცხრილი შეადგინონ პედაგოგიურ-მეთოდური მოთხოვნების სრული დაცვით;

დ) გააუმჯობესონ მეთოდური მუშაობა სკოლებში, მოაწყონ მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება და მეთოდგაერთიანებების საქმიანობა წარმართონ ისე, რომ ის ხელს უწყობდეს მასწავლებელთა დახელოვნებას;

ე) პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე განიხილონ ცალკეული დისციპლინების სწავლების მდგომარეობა და მეოთხედის შედეგების განხილვისას ღრმა ანალიზი გაუკეთონ საგნების სწავლებას, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ვ) მტკიცედ დაიცვან სკოლაში და მოსწავლეთა შორის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლეები წესიერად უვლიდნენ სასკოლო სახელმძღვანელოებსა და სასწავლო ნივთებს;

გ) მტკიცე კონტროლი დააწესონ საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის გატარებაზე, მიიღონ გადამჭრელი ზომები სკოლის გარეთ დარჩენილი სასკოლო ასაკის ბავშვების სწავლებაში ჩაბმისათვის და არ დაუშვან სკოლიდან მოსწავლეთა განთესვა.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 17 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 28 მარტის ბრძანება № 421

**საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 თებერვლის დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ**

ვაქვეყნებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 თებერვლის დადგენილებას — „საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ".

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის № 874 დადგენილება „საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ" რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული; კომკავშირული ორგანოების, განათლების ორგანოებისა და მთელი საზოგადოებრიობის წინაშე სახავს მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების უმნიშვნელოვანეს ამოცანებს.

უკანასკნელ დროს რესპუბლიკის სახალხო განათლებამ მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს: შემოღებულია საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლა, ყოველწლიურად იზრდება პროცენტული თანაფარდობა საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა და მოსწავლეთა საერთო კონტინგენტს შორის, რესპუბლიკის პედაგოგთა 70-ათასიან არმიას ემატება ახალი კვალიფიციური კადრები, გაუმჯობესდა მოსწავლეთა მომზადების ხარისხი, იზრდება იმ ახალგაზრდა მუშათა და კოლმეურნეთა რიცხვი, რომლებიც

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობენ, მტკიცდება სკოლების მატერიალური ბაზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე დროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება გაზრდილ მოთხოვნებს.

არ ხორციელდება სათანადო ზომები, რათა აღმოიფხვრას ისეთი მდგომარეობა, როდესაც სასწავლო გეგმები და პროგრამები არ შეესაბამება მეცნიერული ცოდნის ახლანდელ დონეს, აღიკვეთოს მოსწავლეთა ზედმეტი დატვირთვა სავალდებულო სასწავლო მეცადინეობით, რაც უარყოფითს გავლენას ახდენს მოსწავლეთა ცოდნის სიღრმეზე, სიმტკიცეზე, მათს ჯანმრთელობაზე.

ახალქალაქის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, დუშეთის, მესტიის, ახმეტისა და ზოგიერთი სხვა მთიანი რაიონების სკოლები განიცდიან ცალკეული დისციპლინების პედაგოგთა ნაკლებობას. მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა პროფესიული მომზადების დონე და კვალიფიკაცია შემდგომ ამაღლებას საჭიროებს.

რესპუბლიკაში საკმაოდ არ ხდება სახალხო განათლების საკვანძო, სასიცოცხლო-მნიშვნელოვანი პრობლემების შემუშავება, საბჭოთა სკოლის მიერ დაგროვილი უდიდესი და მრავალმხრივი გამოცდილების დროული და ღრმა განზოგადება და გაანალიზება.

საკმაო რაოდენობის შენობების უქონლობისა და მთელი რიგი სასკოლო სადგომების ავარიული მდგომარეობის გამო, ბევრ სკოლაში მეცადინეობა ორ ცვლად, ხოლო ზოგჯერ სამ ცვლად წარმოებს. ამავე დროს, არსებულ შესაძლებლობათა მიუხედავად, მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა ორგანიზაციები არ ახორციელებენ სასკოლო მშენებლობას.

პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ უწევენ საკმაო დახმარებას სახალხო განათლების ორგანოებს ბავშვთა სწავლებასა და აღზრდაში, სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის ერთობლივი მუშაობის გაუმჯობესებაში, მოსახლეობის პედაგოგიური კულტურის ამაღლებაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევენ იმას, რომ სწრაფი მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესის პირობებში უმაგალითოდ იზრდება სკოლის როლი მოზარდი თაო-

ბის ყოველმხრივი განვითარების, კომუნისტური საზოგადოების ღირსეულ მშენებელთა მომზადების საქმეში. საწარმოო ძალთა განვითარების და ხალხის კულტურის შემდგომი ზრდის ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვენ მნიშვნელოვნად ავამაღლოთ მოსწავლეთა ცოდნის ხარისხი, უკეთ მოვამზადოთ ისინი საზოგადოებრივ სასარგებლო შრომისათვის.

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის № 874 დადგენილებისა „საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. აღიარებულ იქნას, რომ საბჭოთა სკოლა კვლავაც უნდა ვითარდებოდეს როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, შრომითი, პოლიტექნიკური სკოლა, მისი მთავარი ამოცანებია შეაიარაღოს მოსწავლეები მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნით, განუვითაროს მათ მაღალი კომუნისტური შეგნება, მოამზადოს ახალგაზრდობა ცხოვრებისათვის, პროფესიის შეგნებულად არჩევისათვის. სკოლა, რომელიც მთელ აღმზრდელობითს მუშაობას ცხოვრებას უკავშირებს, უნდა აიარაღებდეს მოსწავლეებს საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნით, ზრდიდეს მათ საბჭოთა ხალხის რევოლუციური და შრომითი ტრადიციებით; უვითარებდეს საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალ გრძნობას, ზრდიდეს ისე, რომ მზად იყვნენ სოციალისტური სამშობლოს დასაცავად; უჩვენებდეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ძმურ ერთობას, მათ მეგობრობას სოციალისტური ქვეყნების მშრომელებთან, ზრდიდეს მოსწავლეებს სოციალისტური ქვეყნების მშრომელებთან სოლიდარობის სულისკვეთებით, ყველა ხალხთან სოლიდარობის სულისკვეთებით, რომლებიც იბრძვიან კოლონიალიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის; გაბედულად ებრძოდეს ბურჟუაზიული იდეოლოგიის, საბჭოთა ახალგაზრდობისათვის უცხო მორალის შეჭრას მოსწავლეთა შეგნებაში.

სკოლა მოწოდებულია ახორციელებდეს ესთეტიკურ აღზრდას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა იდეურ და ზნეობრივ ფორმირებაში, ზრუნავდეს მათი ჯანმრთელობის გამაგრებისა და ფიზიკური განვითარებისათვის.

2. იმ მიზნით, რომ შემდგომ გაუმჯობესდეს საშუალო განათლება, შეიქმნას სტაბილურობა სკოლების მუშაობაში, თანმიმდევრულად განხორციელდეს პოლიტექნიკური სწავლებისა და შრომითი აღზრდის პრინციპები და სწავლების შინაარსი შეუფარდდეს მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მოთხოვნებს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ:

— უზრუნველყოს დარგობრივ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, სახალხო მეურნეობის 1966—1970 წლების გეგმის დავალების შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელის გაშლა, მოსწავლეთა კონტინგენტის ზრდა და სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების გეგმიან დავალებათა შესრულება;

— უახლოეს დროში შემოიღოს სამოქმედოდ მეცნიერულად დასაბუთებული სასწავლო გეგმები და პროგრამები;

— დააწესოს თანამომდევნობა მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლაში I-დან X კლასამდე, გაანაწილოს სასწავლო გეგმები სწავლის წლების მიხედვით იმ ანგარიშით, რომ მეცნიერებათა საფუძვლების სისტემატური სწავლება დაიწყოს სწავლის **მეოთხე წლიდან** (ამასთან შენარჩუნებულ იქნას I—IV კლასების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მოქმედი პირობები);

— შეუდგეს 1967—1968 სასწავლო წლიდან სკოლების გეგმაზომიერად და ორგანიზებულად გადაყვანას ახალი სასწავლო პროგრამებით სწავლაზე, უზრუნველყოს სტაბილური სასკოლო სახელმძღვანელოების დროულად მომზადება პროგრამების მტკიცე შესაბამისობით;

— საფუძვლად მიიღოს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის და პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის მიერ მომზადებული რეკომენდაციები სკოლების სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესახებ;

— მხედველობაში მიიღოს, რომ სკოლის სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს სავალდებულო საათების შემდეგ მაქსიმალურ რაოდენობას შრომასა, ფიზიკურ კულტურასა და ხელოვნებაში მეცადინეობის ჩათვლით:

I—IV კლასისათვის—24—27 საათი კვირაში;
V—X კლასისათვის—33 საათი კვირაში;

იმისათვის, რომ გაღრმავდეს მოსწავლეთა ცოდნა ფიზიკა-მათემატიკურ, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, აგრეთვე განვითარდეს მათი მრავალმხრივი ინტერესი და ნიჭი,—უფლება მიანიჭოს სკოლებს აწარმოონ, VII კლასიდან დაწყებული, ფაკულტატური მეცადინეობა მოსწავლეთა არჩევანით. ახალი სასწავლო გეგმებით ასანაზღაურებელი საათების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მოქმედი სასწავლო გეგმებით დადგენილი საათების რაოდენობას:

— სასწავლო მეცადინეობის ჩატარების პირობების გაუმჯობესების მიზნით, დააწესოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში კლასების შემდეგი ზღვრული შევსება I—VIII კლასებში—40 მოსწავლე, IX—X კლასებში—35 მოსწავლე.

— გაატაროს სოფლის საშუალო სკოლებში, რუსული ენის უკეთ შესასწავლად უახლოესი 5 წლის განმავლობაში IV—X კლასების გაყოფა ორ ქვე-ჯგუფად, სადაც მოსწავლეთა რიცხვი 25-ს აღემატება;

— გააუმჯობესოს სკოლის მუშაობა იმ მხრივ, რომ ჩაუნერგოს მოსწავლეებს შეგნებული დისციპლინა და კულტურა, მიაღწიოს ყველა მოსწავლის სანიმუშო ყოფა-ქცევას, გადააქციოს ყოველი სკოლა მისი მოქმედების რაიონის ყველა ბავშვთა აღმზრდელობითი მუშაობის მაორგანიზებელ ცენტრად; მიაღწიოს იმას, რომ სკოლების დირექტორები და მასწავლებლები მტკიცე მოთხოვნებს უყენებდნენ მოსწავლეებს და ამავე დროს იჩენდნენ მათდამი პატივისცემას;

— შემოიღოს სკოლების შტატში ბავშვებთან კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორის თანამდებობა (სკოლის დირექტორის მოადგილის უფლებით), ნაცვლად დირექტორის მოადგილის თანამდებობისა საწარმოო სწავლების დარგში. ამ თანამდებობათა დასაკავებლად შეარჩიოს ფართო საერთო ჰორიზონტის და პედაგოგიური ცოდნის მქონე კვალიფიციური სპეციალისტები უპირატესად ისეთ პირთაგან, რომლებსაც აქვთ პედაგოგიური და კლასგარეშე მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება;

— რესპუბლიკაში დაგროვილი დადებითი გამოცდილების გათვალისწინებით, ნება დართოს გაიხსნას ცალკეულ შემთხვევებში სკოლები და კლასები, რომელთა IX—X კლასებში იწარმოებს გამოთვლითი ტექნიკის, ფიზიკისა და რადიოელექტრონიკის, ქიმიისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ქიმიური ტექნოლოგიის, ბიოლოგიისა და აგრობიოლოგიის, ჰუმანიტარული და სხვა საგნების ღრმა თეორიული და პრაქტიკული შესწავლა;

— მიიღოს აქტიური მონაწილეობა სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მუშაობაში, რათა შემუშავდეს მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის გაუმჯობესების, მოსწავლეთა ცოდნის ხარისხისათვის სკოლების ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებანი, აგრეთვე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა მედლებით დაჯილდოების ახალი დებულება;

— მიიღოს ზომები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, რათა უსწრაფესად შეიქმნას და გამოიცეს საჭირო რაოდენობის მაღალხარისხოვანი სტაბილური სახელმძღვანელოები; დამხმარე და მეთოდური სახელმძღვანელოები მასწავლებლებისათვის და ჩააბას ამ საქმეში წამყვანი მეცნიერები და გამოცდილი მასწავლებლები; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმას, რომ შედგენილ და გამოყენებულ იქნას პლაკატები, ალბომები, დიაფილმები და სხვა მასალები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა კომუნისტური მორალის, მსოფლიოს ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობისა და ძმური სოლიდარობის დანერგვა მოსწავლეებში;

— მიიღოს ზომები საქართველოს პროფსაბჭოსთან, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტთან და საზოგადოება „ცოდნასთან" ერთად, რათა გაუმჯობესდეს პედაგოგიური ცოდნის ბეჭდვითი და ზეპირი პროპაგანდა მოსახლეობაში, შეიქმნას სკოლებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში პედაგოგიური ცოდნის ლექტორიუმები;

— დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი, რათა უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული სასწავლო პროცესში კინო, ტელევიზია და სხვა ტექნიკური საშუალებანი, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ ამ საქმეში განათლების ორგანოებს;

—იმისათვის, რომ სახელმწიფო დახმარება გაეწიოს მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილ და მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებს განათლების მიღებაში, დააწესოს კონტინგენტი მომავალი ხუთწლედისათვის ჩვეულებრივი ტიპის სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში 1965 წლის დონეზე. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კონკრეტული წინადადებანი იმის შესახებ, რომ გაფართოვდეს ნერვიულ, გონებრივად და ფიზიკურად ნაკლებად განვითარებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებისა და აგრეთვე სატყეო სკოლა სანატორიუმების ქსელი.

3. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა:

— ვინაიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განვითარების თანამედროვე ეტაპი დაბეჯითებით მოითხოვს სკოლებისადმი ხელმძღვანელობის მეცნიერული და ორგანიზაციული დონის ამაღლებას, სახალხო განათლების ორგანოების მუშაკთა შემადგენლობის განმტკიცებას, დახმარება გაუწიონ სახალხო განათლების განყოფილებებს იმ მხრივ, რომ დააწინაურონ ინსპექტორულ სამუშაოზე სკოლების ავტორიტეტიანი ხელმძღვანელები, მასწავლებლები და სპეციალისტები, რომლებმაც კარგად იციან სკოლის საქმე და უნარი შესწევთ გაავრცელონ მოწინავე მასწავლებელთა დადებითი გამოცდილება, უზრუნველყონ ისინი საჭირო ტრანსპორტით, შეუქმნან სათანადო პირობები მასწავლებელთა წარმატებით მუშაობისათვის, სისტემატურად აამაღლონ მათი კვალიფიკაცია, ამასთან აუცილებლივ შეასრულონ კანონი განათლების მუშაკთა შრომის დაცვის, შეღავათებისა და უპირატესობათა შესახებ, გამუდმებით იზრუნონ მასწავლებლის ავტორიტეტის ამაღლებისათვის, უფრო სწორად გამოიყენონ მათი შრომა;

— არასწორად ჩაითვალოს პრაქტიკა, როდესაც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სასწავლო მეცადინეობის დროს იყენებენ სასოფლო-სამეურნეო და სხვა სამუშაოებზე, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს სწავლების ხარისხსა და მოსწავლეთა ჯანმრთელობას, ამიერიდან კატეგორიულად აკრძალონ მოსწავლეთა, სკოლების მასწავლებელთა და ხელმძღვანელთა მოცდენა ისეთი სამუშაოებისათვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც არ არის დაკავშირებული მათს პირდაპირ მოვალეობასთან;

— გააძლიერონ მომთხოვნელობა სახალხო განათლების განყოფილებებისადმი, სკოლების დირექტორებისადმი, კომკავშირული, ფიზკულტურული ორგანიზაციებისადმი, და არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციებისადმი მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და თავდაცვითი სასპორტო მუშაობის დონის ამაღლებისათვის.

4. დაევალოთ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს:

— უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახონ საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელება, ძირითადად 1970 წელს, ხოლო ამ ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად სავსებით დაამთავრონ საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების განხორციელება;

— მოსწავლეთა აღზრდისა და მატერიალური ბაზების განმტკიცების საქმეში აქტიური დახმარების გაწევის მიზნით, ყოველმხრივ გააძლიერონ სკოლებზე საშეფო მუშაობა;

— უზრუნველყონ საწარმოებისა და დაწესებულებების მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუდმივი ურთიერთობა იმ სკოლებთან, სადაც მათი მუშაკების შვილები სწავლობენ, დაინტერესდნენ ოჯახში მოსწავლეთა აღზრდის პირობებით, შემოიღონ ბავშვთა აღზრდის საკითხების განხილვა პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ კრებებზე, აქტიურად დაეხმარონ ოჯახსა და სკოლას ბავშვების აღზრდაში, ზემოქმედება მოახდინონ იმ მშობლებზე, რომლებიც დაუდევრად ეკიდებიან ამ საქმეს.

— შექმნან სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და ორგანიზაციებში ოჯახისა და სკოლის ხელშემწყობი კომისიები ან საბჭოები;

—მოსწავლეთა პოლიტექნიკური სწავლების გაუმჯობესების და საზოგადოებრივ სასარგებლო შრომისათვის მათი მომზადების მიზნით, ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ სკოლებს მოსწავლეთა

შრომითი აღზრდის მოწყობაში, სისტემატურად ჩაატარონ რვაწლიან და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაცია იმ ანგარიშით, რომ გაეცნონ ისინი სახალხო მეურნეობებსა და კულტურის სხვადასხვა დარგებს, საწარმოებს, კოლმეურნეობებს, დაწესებულებებს, მიაწოდონ მათ ცნობები ყველაზე გავრცელებული პროფესიების შესახებ;

— უსასყიდლოდ გადასცენ სკოლებს მოწყობილობა და მასალები, გასწიონ ზეგეგმით დაგროვებათა ანგარიშში სკოლების მშენებლობის, რემონტისა და გაწყობის ხარჯები.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სახალხო მეურნეობის წლიური გეგმის შემუშავებისას დააწესონ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მიღების კონტინგენტი იმის გათვალისწინებით, რომ დაკმაყოფილდეს ყველა დისციპლინის მასწავლებლებზე არსებული რეალური მოთხოვნილება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ დაკომპლექტებულ იქნან რესპუბლიკის შორეული რაიონების ახალგაზრდობით ის უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც პედაგოგიურ კადრებს ამზადებენ.

6. საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გააუმჯობესოს სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა, მიიღონ ზომები მათი მუშაობის ღონის ამაღლებისათვის. სკოლების კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს იდეური დაჯერებულობის, ცოდნისა და შრომისადმი სიყვარულის დანერგვა მოსწავლეებში, ინიციატივისა და დამოუკიდებლობის განვითარება მათში. შეიმუშაოს ღონისძიებანი, რათა მოეწყოს ბავშვებთან მუშაობა მათს საცხოვრებელ ადგილზე.

7. სკოლების მუშაობისათვის უფრო ხელსაყრელი მატერიალურ-ტექნიკურ პირობების შექმნის მიზნით, დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ სახმშენს და იმ სამინისტროებს, რომლებიც სამრეწველო ობიექტებისა და უწყებრივი საცხოვრებელი მასივების მშენებლობას განაგებენ, გაითვალისწინონ ამ მშენებლობათა შეჯამებული ხარჯთაღრიცხვებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების

შენობების აგება შესაბამისი დარგების კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე.

8. სამინისტროებმა და უწყებებმა ერთი თვის ვადაში წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან შეთანხმებული წინადადებანი 1967—1968 წლებში მშენებლობათა საერთო ფონდის ხარჯზე სასკოლო შენობების მშენებლობის გეგმის შესახებ.

9. დაწესდეს, რომ სკოლების მშენებლობა სოფლად უნდა ხორციელდებოდეს კომპლექსურად მასწავლებელთა ბინებთან ერთად, ხოლო რვაწლიანი და საშუალო სკოლების მშენებლობა სასკოლო ინტერნატებითაც იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც სკოლიდან დაშორებულ დასახლებულ პუნქტებში ცხოვრობენ.

10. დაევალოთ საქართველოს სსრ სახმშენს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის განმავლობაში მოამზადონ ტექნიკური დოკუმენტაცია კომპლექსურად მშენებარე დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლებისათვის, აგრეთვე სასკოლო ინტერნატების ტიპობრივი პროექტები.

11. დაწესდეს, რომ სკოლის საცხოვრებელი ფონდი ეკუთვნის სახალხო განათლების ორგანოებს და ამ ფონდში არ შეიძლება იმ პირთა ჩასახლება, რომლებიც სკოლაში არ მუშაობენ.

12. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს ყოველწლიურად გამოუყოს სასკოლო ინტერნატებისა და მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის მიზნობრივი დანიშნულებით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საჭირო სახსრები საბინაო მშენებლობისათვის გაღებულ საერთო ასიგნობათა ხარჯზე.

13. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს ერთი თვის ვადაში შეისწავლონ სოფლის რვაწლიანი და საშუალო სკოლების გამსხვილების, მათთან სასკოლო ინტერნატებისა და მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საკითხი და 1967—1970 წლებისათვის ნავარაუდევი თავიანთი წინადადებანი ამ საკითხებზე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

14. მოწონებულ და ფართოდ იქნას პოპულარიზებული ქობულეთის, ბათუმის, გალის, გურჯაანის, ზუგდიდის, მახარაძის, ლანჩხუთის, თელავისა და მთელი რიგი სხვა რაიონების ძვირფასი თაოსნობა სკოლების საინიციატივო მშენებლობის დარგში. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მისცეს შესაბამისი რეკომენდაციები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აწარმოონ საკუთარი სახსრებით როგორც ახალი საინიციატივო სასკოლო მშენებლობის, ისე არსებული სასკოლო შენობების რეკონსტრუქციისა და გაფართოების სამუშაოები და 1967 წლის პირველ ნახევარში წარუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო, საგეგმო კომიტეტს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თავისი წინადადებანი 1968—1970 წლების პერსპექტიული გეგმის შესადგენად.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ სკოლების საინიციატივო მშენებლობის ფართო გაქანებასთან დაკავშირებით, გამოყონ ამ მშენებლობებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განაცხადებით მასალები და მოწყობილობა ისევე, როგორც იმ სკოლების მშენებლობისათვის, რომლებიც სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე შენდება.

16. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც სასკოლო მშენებლობას ეწევიან თავიანთი სახსრებით, განაცხადებს ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენისა და ფონდების გამოყოფის შესახებ გაუგზავნიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს არაცენტრალიზებულ სასკოლო მშენებლობაზე საერთო განაცხადების წარსადგენად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისათვის.

17. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ:

— გაითვალისწინოს საპროექტო-საძიებო სამუშაოთა 1967 წლის გეგმით რაიონების მოთხოვნები, რომ მომზადდეს საჭირო ტექნიკური რეკომენდაცია გამსხვილებულ სკოლებთან სასკოლო ინტერნატების მშენებლობისათვის.

— 1967 წლის I ივლისისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სასკოლო ინტერნატების მშენებლობის 1968—1970 წლები, პერსპექტიული გეგმა.

— ცალკე გაითვალისწინოს საინიციატივო სასკოლო მშენებლობა, რომელიც არაცენტრალიზებული სახსრებით ხორციელდებას და დროზე უზრუნველყოს ეს მშენებლობანი ტექნიკური დოკუმენტაციით.

18. ვინაიდან იზრდება სკოლების საინიციატივო მშენებლობა და რეკონსტრუქცია, მკვეთრად მატულობს სკოლა-ინტერნატების მშენებლობის მოცულობა და საჭიროა სკოლების გამსხვილება სოფლის მცირეკომპლექტიანი სკოლების ლიკვიდაციის ხარჯზე. ნება დაერთოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკურ საპროექტო კანტორას აწარმოოს 150 ათას მანეთამდე ღირებულების სასკოლო შენობების რეკონსტრუქციისა და მინაშენების დაპროექტება, ამასთან დაეკისროს მას აღნიშნული კატეგორიის შენობებისათვის ტიპობრივი პროექტების მორგების ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება.

19. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, განათლების, სასოფლო მშენებლობის სამინისტროებმა და საქართველოს სსრ სახმშენმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მშენებლობის ხარისხს, რომლებიც კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების საწარმოებისა და დაწესებულებების თაოსნობით შენდება.

20. იმ მიზნით, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს სკოლების მომარაგება ინვენტარითა და ავეჯით, კომისიამ ამხანაგების ნ. გ. გომელაურის (თავმჯდომარე), თ. ვ. ლაშქარაშვილის, თ. კ. ქუთათელაძის, ა. ვ. ფირცხალავას და ვ. ნ. ვარაზაშვილის შემადგენლობით:

— შეისწავლოს საკითხი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს წინადადება სასკოლო ავეჯის დამამზადებელი ფაბრიკის გაფართოებისა და ახალი ტექნიკით აღჭურვის შესახებ.

— განსაზღვროს 1967—1970 წლებისათვის სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა ავეჯით მომარაგების გეგმა, ამასთან ახალი სკოლების მოთხოვნებთან ერთად, გაითვალისწინოს ამორტიზებული ინვენტარის შეცვლა სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მოთხოვნით.

21. დაევალოს საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მკვეთრად გააუმჯობესოს სკოლების, საბავშვო ბაღებისა და ბაგებისათვის გამოშვებული ინვენტარის და ავეჯის ხარისხი, არ დაუშვას უხარისხო და არასტანდარტული პროდუქციის დამზადება და გაცემა, 1967 წლის დამლევამდე აითვისოს ახალი მერხებისა და სხვა ინვენტარის მასობრივი წარმოება სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ტექნიკური ესთეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თბილისის სპეციალური სამხატვრო საკონსტრუქტორო ბიუროს იმ ნიმუშების მიხედვით, რომლებიც მოწონებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ.

22. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს განიხილონ ეს დადგენილება მიმდინარე წლის პირველ კვარტალში და განახორციელონ ამ დადგენილებით დასახული პრაქტიკული ღონისძიებანი.

* * *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მოუწოდებენ რესპუბლიკის ყველა პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციას შეუსუსტებელი ყურადღება და მზრუნველობა გამოიჩინონ სკოლების მიმართ და ახსოვდეთ, რომ ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომი განვითარება მთელი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის საქმეა.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე |
| **ვ. მჟავანაძე** | **გ. ჩოგოვაძე** |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაოთა მიმდინარეობას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი მაღალხარისხიანობა და დადგენილ სიმძლავრეთა დაწესებულებებში გადაცემა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის ხარისხს, რომლებიც კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოო დაწესებულებების თაოსნობით შენდება;

მ) შეისწავლონ მცირეკომპლექტიანი დაწყებითი სკოლების, სოფლის რვაწლიანი და საშუალო სკოლების გამსხვილების, მათთან სასკოლო ინტერნატებისა და მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საკითხი და 1967—1970 წლებისათვის ამ საკითხზე ადგილობრივ აღმასკომებთან და სამეურნეო ორგანიზაციებთან შეთანხმებული ნავარაუდევი წინადადებანი ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს;

ნ) შეისწავლონ 1968—1970 წლებში რომელი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, წარმოება-დაწესებულებების ხარჯზე რა სიმძლავრის სკოლები იქნება აშენებული;

ო) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით სკოლების დაკომპლექტების საქმეს. სკოლების დირექტორებად და მათ მოადგილეებად სასწავლო მუშაობის დარგში შეარჩიონ და დააწინაურონ ისეთი მუშაკები, რომლებსაც შესწევთ უნარი მაღალ დონეზე წარმართონ პედაგოგიური კოლექტივების საქმიანობა; სისტემატურად იზრუნონ მასწავლებელთა თეორიული ცოდნის ამაღლებისა და მეთოდური დახელოვნებისათვის;

პ) სკოლებში ბავშვებთან კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორების თანამდებობაზე შეარჩიონ ფართო ჰორიზონტისა და პედაგოგიური განათლების მქონე კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ პედაგოგიური და კლასგარეშე მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება.

2. სკოლების (დ. ჯავახია), საგეგმო-საფინანსო (ა. კვაჭაძე) სამმართველოებმა და კადრების განყოფილებამ (ი. კვაჭაძე) შეიმუშაონ საყოველთაო ათწლიან სწავლებაზე ძირითადად 1970 წლისათვის გადასვლის გეგმა, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შესაფერისი მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით, უფროს პიონერხელმძღვანელებითა და აღმზრდელებით დაკომპლექტების საჭიროების გათვალისწინებით.

3. სკოლების (დ. ჯავახია), სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების (ვ. ჩინჩლაძე) და საგეგმო-საფინანსო (ა. კვაჭაძე)

სამმართველოებმა გააანალიზონ უკანასკნელი წლების მანძილზე მოსწავლეთა კონტინგენტის მოძრაობა რესპუბლიკის თითოეულ სკოლაში, რაიონსა და ქალაქში და გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის;

4. სკოლების სამმართველომ:

ა) მიიღოს ზომები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სასკოლო ინტერნატების, გახანგრძლივებული დღის რეჟიმის სკოლებისა და ჯგუფების ქსელისა და კონტინგენტის განვითარების გეგმის შესასრულებლად. იზრუნოს სკოლების, სასკოლო ინტერნატების, გახანგრძლივებული დღის რეჟიმის სკოლებისა და ჯგუფების მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და მათში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის;

ბ) მოამზადოს წინადადებანი სკოლებში პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პედაგოგიური ხელმძღვანელობისა და მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ;

გ) შეისწავლოს და ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებანი რესპუბლიკის რამდენიმე სკოლაში დამატებით საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული და ესთეტიკური ციკლის საგნების გაძლიერებული სწავლების შემოღების შესახებ.

5, საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (რ. კანდელაკი) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იმ ახალგაზრდების სწავლებაში ჩაბმას, რომელთაც არა აქვთ რვაწლიანი განათლება და უფრო ფართოდ ჩააბას კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, წარმოება-დაწესებულებანი საღამოს სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცება-შექმნის საქმეში.

6. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ვ. ჩინჩალაძე):

ა) საგეგმო-საფინანსო სამმართველოსთან ერთად დააზუსტოს სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების, 1967—1968 სასწავლო წლის ქსელისა და კონტინგენტის გეგმა და წარმოადგინოს კოლეგიაზე დასამტკიცებლად მიმდინარე წლის 25 აპრილამდე:

ბ) კაპიტალური მშენებლობის განყოფილებასთან ერთად შეისწავლოს სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების შესაფერისი შენობებით, წყლით, ელექტრო-ენერგიითა და საინჟინერო გარეკომუნიკაციებით უზრუნველყოფის საკითხი და წარმოადგინოს სათანადო წინადადებანი;

გ) გონებრივად ჩამორჩენილ და სხვა ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვებში საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელებისათვის შეადგინოს სპეციალური სკოლა-ინტერნატების ქსელის გაფართოებისა და მათთან მუშაობის გაუმჯობესების პერსპექტიული გეგმა და დასამტკიცებლად წარუდგინოს განათლების სამინისტროს კოლეგიას მიმდინარე წლის 5 ივნისამდე;

დ) სადირექტივო ორგანოებში წარსადგენად მოამზადოს წინადადებანი სკოლა-ინტერნატებში მშობელთა ზედამხედველობას მოკლებულ ბავშვებზე საბავშვო სახლებში არსებული შეღავათების გასავრცელებლად.

7. მეთოდურმა განყოფილებამ (ვ. ცაავა):

ა) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ახალ უნიფიცირებულ სახელმძღვანელოებზე, პროგრამებსა და სასწავლო გეგმაზე გადასვლასთან დაკავშირებით შეიმუშაოს რესპუბლიკის სკოლების ახალ პროგრამებზე, სახელმძღვანელოებსა და სასწავლო გეგმებზე თანდათანობით გადასვლის გეგმა და მიმდინარე წლის 25 ივლისამდე განსახილველად წარუდგინოს განათლების სამინისტროს კოლეგიას;

ბ) შეიმუშაოს რეკომენდაციები ფაკულტატური მეცადინეობის ჩატარებისა და ორგანიზაციისათვის;

გ) სკოლების სამმართველოსთან ერთად მოამზადოს საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული ციკლის საგნების გაძლიერებული სწავლების სკოლებისა და კლასების დებულების პროექტები, სასწავლო გეგმები და პროგრამები.

8. სახელმძღვანელოების განყოფილებამ (გ. ტყემალაძე):

ა) უზრუნველყოს ახალი და გადამუშავებული სახელმძღვანელოების თარგმნა და დროულად გამოცემა;

ბ) გამოაცხადოს კონკურსი სრულყოფილ ორიგინალურ სახელმძღვანელოების შესაქმნელად;

გ) შეადგინოს დამხმარე, მეთოდური და სასკოლო მხატვრული ლიტერატურის სერიული გამოცემის თემატიკური გეგმა.

9. სპორტისა და ფიზიკური აღზრდის განყოფილებამ (ი. ბაცელაშვილი): განსაზღვროს სხვადასხვა ტიპის სკოლებისათვის სპორტული ინვენტარისა და მოწყობილობის სახეები და განსახილველად წარუდგინოს განათლების სამინისტროს ხელმძღვანელებს.

10. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (გ. აბდუშელიშვილი) საბავშვო ბაღის აღსაზრდელების სკოლისათვის უკეთ მომზადებისა და მათი ფიზიკური და მორალური აღზრდის გაუმჯობესებისათვის გადასინჯოს არსებული პროგრამა და თავის წინადადებანი 15 მაისამდე წარმოადგინოს კოლეგიაზე განსახილველად.

11. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ს. არველაძე):

ა) უზრუნველყოს სკოლები, მისი კაბინეტ-ლაბორატორიები ახალი ნიმუშის დგამ-ავეჯით, თვალსაჩინოებით, ხელსაწყო-იარაღებითა და სხვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით;

ბ) მოამზადოს წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად სასწავლო მოწყობილობებითა და ახალი ნიმუშის ავეჯით სკოლების უზრუნველყოფის მიზნით თბილისში სპეციალური ქარხნის აშენების შესახებ;

12. საგეგმო საფინანსო განყოფილებამ (ა. კვაჭაძე):

ა) 1968 წლისა და შემდგომი წლების ბიუჯეტის განხილვისას გაითვალისწინოს საჭირო ასიგნობანი იმ სოფლების არარუსული სკოლების რუსული ენის მასწავლებელთა შრომითი ანაზღაურებისათვის, სადაც განზრახულია კლასების ორ ჯგუფად გაყოფა;

ბ) დააზუსტოს იმ დაწყებითი სკოლების ქსელი, რომელთა მეოთხე კლასებში 1967—1968 სასწავლო წლიდან შესაძლებელი იქნება საგნობრივი სისტემის შემოღება.

13. მეთოდურმა განყოფილებამ (ვ. ცაავა) და ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა (გ. ფოფხაძე) განახორციელონ ღონისძიებანი სკოლებისა და განათლების სხვა დაწესებულებათა ხელმძღვანელობის მეცნიერული ზონის ამაღლებისათვის.

დაამუშაონ და უმოკლეს დროში გამოსცენ მეთოდური მითითებანი მოსწავლეებთან კლასგარეშე და სკოლისგარეშე დარგში მუშაობის ორგანიზატორების დასახმარებლად.

14. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ახალ სასწავლო გეგმაზე, პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლასთან დაკავშირებით, დაამუშაოს საერთანადო მითითებანი, რეკომენდაციები და შეადგინოს მეთოდური სახელმძღვანელოები მასწავლებელთა დასახმარებლად.

15. ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო კვლევითმა (ამხ. გ. ფოფხაძე) და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა (ამხ. თ. ზახაშვილი) გააძლიერონ მეთოდური მუშაობა მასწავლებლებისა და განათლების დარგის სხვა მუშაკებთან მოწინავე პედაგოგთა საქმიანობის შესწავლისათვის, განაზოგადონ და დანერგონ იმ სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილება, რომლებმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში.

16. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) საყოველთაო საშუალო სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით გააანალიზოს საგანგებო ღონისძიებანი საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული ციკლის საგნების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

17. ეთხოვოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ახალ სასწავლო გეგმაზე, პროგრამებზე და სახელმძღვანელოებზე გადასვლასთან დაკავშირებით 1968 წლიდან რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მოაწყოს საშუალო სკოლების მათემატიკის, ქიმიის, ფიზიკის, ზოგად ბიოლოგიისა და სხვა საგნის მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები.

18. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ნ. მიქელაძე):

ა) სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში მუშაობის უკეთესი პირობების შექმნისა და სკოლების ახალ სასწავლო გეგმასა და პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით, დააზუსტოს და მნიშვნელოვნად გააფართოოს სკოლებისა და სხვა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების ტიპიური პროექტების ნომენკლატურა და წარუდგინოს საქართველოს სსრ სახმშენს;

ბ) შეიმუშაოს სათანადო გეგმა და მიიღოს ზომები სკოლებისა და სასკოლო ინტერნატების მშენებლობების იმ რაიონებში გასაშლელად, სადაც გათვალისწინებულია მცირეკომპლექტიანი

სკოლების ლიკვიდაცია საშუალო სკოლების გამსხვილებასთან დაკავშირებით, საგეგმო-საფინანსო სამმართველოსაგან წარმოდგენილი მასალების საფუძველზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ზომები მიიღოს სათანადო ტექნიკურ დოკუმენტაციათა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომიტეტში სათანადო განაცხადის წარდგენით, სამშენებლო მასალებით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და წარმოება-დაწესებულებათა საინიციატივო სასკოლო მშენებლობების უზრუნველსაყოფად;

დ) სოფლად სკოლების მშენებლობისას გაითვალისწინოს საცხოვრებელი სახლები მასწავლებელთათვის დაშვებული ლიმიტების ფარგლებში;

ე) მკაცრი კონტროლი დააწესოს განათლების ობიექტების მშენებლობის ხარისხზე და საექსპლოატაციოდ არ მიიღოს დაუმთავრებელი და დეფექტებით შესრულებული შენობები.

19. გაზეთ „სახალხო განათლებისა" და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხები.

20. ეს ბრძანება განხილულ იქნეს რესპუბლიკის სკოლების პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე და დაისახოს საჭირო ღონისძიებანი სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

21. მიღებული იქნეს ცნობად, რომ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის № 874 დადგენილება „საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ" განხილულ იქნა რესპუბლიკის ყველა რაიონისა და ქალაქის მასწავლებელთა იანვრის თათბირებზე, რომლებზედაც დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

1967 წლის 23 იანვარს ამავე საკითხზე ჩატარდა რესპუბლიკის განათლების ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. მჟავანაძის მონაწილეობით.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 17 მარტის დადგენილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 28 მარტის ბრძანება № 419

## ბოდბის სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ბოდბის სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობასა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, დარღვევებსა და დანაშაულებრივი ხასიათის ქმედებებს.

შენობა-ნაგებობანი და გარე კომუნიკაციები არ არის წესრიგში მოყვანილი, სასწავლო კორპუსის გარე ფასადი და კედლები შეულესავია, აგურით ნაშენი კედლები იფხვნება და ნგრევას განიცდის, შენობის „კარნიზებიდან" წყალი ასველებს შიგა კედლებს. საძინებელი კორპუსის კარ-ფანჯრები უხარისხოდაა გაკეთებული, შიფერის უვარგისობის გამო სახურავიდან წყალი ჩამოდის, ხშირად გამოდის მწყობრიდან ცენტრალური გათბობის სისტემა, კანალიზაცია და შესაცვლელია პირსაბნები. დღემდის არ არის შესრულებული განათლების სამინისტროს 1966 წლის 25 ნოემბრის ბრძანება № 1324, რომლის მიხედვით სველ წერტილებში უნდა შეცვლილიყო „უნიტაზები" თურქული „ჩაშკებით". ხშირად ითიშება ელექტროდენი, რის შედეგადაც წყდება წყლით მომარაგება და ფერხდება სამზარეულოს მუშაობა; სკოლა-ინტერნატს არ აქვს საკმაო რაოდენობით მაგარი ინვენტარი.

სკოლა-ინტერნატში გეგმით უნდა ყოფილიყო 280 მოსწავლე, ფაქტიურად ირიცხება 254, I კლასში ნაცვლად 35-სა ირიცხება 25, V კლასში ნაცალად 35-სა—29, ხოლო VIII კლასში ნაცვლად 35-სა—21; სასწავლო წლის გავლილ პერიოდში ინტერნატიდან გასულია 24, ჩარიცხულია 12 აღსაზრდელი. მოსწავლეებს აკლიათ 33 დასახელების 822 ეგზემპლარი სახელმძღვანელო, მოუვლელია სასწავლო ნივთები და სასკოლო ინვენტარი. ნაკლები ყურადღება

ექცევა აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურებას. არ აქვთ გოგონებისა და ვაჟებისათვის ცალკე იზოლატორი, აკლიათ ზოგიერთი სახის სამედიცინო ინვენტარი. შენობა-ნაგებობებში ყველგან არ არის დაცული სანიტ-ჰიგიენური პირობები. ადგილი აქვს ბავშვთა ავადმყოფობის შემთხვევებს. სასწავლო წლის გავლილ მეოთხედებში მოსწავლეების მიერ გაცდენილია 4561 აკადემიური საათი. პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე არ იხილავენ ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობას.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს V—VII კლასების მათემატიკის მასწავლებელი ნ. ნანობაშვილი, იგი არ არის დაუფლებული მათემატიკის სწავლების მეთოდებს, VI კლასში საკონტროლო წერის დროს 34 მოსწავლიდან გეომეტრიაში ნიშანი „2“, 24 მოსწავლემ მიიღო. ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი ი. სახოგაშვილი სწავლების დროს არ იყენებს თვალსაჩინოებას, არ ატარებს პრაქტიკულ-ლაბორატორიულ მუშაობას, ლაბორატორიულ მაგიდებზე აწყვია მხოლოდ საყვავილე ქოთნები, ქიმია-ბიოლოგიაში არსებული ხელსაწყო-რეაქტივები გამოუყენებლად არის შენახული საწყობში, მიწის ნაკვეთი არაა გამოყენებული სასწავლო მიზნებისათვის.

ცუდად მუშაობს შრომის მასწავლებელი გ. ბახტურიძე, მას არ აქვს სათანადო განათლება, ვერ ერკვევა პროგრამით გათვალისწინებულ თეორიულ მასალაში. არაფერი კეთდება ლითონის დამუშავების საქმეში, გამოუყენებელია დანადგარები, სახელოსნოში არ არის შეყვანილი მაღალი ძაბვის ელექტროდენი. მოუწყობელია ჭრა-კერვისა და მეოჯახეობის კაბინეტი.

ზოგიერთ მასწავლებელს ჟურნალში არ შეაქვს გადაცემული საპროგრამო მასალა (ნ. ყენია, ნ. ნანობაშვილი, ი. სახოგაშვილი და სხვ.), ადგილი აქვს ჟურნალში ნიშნების ამოფხეკისა და გადასწორების შემთხვევებს.

IV კლასის აღმზრდელ ნ. მჭედლიშვილს არ შესწევს უნარი სათანადო სიმაღლეზე დააყენოს სწავლა-აღზრდის საქმე, იგი ვერ ერკვევა სწავლა-აღზრდის ელემენტარულ საკითხებში, ვერ სარგებლობს ავტორიტეტით აღსაზრდელთა შორის.

V და VI კლასებში არ ისწავლება სიმღერა-მუსიკა. I მეოთხედში შეფასებულ 257 მოსწავლიდან „5“-ზე ასწრებდა 35, „4“-ზე—53, ვერ ასწრებდა 21, მოსწავლეების მიერ გაცდენილი ყო 1024 აკადემიური საათი, II მეოთხედში შეფასებულ 256 მოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლიდან ვერ ასწრებდა 21 აღსაზრდელი, დაწერილი ნიშნებიც აშკარად ლიბერალურია. ამ მეოთხედში გაცდენილია 1611 გაკვეთილი. არ არის მოწესრიგებული კვირა-უქმე დღეებში მოსწავლეთა სახლებში გაშვებისა და ინტერნატში დაბრუნების საქმე.

როგორც შემოწმებამ გვიჩვენა არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა დირექტორის ყოფილი მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში თ. კოჭლამაზაშვილი, იგი ვერ ახორციელებდა კონტროლსა და დახმარებას მასწავლებელთა და აღმზრდელთა მუშაობაზე.

დოკუმენტური რევიზიით დადგენილია, რომ 1965 წელში აუთვისებელია 15841 მანეთი, 1966 წელში კი 4277 მანეთი; მოუწესრიგებელია საბუღალტრო დოკუმენტები, არაა შემოღებული საინვენტარო წიგნი; საწყობში ფეხსაცმელის და სხვა რბილი ინვენტარის შემოსავალში აღება ხდება არტიკულის, ზომის, ხარისხისა და ფასთა ჩვენების გარეშე საშუალო ფასებით; არაა დანომრილი ხელფასის უწყისები; გაუხსნელია მუშა-მოსამსახურეთა პირადი ბარათები; პროდუქტებისა და სხვა საქონლის შემოსავალში აღება ხდება მომწოდებლების საქონლის გასავლის ფაქტურების გარეშე, ბანკში გასანაღდებელი ანგარიშების საფუძველზე; საავადმყოფო ფურცლებს არ ერთვის ადგილკომის სხდომის ოქმები; მუშაკთა მივლინების დროს არ იწერება ბრძანებები; მივლინებიდან დაბრუნებული მუშაკები ზოგიერთ შემთხვევაში არ ადგენენ საავანსო ანგარიშებს; მენიუ-მოთხოვნილებით კვებაზე აყვანილ ბავშვთა რაოდენობა არ ედრება საკლასო ჟურნალებითა და დღიურებით გატარებულ ბავშვთა რაოდენობას;

1967 წლის პირველი იანვრისათვის არ ჩატარებულა სკოლა-ინტერნატის სრული ინვენტარიზაცია; პროდუქტების საწყობის ინვენტარიზაცია არცერთ თვეში არაა ჩატარებული; არაა სწორად გაანგარიშებული სამივლინებო თანხები; სალაროს ოპერაციების წარმოება ხდება თვეში ერთხელ; დაუნომრავია სალაროს წიგნი და 1966 წლის ბავშვთა შენატანების აღსარიცხავი ქვითრები. დიდი რაოდენობითაა აუთვისებელი კვების პროდუქტები: ფქვილი 548 კგ, კარტოფილი 5664 კგ, ბოსტნეული 3356 კგ, ახალი ხილი 5906 კგ და სხვ.

ადგილი აქვს ნაღდ ანგარიშებზე კვების პროდუქტების შეძენას და არ არის შედგენილი შესყიდვის აქტები; ერთდროულად მომუშავე პირებზე თანხების გაცემა წარმოებს ტვირთის გადმო-

ზიდვისათვის ხელშეკრულებების, ანგარიშ-ხელწერილებისა და ანგარიშ-ტების გარეშე. ზოგიერთ შემთხვევაში სამუშაოების შემსრულებელი მუშაკების მისამართი, პასპორტის ნომერი, თანხების გაცემის წელი და თვე არაა ფიქსირებული დოკუმენტებში; მშობელთა შენატანებიდან ბანკის გვერდის ავლით გახარჯულია 1922 მანეთი და 93 კაპიკი. 1966 წლის თებერვლის თვეში შეფმზარეულს ე. ხმალაძეს დააკლდა ინვენტარი 183 მანეთისა და 95 კაპიკის, რაზედაც დირექციამ რეაგირება არ მოახდინა; სკოლა-ინტერნატის დირექტორს გ. მათეშვილს ინტერნატისათვის განკუთვნილ ფონდირებულ მასალებიდან შესყიდული აქვს ოჯახის საჭიროებისათვის 1000 ცალი აგური, 100 კგ მავთული და 6 ტონა ცემენტი, ბუღალტერს ი. მოსულიშვილს 100 კგ მავთული, დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის დარგში თ. კოჭლამაზიშვილს 4 ტონა ცემენტი; მძღოლს დ. მჭედლიშვილს 2 ტონა ცემენტი. ასევე გაყიდულია თანამშრომლებზე ფონდირებული ქილების სახურავები 2000 ცალი და 28 კილოგრამი ბრინჯი. სამზარეულოში ადგილი ჰქონდა პროდუქტების მითვისებას, დამლაგებელ მ. ბუწაშვილს პირველი საუზმიდან წაღებული ჰქონდა 1,310 კგ კარაქი, ხოლო მეორე საუზმიდან კი საქონლის ხორცი 1,750 კგ, დამლაგებელ ა. მანგოაშვილს კაკაო ერთი შეკვრა—100 გრამი, კარაქი 250 გრამი, მასვე აღმოაჩნდა სამრეცხაოში სანაგვე ყუთში გადამალული 3 კგ მანის ბურღული, მზარეულმა გ. ოღიაშვილმა მიითვისა 800 გრამი ნამცხვარი, 2,725 კგ შაქარი. 9,180 კგ საქონლის ხორცი და სხ. პროდუქტებისა და რბილი ინვენტარის მარაგის საწყობის გამგეს ზ. აბულაშვილს გამოუვლინდა დანაკლისი 31 მანეთი და 05 კაპიკი, ხოლო ნამატი კი 36 მანეთი და 24 კაპიკი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ბოდბის სკოლა-ინტერნატის დირექტორი გ. მათეშვილი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაბალ დონეზე დაყენებისა, მასწავლებლებისა და აღმზრდელებისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისა, სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში დაშვებული დარღვევებისა, კვების ბლოკის მუშაკთადმი სუსტი კონტროლისა და ფონდირებული სამშენებლო მასალის პირად სარგებლობაში გამოყენებისათვის განთავისუფლდეს სამუშაოდან.

2. სკოლა-ინტერნატის დირექტორის ყოფილ მოადგილეს სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის დარგში თ. კოჭლამაზაშვილს

(რომელიც ამჟამად მუშაობს ზემო ბოდბის რვაწლიანი სკოლის დირექტორად) სასწავლო აღმზრდელობით მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისა და სკოლა-ინტერნატიდან ფონდირებული საამშენებლო მასალების პირადი სარგებლობის მიზნით გამოყენებისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

3. მათემატიკისა და ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლებს ნ. ნანობაშვილსა და ი. სახოგაშვილს, საგნის სწავლების დაბალ დონეზე დაყენებისათვის მიეთითოთ.

4. დაევალოს რაიონის განათლების განყოფილებას (გამგე ე. დალაქიშვილი) ბოდბის სკოლა-ინტერნატის I კლასის მასწავლებელი ა. ალიმბარაშვილი და IV კლასის აღმზრდელი, ე. მჭედლიშვილი ახალი სასწავლო წლიდან გამოიყენოს სხვა სამუშაოზე და შრომის მასწავლებელი გ. ბახტურიძე, როგორც ამ სამუშაოსათვის შეუფერებელი, გაათავისუფლოს სათანადო წესების დაცვით.

5. უფროსი ბუღალტერი ი. მოსულიშვილი საფინანსო საქმიანობაში დარღვევების დაშვების, არასწორი საბუღალტრო ოპერაციების, ფონდირებული მასალების პირადი სარგებლობის მიზნით გამოყენებისა და თანამშრომლებზე გაცემისათვის, თანხების ბანკის გვერდის ავლით ხარჯვისა და პროდუქტების ნაღდ-ანგარიშზე შეძენისათვის განთავისუფლდეს სამუშაოდან.

6. დირექტორის თანაშემწე სამეურნეო დარგში ს. ბენაშვილი სავაჭრო ორგანიზაციებიდან საქონლის უფაქტოროდ შემოზიდვისა და სუსტი მუშაობისათვის განთავისუფლდეს სამუშაოდან.

7. შეფმზარეული ე. ხმალაძე სამზარეულოში მომხდარი ქურდობის, ინვენტარის დანაკლისებისა და იმის გამო, რომ ის ვერ იმსახურებს, როგორც მატერიალურად პასუხისმგებელი პირი ნდობას, განთავისუფლდეს სამუშაოდან.

8. პროდუქტებისა და რბილი ინვენტარის საწყობის გამგე ზ. აბულაშვილი საწყობში შექმნილი მეტნაკლებობისა და რბილი ინვენტარის არტიკულის, ზომის, ხარისხისა და ფასის გარეშე შემოსავალში აღებისათვის განთავისუფლდეს სამუშაოდან.

9. სარევიზიო აქტში აღნიშნული ნამეტი აღებული იქნას შემოსავალში ღირებულებით, ხოლო დანაკლისები დაეწეროს მატერიალურ პასუხისმგებელ პირებს ასანაზღაურებლად.

10. მიღებული იქნას ცნობად, რომ სამზარეულოში ქურდობისათვის მზარეული გ. ოღიაშვილი, დამლაგებლები მ. ბუწაშვილი და ა. მანგოშვილი მოხსნილი არიან სამუშაოდან შემოწმების პე-

რიოდში, ხოლო პასუხისმგებელ მორიგე აღმზრდელს ბ. ზედელა-შვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

11. დაევალოს კადრების განყოფილებას (უფროსი ი. კვაჭაძე) სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოსთან ერთად სასწრაფოდ წარმოადგინოს აღნიშნულ სკოლა-ინტერნატში განთავისუფლებულ მუშაკთა შემცვლელი კანდიდატები.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 24 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 1 აპრილის ბრძანება № 452

## სამტრედიის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

როგორც სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, სამტრედიის რაიონის ზოგიერთი შემოწმებული სკოლის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებები შეინიშნება.

მასწავლებელთა ერთ ნაწილს არა აქვს სათანადო განათლება, ვერ ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს, არ მუშაობს თავის თავზე, არ იმაღლებს კვალიფიკაციას, დაბალ იდეურ-თეორიულ დონეზე ატარებს გაკვეთილებს, ვერ იჩენს მკაცრ და სამართლიან მოთხოვნას მოსწავლეთა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის გამოსამუშავებლად, რის შედეგადაც სუსტია მოსწავლეთა მომზადება ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში.

სკოლის დირექტორები და მათი მოადგილეები ღრმად ვერ სწვდებიან მასწავლებელთა მუშაობას და საქმიან მითითებებს არ აძლევენ მათ. ვერ რაზმავენ პედაგოგიურ კოლექტივებს, რომ ისინი მთელი მონდომებით მუშაობდნენ სკოლის წინაშე დასმული სადღეისო ამოცანების გადასაწყვეტად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი სამტრედიის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ დამტკიცდეს.

2. სამტრედიის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. ჯ. ძნელაძე):

ა) სამტრედიის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ განათლების სამი-

ნისტროს სკოლების სამმართველოს ბრიგადის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი განიხილოს სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი მასში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად,

ბ) აღნიშნული მოხსენებითი ბარათი, განათლების განყოფილების წარმომადგენლის მონაწილეობით, განიხილოს რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. დასახოს და განახორციელოს ღონისძიებანი ამ სკოლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

გ) გადამჭრელი ზომები მიიღოს სკოლების სასწავლო კაბინეტებისა და ლაბორატორიების მოსაწყობად, ხელსაწყო-იარაღებით, რეაქტივებით მათ შესავსებად და სწავლებაში მაქსიმალურად გამოსაყენებლად;

დ) ქმედითი ზომები მიიღოს მოსწავლეთა ცოდნის დონის მკვეთრად ასამაღლებლად და მათი ცოდნის ლიბერალური შეფასების სალიკვიდაციოდ;

ე) ახალი სასწავლო წლისათვის გადასინჯოს სკოლის დირექტორებისა და სასწავლო მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილეების შემადგენლობა და ისინი, რომლებიც ვერ ართმევენ თავს მათზე დაკისრებულ მოვალეობას, შეცვალოს უფრო ენერგიული და საქმის მცოდნე მუშაკებით;

ვ) ამიერიდან არ დაუშვან დირექტორებად და დირექტორის მოადგილეებად სასწავლო მუშაობის დარგში ერთი და იგივე სპეციალობის მუშაკების დანიშვნა, ხოლო ამათ მიმართ, რომლებიც მუშაობენ, გაატაროს საჭირო ღონისძიება პირველ შესაძლებლობისთანავე მათი გადაჯგუფებისათვის;

ზ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მასწავლებელთა მეთოდურ დახელოვნებას, მათი პროფესიული, იდეური, თეორიული მომზადების დონის მკვეთრ ამაღლებას, ქმედითი კონტროლი განახორციელოს, რომ მასწავლებლები სისტემატურად კითხულობდნენ პოლიტიკურ, მეცნიერულ, მხატვრულ, მეთოდურ ლიტერატურას და პედაგოგიურ ჟურნალ-გაზეთებს;

თ) გააძლიეროს სკოლების ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა პირადი პასუხისმგებლობა მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

ი) უზრუნველყოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის კურსებზე მოხსენე-

ბით ბარათში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებლების გაგზავნა;

ლ) სასწავლო წლის ბოლოს შეისწავლოს მოხსენებით ბარათში აღნიშნული სუსტად მომუშავე სკოლების ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა მუშაობა და იმ მუშაკების მიმართ, რომლებიც სათანადო დასკვნებს არ გააკეთებენ და რადიკალურად არ გარდაქმნიან მუშაობას, დააყენოს საკითხი, არსებული წესის დაცვით, მათი სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ.

3. თანახმად შეთანხმებისა, კორმაღლის საშუალო სკოლის დირექტორის შ. ჯოგლიძის და დირექტორის მოადგილის სასწავლო მუშაობის დარგში მ. ნიკოლეიშვილის საკითხი განსახილველად გადაეცეს საქართველოს კპ სამტრედიის რაიკომს.

4. სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საქმისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის სტურუას სახელობის კულაშის საშუალო სკოლის დირექტორ გ. შენგელიას, დირექტორის მოადგილეებს სასწავლო მუშაობის დარგში მ. კანდელაკს და პ. გალდავას, ქ. სამტრედიის მესამე საშუალო სკოლის დირექტორს ს. ნინუას და იანეთის საშუალო სკოლის დირექტორ დ. ლეკვეიშვილს გამოეცხადოთ საყვედური.

5. კორმაღლის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელ ი. თევზაძეს, გაკვეთილების მოუმზადებლად ჩატარებისა და მოსწავლეთა სუსტი მომზადებისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური. გაფრთხილებული იქნას, თუ იგი ყოველდღიურად და გულმოდგინედ არ იმუშავებს თავისთავზე და არ უზრუნველყოფს საგნის სწავლების ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებას, განთავისუფლებული იქნება თანამდებობიდან.

6. გაფრთხილებულ იქნან რუსული ენის მასწავლებლები ვ. მაღლაკელიძე (სამტრედიის მესამე საშ. სკოლის) ვ. სანიკიძე, მ. ფაღავა (სტურუას სახ. კულაშის საშ. სკოლა), ნ. კობიაშვილი (იანეთის საშ. სკოლა), შ. თევზაძე, კ. თევზაძე (კორმაღლის საშ. სკოლა), გ. ნაფეტვარიძე, ა. ნაცვლიშვილი (ბაშის საშ. სკოლა), თუ ისინი არ ჩაებმებიან უმაღლეს დაუსწრებელ სწავლებაში და არ უზრუნველყოფენ ენის დაუფლებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, განთავისუფლებულ იქნებიან თანამდებობიდან.

7. კორმაღლის საშუალო სკოლის მასწავლებელ მ. ამაღლობელს, იანეთის საშუალო სკოლის მასწავლებელ ნ. ვაჩიბერიძეს ახალი სასწავლო წლიდან მიეცეთ არითმეტიკის გაკვეთილები მხოლოდ I—IV კლასებში.

8. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის მანწავლებლებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში ე. კალანდარაშვილს, ლ. კახნიაშვილს, ლ. ნიკოლეიშვილს (სტურუას სახელობის კულაშის საშ. სკოლა), ვ. გოგუაძეს (კორმაღლის საშ. სკოლა), მ. გვარამაძეს (იანეთის საშ. სკოლა), მათემატიკაში ნ. ფანცულაიას (კორმაღლის საშ. სკოლა) ვ. თვალავაძეს, ნ. გერაძეს, ლ. კაშიას (ბაშის საშ. სკოლა), გ. ლეკვეიშვილს (იანეთის საშ. სკოლა); ფიზიკაში ლ. ბრეგვაძეს (კორმაღლის საშ. სკოლა), ნ. კახაძეს (იანეთის საშ. სკოლა), მ. მიქელაძეს (სტურუას სახ. კულაშის საშ. სკოლა); ქიმიაში კ. ვაშაკიძეს (კორმაღლის საშ. სკოლა), თ. რუხაძეს (იანეთის საშ. სკოლა), ისტორიაში ვ. თვალავაძეს (იანეთის საშ. სკოლა), ე. ხურცილავას და ლ. ჯანჯალიას (სამტრედიის მესამე საშ. სკოლა) მიეთითოთ.

9. სკოლების სამმართველომ (დ. ჯავახია) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 17 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს
ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

## მოხსენებითი ბარათი

### სამტრედიის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრიგადამ სკოლების სამმართველოს უფროსის დ. ჯავახიას (ხელმძღვანელი), სასკოლო ინსპექტორების შ. ლომიძისა და ნ. ღამბაშიძის, მეთოდისტების ნ. ჯაფარიძის, გ. გიორგობიანის, გ. ჯავახიძის, თ. ჯაფარიძის შემადგენლობით ა/წლის 19-დან 27 თებერვლამდე შეისწავლა სამტრედიის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

როგორც საკითხის შესწავლამ ცხადყო სამტრედიის რაიონში (გამგე კ. ძნელაძე) უკანასკნელ წლებში გარკვეული მუშაობაა ჩატარებული სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის გაუმჯობესებისა და მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად. მ/სასწავლო წლისათვის ექსპლოატაციაში შევიდა სტურუას სახელობის კულაშის, ქალაქ სამტრედიის მე-2 და საჯავახოს საშუალო სკოლების შენობები, კორმაღლის საშუალო სკოლის 4 საკლასო ოთახი. სწარმოებს დაფნარის 8-წლიანი სკოლისათვის 5 საკლასო ოთახის მიშენება.

განათლების განყოფილების აპარატი დაკომპლექტებულია სათანადო სპეციალობის, ცენზისა და გამოცდილების მქონე მუშაკებით. განათლების განყოფილება მუშაობს კვარტალური სამუშაო გეგმის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია რაისაბჭოს აღმასკომის მიერ. მ/სასწავლო წელს განათლების განყოფილების მიერ შესწავლილია კომპლექსურად 11 დაწყებითი, 12 რვაწლიანი და 13 საშუალო სკოლის მუშაობა. მაგრამ არ ხდება სკოლებისათვის მიცემული მითითებების შესრულების შემოწმება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამაკმაყოფილებლად მუშაობს სახალხო განათლების საბჭო. საბჭოს სხდომებზე განხილულია რაიონის საშუალო სკოლების დამამთავრებელ კლასებში ჩატარებული საკონტროლო წერების შედეგები, საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარების, ბავშვთა უზედამხედველობისა და დანაშაულებრივი მოქმედების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგებისა და სხვა საკითხები.

მონდომებით და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით მუშაობს ქ. სამტრედიის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი ქ. სტურუა, რის შედეგადაც სკოლაში სათანადო სიმაღლეზე დგას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. ასევე კარგად მუშაობს ბაშის საშუალო სკოლის დირექტორი ლ. თვალავაძე.

როგორც საკითხის შესწავლამ ცხადყო, სამტრედიის რაიონის სკოლებს ერთგვარი წარმატებები აქვთ მოპოვებული ცალკეული საგნების სწავლების საქმეში. შემოწმებული სკოლების მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი კეთილსინდისიერად, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით მუშაობს, სერიოზულად ემზადება ყოველი გაკვეთილისათვის და მოსწავლეებსაც მტკიცე და საფუძვლიან ცოდნას აძლევს. კარგად მუშაობენ მასწავლებლები დაწყებით კლასებში თ. ხუნდაძე, თ. გეფერიძე (სამტრედიის მესამე საშ. სკოლა), თ. ხუნდაძე (სამტრედიის მეორე საშუალო სკოლა), ქართულ ენასა ლიტერატურაში ე. კანდელაკი (სამტრედიის მეორე საშუალო სკოლა), მ. ნაცვლიშვილი, ლ. კაშია, (ბაშის საშ. სკოლა), ტ. ჭანჭალეიშვილი (სამტრედიის მესამე საშ. სკოლა); რუსულ ენასა და ლიტერატურაში ვლადიმერ და გალინა ნიკოლაიშვილები (სამტრედიის მეორე საშ. სკოლა), ვ. ვანჩუგოვა (იანეთის საშ. სკოლა); ფრანგულ ენაში ზ. ცაგარეიშვილი (სამტრედიის მეორე საშ. სკოლა); მათემატიკაში ე. დონდუა (სამტრედიის მეორე საშ. სკოლა), ლ. თვალავაძე (ბაშის საშ. სკოლა), თ. ტალახაძე (იანეთის საშ. სკოლა); ფიზიკაში ლ. ჭავჭანიძე (სამტრედიის მეორე საშ. სკოლა), ე. ნაფეტვარიძე (ბაშის საშ. სკოლა); ქიმიაში თ. ახობაძე (ქ. სამტრედიის მესამე საშ. სკოლა) ვ. გაგუა, ლ. ხუჭუა (სტურუას სახელობის კულაშის საშ. სკოლა), კ. სულავა (სამტრედიის მესამე საშ. სკოლა), გ. მეძმარიაშვილი (ბაშის საშ. სკოლა); გეოგრაფიაში თ. ჯავახიშვილი (სამტრედიის მეორე საშ. სკოლა), ე. სირაძე (სამტრედიის მესამე საშ. სკოლა); ისტორია—საზოგადოებათმცოდნეობაში თ. შენგელია და ნ. ნაცვლიშვილი (სამტრედიის მეორე საშ. სკოლა),

ა. ყუფარაძე (იანეთის საშ. სკოლა), ა. კუჭუხიძე (ბაშის საშ. სკოლა), პ. მიქელაძე (სტურუას სახ. კულაშის საშ. სკოლა).

ენერგიულად მუშაობენ ქ. სამტრედიის მეორე და ბაშის საშუალო სკოლების ბიბლიოთეკების გამგეები ნ. მხეიძე და თ. ზაქრაძე, ისინი ეხმარებიან მოსწავლეებს ლიტერატურის კითხვის ორგანიზაციაში, რათა მათ წარმატებით შეისწავლონ სასწავლო საგნები, აღვივებენ მოსწავლეებში წიგნისადმი ინტერესს, სათანადო ლიტერატურის შერჩევით ეხმარებიან მასწავლებლებს და პიონერ ხელმძღვანელებს კლასგარეშე კითხვის ორგანიზაციაში.

მიუხედავად აღნიშნულისა. სამტრედიის რაიონის შემოწმებული სკოლების მუშაობაში გამოვლინდა სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებები.

ნაკლოვანებებია ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში. კულაშის საშუალო სკოლის VI[4] კლასის მასწავლებელ ე. კალანდარიშვილს შემოწმების დღეს გაკვეთილად ჰქონდა გ. წერეთლის „რუხი მგელი". წინასწარი შესავლის შემდეგ მასწავლებელმა დაიწყო მოსწავლეთა გამოკითხვა, მაგრამ მათი პასუხი არ იყო' დამაკმაყოფილებელი. სუსტად იცოდნენ მოთხრობის შინაარსი, ვერ მეტყველებდნენ სწორად, უშვებდნენ ენობრივ შეცდომებს, ხშირად იმეორებდნენ სიტყვებს, უბრუნდებოდნენ გამოთქმულ აზრს. მასწავლებელი მოსწავლეებს უსწორებდა შეცდომებს, მაგრამ ყველა შეცდომის გასწორება მაინც არ ხერხდებოდა და ძნელი იყო იმის დადგენა, ხვდებოდნენ თუ არა მოსწავლეები მათ მიერ დაშვებულ შეცდომებს. კლასი საერთოდ დაბალ მომზადებას იჩენს. 37 მოსწავლიდან 11 ოროსანია.

მსგავსი მდგომარეობაა ამავე სკოლის VIII[3] კლასში (მასწ. ლ. კახნიაშვილი). არც ეს კლასია ძლიერი. მოსწავლეებს უმძიმთ დალაგებულად და თანმიმდევრულად აზრის გადმოცემა, მათი მეტყველება ღარიბია, გაუმართავია. თხრობა მონოტონური. ზეპირი მეტყველების ნაკლი თავს იჩენს მოსწავლეთა წერით ნამუშევრებშიც.

X კლასს (მასწ. ლ. ნიკოლეიშვილი) საკლასო საკონტროლო სამუშაოდ სკოლის შემოწმების დროს დაწერილი ჰქონდა თემა: „ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლ გმირთა სახეები მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის" მიხედვით". მოსწავლეთა უმრავლესობის მიერ დაწერილი თემა სათაურს არ პასუხობს, ნაცვლად მებრძოლ გმირთა დახასიათებისა, გადმოცემულია

მათ შესახებ ნაწარმოებიდან ამოღებული შესაბამისი ადგილების შინაარსი, ყოველგვარი ანალიზის გარეშე. მოსწავლეები გვერდს უვლიან თემის საკითხს, წერენ წიგნის გავლენით, ვერ ახერხებენ მთავრის გამოყოფას მეორეხარისხოვანი საკითხებიდან.

სუსტი მომზადება გამოავლინეს კორმაღლის საშუალო სკოლის VIII[1] კლასის მოსწავლეებმა ქართულ ენაში (მასწ. ვ. გოგუაძე) მათ გაკვეთილად ჰქონდათ რთული ქვეწყობილი წინადადება. მასწავლებლის დახმარების გარეშე თითქმის ვერც ერთი მოსწავლე ვერ ახერხებდა სწორი პასუხის გაცემას, განსაკუთრებით უძძიმდათ სასვენი ნიშნების დასმა, მთავარის გამოყოფა დაქვემდებარებული წინადადებისაგან. სინტაქსის სუსტ ცოდნასთან ერთად მოსწავლეებმა მორფოლოგიის არადამაკმაყოფილებელი ცოდნაც გამოავლინეს, მათ გაუძნელდათ სერიების მიხედვით ზმნის ფორმის ცვალებადობის გარკვევა.

მეათე კლასში (მასწ. ვ. გოგუაძე) ჩატარდა საკონტროლო წერა განვლილი მასალიდან მარტივ თემაზე—„სიმონას დახასიათება ე. ნინოშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით". წერა 11-მა მოსწავლემ (კლასში სულ 15 მოსწავლეა), მათ შორის 5-მა არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო.

ასევე საკონტროლო წერა ჩატარდა იანეთის საშუალო სკოლის (მასწ. მ. გვარამაძე) X კლასში თემაზე: „შეთქმულთა დამარცხება მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის" მიხედვით". სამუშაო შეასრულა 15 მოსწავლემ, არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 10-მა, დამაკმაყოფილებელი 3-მა და მხოლოდ ორმა „4".

სამტრედიის მე-3 საშუალო სკოლის X[2] კლასში 20 მოსწავლიდან არადამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღო 5-მა, 11-მა—„სამი" და ოთხმა „კარგი".

მე-2 საშუალო სკოლის X[1] კლასის 36 მოსწავლიდან 29-მ თემა დამაკმაყოფილებლად დაწერა, ხუთმა მიიღო—„2" და 4-მა „4".

წერითი საკონტროლო სამუშაოების ასეთი შედეგები მეტყველებს სერიოზულ ნაკლოვანებებზე მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებაში. საერთოდ შეინიშნება, რომ შესასწავლ ნაწარმოებთა ტექსტებზე მუშაობას ნაკლები ყურადღება ექცევა, რის გამო მოსწავლეები ვერ ახერხებენ ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ და შინაარსობლივ ანალიზს, სათანადოდ ვერ წვდებიან ნაწარმოების დედააზრს, მიზანდასახულებას და კმაყოფილდებიან მხოლოდ შინაარსის გადმოცემით, რ ც კონსპექტურად აქვთ შეთვისებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა მეტყველება ღარიბია, ხშირად იმეორებენ ერთსა და იმავე სიტყვებსა და წინადადებებს, უმძიმთ აზრის თანმიმდევრული გადმოცემა. წერის დროს უშვებენ მრავალ ორთოგრაფიულ, ენობრივ, პუნქტუაციურ შეცდომებს, ხშირად ეს შეცდომები მასწავლებელს შეუმჩნეველი რჩება, არადამაკმაყოფილებლად წარმოებს შეცდომების გასწორებაზე მუშაობა. მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა არ სარგებლობს ბიბლიოთეკით. მოსწავლე იშვიათად თუ დაგისახელებთ წიგნს, რომელსაც კლასგარეშე კითხულობს. ყოველივე ამის შედეგად მოსწავლეთა როგორც ზეპირი, ისე წერითი მეტყველება ტოვებს არადამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას. ამას მოწმობს ის მდგომარეობაც, რომ ჩატარებული საკონტროლო წერა, შემოწმებული სკოლების ვერც ერთმა მოსწავლემ „ხუთზე" ვერ შეასრულა.

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება.

რუსული ენისა და ლიტერატურის ზოგიერთ მასწავლებელს არა აქვს სპეციალური განათლება, სუსტად ფლობს ენას და რა თქმა უნდა არ ძალუძს მოსწავლეთა მიერ ზეპირ და წერით მეტყველებაში დაშვებული შეცდომების გასწორება. სუსტად ფლობენ რუსულ ენას ქ. სამტრედიის მესამე საშუალო სკოლის III—V კლასების მასწავლებელი ც. მაღლაკელიძე, სტურუას სახელობის კულაშის საშ. სკოლის მასწავლებელი ვ. სანიკიძე, მ. ფალავა, იანეთის საშ. სკოლის მასწავლებელი ნ. კობიაშვილი, კორმაღლის საშუალო სკოლის მასწავლებლები შ. თევზაძე, კ. თევზაძე, ბაშის საშუალო სკოლის მასწავლებლები გ. ნაფეტვარიძე, პ. ნაცვლიშვილი. ისინი მეტყველების დროს უშვებენ უხეშ შეცდომებს, ვერ სვამენ სწორად მახვილს, დამახინჯებულად გამოთქვამენ წინადადებებს, გაკვეთილზე მოსწავლეებთან უფრო მეტად ქართულ ენაზე საუბრობენ, სათანადოდ ვერ ასწორებენ საკონტროლო წერის რვეულებს. მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში გაუსწორებლადაა დატოვებული მრავალი შეცდომა. გრამატიკას ასწავლიან ლიტერატურული მასალისაგან მოწყვეტით. საჭირო ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეთა მიერ მასალის შეგნებულად შესწავლას, გაკვეთილებს ატარებენ თვალსაჩინოების გარეშე, არადამაკმაყოფილებლად აწარმოებენ სალექსიკონო მუშაობას, რის შედეგად მოსწავლეები რუსული ენის სუსტ ცოდნას ამჟღავნებენ, დამახინჯებულად კითხულობენ, არასწორად გამოთქვამენ სიტყვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთოდური დახელოვნება ესაჭიროება ქ. სამტრედიის მესამე და მეორე საშუალო სკოლის მასწავლებლებს ნ. ჭანტურიას და ნ. ახალაძეს.

სამტრედიის მესამე საშუალო სკოლის ფრანგული ენის მასწავლებლები ც ნიკურაძე და ლ. შანიძე დამაკმაყოფილებლად ფლობენ საგანს. მაგრამ იმის გამო, რომ აკლიათ მეთოდური დახელოვნება, ვერ აღწევენ სასურველ შედეგს. ისინი გაკვეთილებზე კმაყოფილდებიან ტექსტის წაკითხვით და თარგმნით, სწავლებაში არ იყენებენ (გარდა მეხუთე კლასისა) თვალსაჩინოებას, დაფასაც კი იშვიათად იყენებენ, არ აწარმოებენ ტექსტის ახსნით კითხვას. საჭირო ყურადღება არ ექცევა სალექსიკონო მუშაობას და ზეპირი მეტყველების განვითარებას. ამის შედეგია ის, რომ VI და VIII კლასების მოსწავლეებმა ვერ შესძლეს პასუხის გაცემა ისეთ მარტივ კითხვებზე, როგორიცაა: რა ჰქვია, რა გვარის არის და რამდენი წლისაა? მაშინ, როდესაც კითხულობენ და თარგმნიან სახელმძღვანელოში მოცემულ საკმაოდ რთულ ტექსტებს. არ არის დამაკმაყოფილებელი მოსწავლეთა კითხვის ტექნიკა. ისინი უხეშ შეცდომებს უშვებენ ცალკეული ბგერების წარმოთქმაში, აღლვევენ კითხვის წესებს, არ იცავენ რითმულ ჯგუფებს, ბგერების გადაბმას და ინტონაციას.

სამტრედიის რაიონის შემოწმებული სკოლების დაწყებითი კლასების ნაწილში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ისწავლება არითმეტიკა. მასწავლებლები დ. ფარცხალაძე, თ. ყუფარაძე (სამტრედიის მესამე საშ. სკოლა), მ. ამაღლობელი (კორმაღლის საშ. სკოლა) სასკოლო სახელმძღვანელოსაც კი ვერ ფლობენ. სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საკონტროლო და საშინაო წერით მუშაობას. მოსწავლეთა ნამუშევრებში გვხვდება ამოფხეკა, ციფრების გადასწორება, ციფრების არამართებულად დაწერა. შეცდომების გასწორებაში კვლავ შეცდომების დაშვება და მოუთმენელი უსუფთაობა.

ზოგიერთ სკოლაში მათემატიკის სწავლებას სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს. მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ მუშაობს თავის თავზე, არ ემზადება გაკვეთილებისათვის, სწავლებაში არ იყენებს აქტუალურ მეთოდებს და ხერხებს.

სუსტად ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს იანეთის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ნ. ვაჩიბერიძე, იგი ვერ ახერხებს კლასის ჩაბმას მუშაობაში, V კლასში გაკვეთილ-

ზე ვერ შესძლო საშინაო დავალების შემოწმება და მოსწავლეთა მიერ შეცდომების გასწორება. უსისტემოდ დაიწყო ახალ მასალაზე გადასვლა, რიცხვის ათწილადის პოვნისათვის. მასწავლებელს მაგალითები სათანადოდ არ ჰქონდა შერჩეული. მის მიერ მოტანილი მაგალითები ერთი და იგივე ტიპის იყო. მასწავლებელი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას. კლასს სრულიად არ მისცა დამოუკიდებელი სამუშაო. მოსწავლეებმა არ იციან გავლილი მასალა, სახელდობრ, მოქმედებანი ნატურალურ რიცხვებზე, რიცხვთა გაყოფადობის ნიშნები, ერთმანეთში ურევენ მარტივ და შედგენილ რიცხვებს, ვერ იყენებენ არითმეტიკულ მოქმედებათა წესებს, შეკრების და გამრავლების კანონებს ზეპირი და წერითი ანგარიშისათვის. ვერ შესძლეს მარტივი მაგალითის 27·5·3·2+ +125+190+175=? ზეპირი ანგარიშის წესის გამოყენებით გადაწყვეტა. სუსტი წარმოდგენა აქვთ წილადური რიცხვების შესახებ. არ იციან წილადების გაერთმნიშვნელიანება, მოქმედებანი წილადებზე და სხვ. მასწავლებელი ნ. ვაჩიბერიძე არ არის უმაღლესი განათლებით და არ შეუძლია ასწავლოს არითმეტიკა V კლასში, ასევე არ შეუძლია ასწავლოს არითმეტიკა V კლასში კორმაღლის საშუალო სკოლის მასწავლებელ გ. ამაღლობელს (დამთავრებული აქვს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი განათლების ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება). მასწავლებელმა ვერ შესძლო ამოეხსნა ამოცანა—„ძმა სკოლამდე მისვლას უნდება 30 წუთი, და კი 40 წუთი, რამდენ ხანში დაეწევა ძმა დას, თუ სახლიდან და 5 წუთით ადრე გავიდა“. ამგვარად მ. ამაღლობელი ვერ ფლობს მე-5 კლასის არითმეტიკის კურსს.

სუსტად ფლობს საგანს ბაშის საშუალო სკოლის VIII კლასის მასწავლებელი ვ. თვალავაძე. იგი უშვებს არსებითი ხასიათის შეცდომებს. ხმარობს არა სწორ გამოთქმებს. გაკვეთილი „გვერდების შეფარდებისა და მახვილი კუთხის სიდიდეს შორის შესაბამისობა მართკუთხა სამკუთხედში“—მასწავლებელმა „ახსნა“ იმდენად ბუნდოვანად, რომ კლასმა ვერ გაიგო რაზე ჰქონდა მას საუბარი, მან ვერ შესძლო კლასისათვის ეჩვენებინა, რომ ექვსი ძირითადი შეფარდების სიდიდე, რომელიც მართკუთხა სამკუთხედში მიიღება, დამოკიდებულია მისი კუთხის სიდიდეზე. მასწავლებელი არ ასწორებს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს მაგ. მოსწავლეები განმარტავენ „სიდიდით განსხვავებულ ნაკვთებს მსგავსი ნაკვთები ეწოდებაო“ და სხვ.

მოსწავლეებმა არ იციან გავლილი მასალა. წარმოდგენა არ აქვთ მონაკვეთების შეფარდებასა და პროპორციაზე. არადამაკმაყოფილებელი მომზადება გამოამჟღავნეს ალგებრაში ამავე სკოლის VI, VII კლასების (მასწავლებლები ნ. ბერაძე, და კ. კაშია) მოსწავლეებმა. VI კლასის მოსწავლეებმა არ იციან მოპირდაპირე რიცხვების განმარტება და თვისებები, ერთმანეთში ურევენ მოპირდაპირე და შებრუნებული რიცხვების ცნებას. ვერ ახერხებენ რიცხვთა ღერძზე რაციონალური რიცხვების შეკრების და გამოკლების ილუსტრაციას და სხვა.

VII კლასის მოსწავლეებს არა ზუსტი წარმოდგენა აქვთ განტოლებისა და იგივეობის, ტოლფასი განტოლებების, განტოლებათა ამოხსნის და მისი ფესვების შესახებ, ვერ წერენ პირველი ხარისხის ერთუცნობიან განტოლებას. მიცემული გამოსახულებიდან $ax=b$ ვერ შესძლეს x-ის განსაზღვრა.

ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს სამტრედიის III (მასწავლებლები თ. ალავიძე და ა. ვაშაკიძე), II (მასწავლებელი ა. კიღურაძე) და კორმაღლის (მასწავლებელი ნ. ფანცულაია) საშუალო სკოლების V—VIII კლასების მოსწავლეებმა.

ცუდი შედეგები გვიჩვენა დამამთავრებელ VIII და X კლასებში ჩატარებულმა საკონტროლო წერებმა მათემატიკაში. იანეთის საშუალო სკოლის (მასწავლებელი გ. ლეკვეიშვილი) X კლასში არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 17-დან—14-მა. კორმაღლის საშუალო სკოლის VIII კლასში (მასწავლებელი გ. გიორგაძე) 16-დან —12-მა. კულაშის საშუალო სკოლის X კლასში (მასწავლებელი ს. კვაბზირიძე) 31-დან—14-მა მოსწავლემ. ანალოგიური მდგომარეობა იყო სამტრედიის მესამე საშუალო სკოლის X კლასში (მასწავლებელი ე. გულდედავა). სათანადო სიმაღლეზე არ დგას მოსწავლეთა საშინაო, საკლასო და საკონტროლო წერითი მუშაობის საქმე კორმაღლის საშუალო სკოლის V და VI კლასებში (მასწავლებლები მ. ამაღლობელი, ნ. ფანცულაია) V კლასში არითმეტიკის საკონტროლო წერისათვის 17/I და 1/II-ს შერჩეულია ადვილი და ერთი და იგივე ტიპის ამოცანები და მაგალითები. მასწავლებელი არ ატარებს შემაჯამებელ საკონტროლო წერებს. VI კლასშიც თემატიკა სწორად არ არის შერჩეული და ნამუშევრები უხარისხოა. უფრო მეტიც იანეთის საშუალო სკოლის VII კლასს (მასწავლებელი გ. ლეკვეიშვილი) 7/II-ს ალგებრაში და 10/II-ს გეომეტრიაში არასწორად შედგენილი მაგალითები და ამოცანები აქვს მიცემუ-

ლი, V კლასის (მასწავლებელი ნ. ვაჩიბერიძე) სასწავლო წლის I ნახევრის საკონტროლო წერითი ნამუშევრები სკოლაში არ აღმოჩნდა.

საპროგრამო მასალის გავლის საქმეში ჩამორჩენას ადგილი აქვს იანეთის, ბაშის, კულაშის, სამტრედიის მესამე, კორმაღლის საშუალო სკოლების V—VIII კლასებში. აღნიშნული სკოლების მასწავლებლები საფუძვლიანად არ იცნობენ სასწავლო პროგრამას. კორმაღლის საშუალო სკოლის V კლასის მასწავლებელ ნ. ამაღლობელს 15 საათით ჩამორჩენა აქვს და მას მდგომარეობა ნორმალურად მიაჩნია და აცხადებს, „გასულ წელს ამ დროს უფრო უკან ვიყავი და სასწავლო წელი კარგად დავამთავრეო"?!

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებით ხასიათდება ფიზიკის სწავლება იანეთის, კორმაღლის, ვ. სტურუას სახელობის კულაშის და ქ. სამტრედიის მესამე საშუალო სკოლებში.

მოუმზადებლად და თვალსაჩინოების გამოყენების გარეშე ატარებს გაკვეთილებს იანეთის საშუალო სკოლის IX—X კლასების ფიზიკის მასწავლებელი ნ. კახაძე, მან IX კლასში ბოილ-მარიოტის კანონი, ხოლო X კლასში საკუთარი ელექტრომაგნიტური რხევები გამოკითხა ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე. მასწავლებელი წინა მასალის გამოკითხვას ანდომებს დიდ დროს, ხოლო ახალი მასალის ახსნას მცირე დროში, ზერელედ აწარმოებს. მან გეილუსაკის კანონი (IX კლ) თხრობით გადასცა და კანონი შეცდომით ჩამოაყალიბა, „გაზის თითოეული ერთეული მოიმატებს $\frac{1}{273}$ ნაწილით". მიღებული ფორმულიდან ყურადღება არ გაამახვილა გაზის მოცულობითი გაფართოების კოეფიციენტის ფიზიკურ შინაარსზე, მოცულობისა და ტემპერატურის გრაფიკულ დამოკიდებულებაზე. არ განუმარტა თუ ეს კანონი, როგორი გაზისათვის გამოიყენება, საერთოდ არ მისცა განმარტება იდეალური და რეალური გაზებისა. არ ამოხსნა არცერთი სახის პრაქტიკული ხასიათის ამოცანა. მოსწავლეებმა მეტად დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს. IX კლასის მოსწავლეებს წარმოდგენა არ აქვთ ერთეულთა საერთაშორისო სისტემაზე, არ იციან ნიუტონის კანონები, მსოფლიო მიზიდულობის კანონი, სხეულთა თავისუფალი ვარდნა, წონისა და უწონობის საკითხები, ხოლო X კლასის მოსწავლეებმა ვერ განმარტეს ელექტროტევადობა, პოტენციალი და პოტენციალთა სხვაობა, მაგნიტური ველის ინდუქცია, კოჭის ინდუქტივობა და მათი საზომი ერთეულები. სასწავლო კაბინეტში

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებული ხელსაწყო-იარაღები გამოუყენებელია სწავლებაში, ეროვნული
წარმოებს ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოები, არ ტარ-
დება პროგრამით გათვალისწინებული ჩათვლები. არ არის დამონ-
ტაჟებული და გამოყენებული სწავლებაში კინო და საპროექციო
აპარატები. ასევე მოუგვარებელია ელექტრული ენერგიის განაწი
ლება და გარდაქმნა მუდმივ დენად და ლაბორატორიულ და სადე-
მონსტრაციო მაგიდებთან მიყვანა.

კორმაღლის საშუალო სკოლაში უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან
ფიზიკის სწავლებისათვის მატერიალური ბაზის შექმნა-განმტკი-
ცებას, აქ ფიზიკის კაბინეტი ფაქტიურად არ არის, არსებული
ხელსაწყო-იარაღები აღრიცხვისა და განაწილების გარეშე ერთმა-
ნეთზეა დაყრილი, არ ხდება მათი გამოყენება სწავლებაში. მეტად
დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ფიზიკაში (მასწ. ლ. ბრეგვაძე)
VIII—IX კლასების მოსწავლეებმა. VIII კლასში გაკვეთილი—ტრანს-
ფორმატორი, ცვლადი დენის ძაბვის შეცვლა—არცერთმა მოსწავ-
ლემ არ იცოდა, გავლილი საპროგრამო მასალიდან არ იციან ძი-
რითადი ცნებები და დებულებები, როგორიცაა ელექტრული და
მაგნიტური ველი, ომის კანონი უბნისათვის, ჯოულ-ლენცის კანონი,
ელექტროსტატიკური ინდუქციის მოვლენა და სხვა. ვერ ადგენენ
მარტივ წრედებს და წრედში ვერ რთავენ გამზომ ხელსაწყოებს.
არ იციან ძირითად ფიზიკურ სიდიდეთა—დენი, ძაბვა, წინააღმდე-
გობა და სხვათა საზომი ერთეულები.

ნაკლოვანებებით ხასიათდება ფიზიკის სწავლება სტურუას სა-
ხელობის კულაშის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი მ. მიქელაძე),
სადაც გაკვეთილები ტარდება თვალსაჩინოების გამოყენების გარე-
შე. VI კლასში მოსწავლეები ყვებიან—„მანომეტრის“ შესახებ სა-
ხელმძღვანელოში მოცემული ტექსტის მიხედვით ზეპირად და არ
იციან როგორია ეს ხელსაწყო ან როგორ გამოიყენება იგი; ხოლო
ახალი მასალა—ჰიდრავლიკური წნეხი მასწავლებელმა ახსნა აღწე-
რით და არ უჩვენა პრაქტიკულად მისი მოქმედება. აღნიშნული
კლასის მოსწავლეები დაბალ მომზადებას ამჟღავნებენ ფიზიკაში.
მათ არ იციან წნევა, მისი ფიზიკური შინაარსი, მოცულობის და
ფართობის საზომი ერთეულები, მათი ურთიერთ გარდაქმნა, ზიარ-
ჭურჭლის კანონი ერთგვაროვანი და არაერთგვაროვანი სითხეები-
სათვის და სხვ.

ქ. სამტრედიის მესამე საშუალო სკოლაში უპასუხისმგებლოდ
ეკიდებიან ფიზიკის სწავლების საქმეს. სკოლაში არ არის ფიზიკის

წამყვანი მასწავლებელი, ფიზიკის საათები დაქუცმაცებულია 4 მასწავლებელს შორის, მათ შორის სამი შემცვლელია. მოსწავლეები მეტად დაბალ მომზადებას ამჟღავნებენ ფიზიკაში. VIII კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ა. ვაშაკიძე) ვერ განსაზღვრეს ენერგიის მუდმივობის კანონი, ვერ დაასახელეს ელექტრული ენერგიის საზომი ერთეულები, ვერ ხსნიან მეტად მარტივ ამოცანებს გამტართა პარალელური შეერთების შემთხვევისათვის.

X კლასის მოსწავლეებმა საკონტროლო წერის დროს მეტად დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს; 20 მოსწავლის ნამუშევრიდან 16-მა არადამაკმაყოფილებელი შეფასება დაიმსახურა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში სათანადო პირობებია შექმნილი ფიზიკის მატერიალური ბაზის მხრივ, იშვიათად ხდება მათი სწავლებაში გამოყენება. IX კლასში მასწავლებელმა ნ. კილასონიამ ახალი მასალა —ნივთიერების კუთრი სითბოტევადობის განსაზღვრა, ზეპირად გადასცა მაშინ, როდესაც გაკვეთილის პრაქტიკულად ჩატარებისათვის ყველა საშუალება არსებობდა. მოსწავლეები გავლილი მასალის მეტად დაბალ ცოდნას ამჟღავნებენ. ისინი ვერ ასხვავებენ: სხეულის წონას და მასას, კუთრ წონას და სიმკვრივეს, სითბოტევადობას და კუთრ სითბოტევადობას—ასევე მათ საზომ ერთეულებს, ვერ ერკვევიან ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში და სხვ.

ქ. სამტრედიის მესამე, სტურუას სახელობის კულაშის და კორმაღლის საშუალო სკოლებში დაბალ დონეზე დგას მოსწავლეთა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა. არ სწარმოებს მოსწავლეთა მიერ თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადება, არცერთი სახის წრე არ არის შექმნილი ფიზიკაში, ფიზიკის კაბინეტი არ არის სათანადოდ მოწყობილი, სათანადო ყურადღება არ ექცევა ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებას, არ სწარმოებს ხელსაწყოთა ზუსტი აღრიცხვა და საინვენტარო, საკატალოგო წიგნში გატარება. კაბინეტების შევსება არ ხდება გეგმაზომიერად. არ სწარმოებს ლაბორატორიული სამუშაოებისათვის და პრაქტიკუმებისათვის საჭირო ხელსაწყოთა კომპლექტების შეძენა. არ არის ცალკე ფიზიკის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანება და ნაკლებად ტარდება მეთოდური მუშაობა.

ნაკლოვანებებით ხასიათდება ქიმიის სწავლება კორმაღლისა და იანეთის საშუალო სკოლებში. კორმაღლის საშუალო სკოლის (მასწავლებელი ვ. ვაშაკიძე) X კლასის მოსწავლეებმა ძველი მასალა ორგანული ქიმიიდან მტკიცედ არ იციან—ვერ ახერხებენ ეთილის

სპირტისაგან ალდეჰიდის მიღების რეაქციის ტოლობის დაწერას. არ იციან ფორმალდეიდის ფიზიკური თვისებები. გაკვეთილზე ეროვნული ბიბლიოთეკა კლასში დაფასთან გამოძახებულ მოსწავლეს ამოახსნევინა ამოცანა, მაგრამ ამოხსნისას ვერ გაითვალისწინა მოსწავლემ და არც მასწავლებელმა მიუთითა ამოხსნა მარტივი გზით.

ახალი მასალა—„წყლის გასუფთავება". ექსპერიმენტის ჩატარების ტექნიკა ვერ იყო სათანადო დონეზე—ფილტრის ქაღალდი ჯერ დაასველა წყლით და შემდეგ ჩააფინა ძაბრში. ფილტრში დარჩენილ ნალექს ფილტრატს უწოდებს მასწავლებელი.

ცნების განმარტებისათვის საჭირო იყო მასწავლებელს შაბიამნისა და ამღვრეული წყლის ნარევის გაფილტვრა და შემჩნეულის განმარტება ეწარმოებინა. უჩვენა მოსწავლეებს საპნის ქაფის წარმოქმნა გამოხდილ და ბუნებრივ წყლებში. ამ ცდის მაგიერ უმჯობესი იყო ცდის ჩატარება შაბიამნის წყალხსნარის გამოხდაზე. სამწუხაროდ ნაკლები ყურადღება ექცევა ქიმიური ნიშნების შესაბამისად გამოსახვას. სკოლას არ აქვს ქიმიის კაბინეტი, ხელსაწყოები და რეაქტივები ერთ ძალზე პატარა ოთახშია მოთავსებული.

იანეთის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელმა VII კლასში ახალი მასალის—„წყლის შედგენილობა" ახსნის დროს დაუშვა არაზუსტი გამოთქმები: „წყლის შემადგენლობაში არის ორი ატომი წყალბადი და ერთი ატომი ჟანგბადი", ცნების მართებულად გაცნობისათვის კი საჭირო იყო განემარტა, რომ „წყლის მოლეკულა შედგება წყალბადის ორი ატომისა და ჟანგბადის ერთი ატომისაგან". ახალი მასალის ათვისების გასარკვევად დასმულ კითხვებზე მოსწავლეებს გაუძნელდათ პასუხის გაცემა.

X კლასში გაკვეთილზე ჩატარებული ცდები ვერ განიმარტა შესაფერისად: გლუკოზაში ჰიდროქსილის ჯგუფების აღმოსაჩენად ასახელებს სპილენძის ჰიდროჟანგს, სპირტში ჰიდროქსილის აღმოსაჩენად ასახელებს ლაკმუსს, სპირტში ნახშირორჟანგის აღმოჩენისათვის მიუთითებს სპირტის დულილს (ფიზიკურს და არა ბიოლოგიურ დულილს), საქაროზის ჰიდროლიზისათვის ხსნარს ამატებს მარილმჟავას და გოგირდმჟავას, დიფუზორს უმართებულოდ უწოდებს ინფუზორს. სასწავლო კაბინეტში შეიმჩნევა რეაქტივების და ჭურჭლის სიმცირე.

ძალზე ცუდადაა დაყენებული ისტორიის სწავლება კორმაღლის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი ი. თევზაძე ვერ ფლობს საგანს, არ მუშაობს თავისთავზე. მასწავლებელი გაკვეთილზე უშვებს უხეშ მეცნიერულ-ფაქტობრივ შეცდომებს, ვერ არკვევს ფაქტებს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, ახალი მასალის ახსნისას არ იცავს თანმიმდევრობას. მოსწავლეებმა გავლილი საპროგრამო მასალის უცოდინარობა გამოამჟღავნეს.

ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს იანეთის საშუალო სკოლის VII კლასის (მასწ. ვ. თვალავაძე) მოსწავლეებმა. სსრ კავშირის ისტორიიდან ვერაფერი თქვეს აღმოსავლეთ სლავების, კიევის რუსეთის, რუსი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების ბრძოლების შესახებ თათარ-მონღოლთა შემოსევის წინააღმდეგ, რუსი ხალხისა და ბალტიისპირეთის ხალხების გმირული ბრძოლის შესახებ გერმანელ და შვედ ფეოდალთა წინააღმდეგ; რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოქმნისა და განმტკიცების თაობაზე და ა. შ.

არადამაკმაყოფილებელი მომზადება გამოამჟღავნეს სტურუას სახელობის კულაშის საშუალო სკოლის (მასწავლებელი პ. გალდავა) IX კლასის მოსწავლეებმა საქართველოს ისტორიაში. ქ. სამტრედიის მე-3 საშუალო სკოლის (მასწავლებლები ე. ხურცილავა და ლ. ჯანჯალია) მოსწავლეებმა. ბაშის საშუალო სკოლის VI კლასის ისტორიის მასწავლებელი გ. ბაშალეიშვილი არ აწარმოებს განმეორებას, ამიტომ მოსწავლეებმა შესწავლილი ისტორიული ფაქტები, მოვლენები და თარიღები არ იციან. კორმაღლის, იანეთის, ბაშის, ქ. სამტრედიის მე-3 საშუალო სკოლებში ისტორიის სწავლებაში არაა გამოყენებული ისტორიული რუკები და სხვა დიდაქტიკური მასალა, მოუწყობელია ისტორიის კლასკაბინეტები, სრულიად უგულებელყოფილია სამხარეთმცოდნეო მუშაობა.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელებას ზოგიერთ სკოლაში. სტურუას სახელობის კულაშის საშუალო სკოლიდან განთესილია 10 მოსწავლე, მათ შორის 5 ნაადრევად გათხოვების გამო, კორმაღლის საშუალო სკოლიდან სწავლას ჩამოცილებულია ერთი ბავშვი.

იანეთის, კორმაღლის და სტურუას სახ. კულაშის საშუალო სკოლების მასწავლებლები ნაკლებად კითხულობენ პოლიტიკურ, მხატვრულ, მეთოდურ და მეცნიერულ ლიტერატურას. აღნიშნული სკოლების მასწავლებლების უდიდესი ნაწილი სრულებით არ სარგებლობს სასკოლო ბიბლიოთეკებში არსებული ლიტერატურით. ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდი დაულაგებელი და მოუვლელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალობების მიხედვით არასწორად არიან შერჩეული სკოლის დირექტორები და დირექტორის მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში. უმრავლეს შემთხვევაში ისინი ერთი და იგივე ან მონათესავე სპეციალობის არიან. მაგ. ქ. სამტრედიის პირველი, სტურუას სახელობის კულაშის, ღანირის საშუალო და ჭაგნის, ტოლების რვაწლიანი სკოლების დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში ისტორიკოსებია, ქვემო ნოღის საშუალო სკოლაში—გეოგრაფებია, წიაღუბნის რვაწლიან სკოლაში—ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტებია, ქ. სამტრედიის მე-3, მკურნალის სახელობის კულაშის, კორმაღლის საშუალო და დაბლა გომის, ოქტომბრის სახელობის ჯიხაიშის რვაწლიან სკოლებში—ქართული ენისა და ლიტერატურის და ისტორიის სპეციალისტები არიან და ა. შ.

პედაგოგიური თვალსაზრისით გაუმართავად არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი კორმაღლის, იანეთის, ბაშის, სტურუას სახელობის კულაშის საშუალო სკოლებში. ზოგიერთი დღეები გადატვირთულია ძნელად ასათვისებელი საგნებით, ზოგიერთი კი პირიქით, ორი და სამ-საათიანი სასწავლო დისციპლინები ცხრილში ინტერვალის გარეშეა მოთავსებული, ერთფეროვანი საგნები ცხრილში ერთმანეთის მიყოლებითაა მოქცეული, ძნელად ასათვისებელი და ერთსაათიანი დისციპლინები მე-6 გაკვეთილებზეა გადატანილი, იანეთის საშუალო სკოლის X კლასებში ადგილი აქვს მათემატიკის საათების დაწყვილების შემთხვევას, ხოლო ბაშის საშუალო სკოლაში რუსული ენის საათების დაწყვილების შემთხვევას.

კორმაღლის, იანეთის, სტურუას სახელობის კულაშის ქ. სამტრედიის მესამე საშუალო სკოლებში გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება პედაგოგიური საბჭოების მუშაობა. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე სასწავლო მეოთხედში ჩატარებული მუშაობის შეჯამებისას არ არის გაანალიზებული ფაქტიური მდგომარეობა, არ ვლინდება ცალკეული მასწავლებლებისა და კლასის ხელმძღვანელების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები, არ ისახება კონკრეტული ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად და არ ხდება მიღებული დადგენილებების შესრულების შემოწმება. პირველი და მეორე მეოთხედების ბოლოს კორმაღლის საშუალო სკოლის პედაგოგიურ საბჭოებზე ნაცვლად მეოთხედებში ჩატარებული მუშაობის ღრმა ანალიზისა, მოცემულია კლასის ხელმძღვანელების ანგარიშის დამტკიცება და სხვა ტექნიკური საკითხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იანეთის საშუალო სკოლაში პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ფიზიკის, გერმანული ენისა და ზოგადი ბიოლოგიის მასწავლებლებს უსაყვედურეს თუ რატომ დაუწერეს „4“ სამ მოწინავე მოსწავლეს, რომელთაც დანარჩენ 14 საგანში „ხუთები“ აქვთ, რაც მცდარი და მიუღებელია. ასევე მცდარად უსაყვედურებენ იმ მასწავლებლებს, რომელთა გამოისობითაც მოსწავლეს მხოლოდ ერთ საგანში აქვს არადამაკმაყოფილებელი შეფასება.

სტურუას სახელობის კულაშის საშუალო სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე ლაპარაკია მასწავლებელთა უდისციპლინობაზე, რომ „მასწავლებელთა ერთი კატეგორია დაგვიანებით შედის გაკვეთილებზე“, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ზოგჯერ პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე საკითხები ღრმად და საფუძვლიანი შესწავლის გარეშე—ზერელედ არის გამოტანილი. მაგ. სამტრედიის მესამე საშუალო სკოლის 1966 წლის 31 ოქტომბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განხილულია ფიზიკის სწავლების საკითხი და აღნიშნულია, რომ ფიზიკის სწავლება მოწოდების სიმაღლეზეა დაყენებული. მაშინ, როდესაც სკოლაში ფიზიკის სწავლების საქმე მეტად სავალალო მდგომარეობაშია. ასევე 3/X-ს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განხულულია I—VI კლასებში არითმეტიკის სწავლების მდგომარეობის საკითხი ისე, რომ ამ რიცხვისათვის დირექტორსა და მის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში არითმეტიკის არცერთი გაკვეთილი არ აქვთ მოსმენილი. სტურუას სახელობის კულაშის საშუალო სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე 11 XII-ს მოსმენილია საკითხი I—X კლასებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ, აღნიშნულია, რომ პროგრამული მასალის გავლაში ჩამორჩენას ადგილი არ აქვს, მაშინ როდესაც ამ დროისათვის V—VIII კლასებში 9—10 საათითაა ჩამორჩენა.

კორმაღლის, იანეთის, სტურუას სახელობის კულაშისა და ქ. სამტრედიის მე-3 საშუალო სკოლების საკლასო ჟურნალებში ჩანაწერები ხშირად ძალზე უსუფთაოდაა გაკეთებული, საკლასო და მოსწავლეთა ყოფაქცევისა და აკადემიური წარმატების ჟურნალებში ადგილი აქვს მეოთხედური, წლიური და საგამოცდო შეფასების ნიშნების გადასწორების, ამოფხეკის ფაქტებს, საკლასო ჟურნალებში არ შეაქვთ საკონტროლო წერის თემები და ნიშნები. ზოგჯერ ადგილი აქვს ერთ დღეს ერთდაიგივე კლასში ორი საკონტროლო წერის ჩატარების შემთხვევებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის ადმინისტრაციის და მთელი პედაგოგიური კოლექტივის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის დამადასტურებელ ფაქტად ისიც საკმარისია, რომ შემოწმებული სკოლების ნაწილმა სასწავლო წლის პირველი ნახევარი დაბალი მაჩვენებლებით დაამთავრეს. სტურუას სახელობის კულაშის საშუალო სკოლაში 1070 შეფასებული მოსწავლიდან ვერ ასწრებს 216, ქ. სამტრედიის მესამე საშუალო სკოლაში 759-დან—98, იანეთის საშუალო სკოლაში 334-დან—40. მოუთმენელ ლიბერალიზმს აქვს ადგილი მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში კორმაღლის, სტურუას სახელობის კულაშის, იანეთის და ქ. სამტრედიის მესამე საშუალო სკოლებში. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მეორეწლიან მოსწავლეთა შორის მუშაობა. სტურუას სახელობის კულაშის საშუალო სკოლაში ვერ ასწრებს 20, ქ. სამტრედიის რუსულ საშუალო სკოლაში 14 მეორე წლიანი მოსწავლე, სულ' რაიონში ვერ ასწრებს 65 მეორეწლიანი მოსწავლე.

დიდია მოსწავლეთა მიერ არა საპატიო მიზეზით გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა. სასწავლო წლის პირველ ნახევარში გაცდენილია სტურუას სახ. კულაშის საშუალო სკოლაში—3352, კორმაღლის საშუალო სკოლაში—1126 გაკვეთილი.

კორმაღლის (დირექტორი შ. ჯოგლიძე), იანეთის (დირექტორი დ. ლეკვეიშვილი), სტურუას სახელობის კულაშის (დირექტორი ნ. შენგელია), ქ. სამტრედიის მე-3 (დირექტორი ს. ნინუა) საშუალო სკოლებში სერიოზული ნაკლოვანებანი შეინიშნება სასკოლო მუშაობის დაგეგმვის საქმეში. სკოლის წლიურ გეგმებში კონკრეტულად არ არის ჩამოყალიბებული სასწავლო-აღმზრდელობითი ხასიათის უმნიშვნელოვანესი საკითხები. იშვიათად არის გათვალისწინებული საგნების სწავლების, საპროგრამო მასალის გავლისა და ათვისების ხარისხის, სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენების, მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის ამაღლების, იდეური და ესთეტიკური აღზრდის შესწავლა და განხილვა. როგორც ჩანს გეგმები ფორმალურად იხილება პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე. იგი არ წარმოადგენს პედაგოგიური კოლექტივების შემოქმედებითი ძიებით შექმნილ სასკოლო დოკუმენტს.

არადამაკმაყოფილებლად არის შედგენილი აგრეთვე კლასის ხელმძღვანელების სამუშაო გეგმები. ისინი, არაიშვიათად ფორმალურად დგება, იმის გაუთვალისწინებლად, თუ რომელ და როგორ კლასთან უხდება მუშაობა მის შემდგენელს. როგორც ირკვევა, სკო-

ლის დირექტორები და დირექტორების მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში გულდასმით არ იხილავენ კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმებს და არ აძლევენ მათ სათანადო მითითებებს.

სუსტადაა დაყენებული შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა. ზოგიერთი სკოლის დირექტორი და დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში საჭირო ხელმძღვანელობასა და კონტროლს არ უწევენ მასწავლებლებისა და კლასის ხელმძღვანელების მუშაობას. კორმაღლის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში, მ. ნიკოლეიშვილი, რომელიც დიდიხანია მუშაობს ამ თანამდებობაზე, შეგუებულია სკოლაში არსებულ მდგომარეობას, არ მუშაობს თავის თავზე, არ იცნობს სასწავლო პროგრამებს, სახელმძღვანელოებს და განათლების სამინისტროს სახელმძღვანელო მითითებებს. მის მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზები ზერელე და არაფრის მთქმელია, მასში არ ჩანს გაკვეთილების აკადემიური, მეთოდური და იდეური მხარეები. იგი ვერ ამჩნევს გაკვეთილებზე მასწავლებლების მიერ დაშვებულ შეცდომებს და დაუმსახურებლად აქებს სუსტად მომუშავე მასწავლებლებს, რითაც ადუნებს მასწავლებელთა ყურადღებას, ხელს უშლის მათი პროფესიული დაოსტატებისა და იდეურ-თეორიული ცოდნის დონის შემდგომი ამაღლების საქმეს.

კორმაღლის საშუალო სკოლის დირექტორს შ. ჯოგლიძეს მოსმენილი აქვს მხოლოდ 30 გაკვეთილი. ანალიზები წარმოადგენს გაკვეთილების მსვლელობის აღწერას და ვერავითარ დახმარებას ვერ უწევს მასწავლებლებს შემდგომ მუშაობაში. სწორედ ამით უნდა აიხსნას ამ სკოლაში სწავლების მოუთმენლად დაბალი დონე. 1965—66 სასწავლო წლის ბოლოს საგაზაფხულო გამოცდებზე X—XI კლასების 29 მოსწავლიდან მათემატიკაში (წერა) არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 26 მოსწავლემ. სამტრედიის რაიონის განათლების განყოფილებამ სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე სპეციალურად განიხილა ამ სკოლის მუშაობის საკითხი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, მიუხედავად ამისა, ამ სკოლის ხელმძღვანელობას აქედან საჭირო დასკვნა არ გაუკეთებიათ. მასწავლებლები გულგრილად და უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას, არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის და მას დაბალ დონეზე ატარებენ. სკოლაში გამეფებულია უდისციპლინობა, პედკოლექტივში არ არის ერთსულოვნება. ასევე სუსტად ხელმძღვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელობენ მასწავლებელთა მუშაობას ვ. სტურუას სახელობის კულა-
შის საშუალო სკოლის დირექტორი ნ. შენგელია და დირექტორის
მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში მ. კანდელაკი და
პ. გალდავა, იანეთის საშ. სკოლის დირექტორი დ. ლეკვეიშვილი,
სამტრედიის მესამე საშ. სკოლის დირექტორი ს. ნინუა. შემოწმე-
ბული სკოლის დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო
მუშაობის დარგში იშვიათად ან თითქმის სრულიად არ ესწრებიან
საკონტროლო წერის გაკვეთილებს. ნაწილობრივ ამითაც აიხსნება
შემოწმებული სკოლების დიდ ნაწილში მოსწავლეთა წერითი კულ-
ტურის ეგზომ დაბალი დონე.

დ. ჯავახია
შ. ლომიძე
ნ. ლამბაშიძე
ნ. ჯაფარიძე
თ. ჯაფარიძე
გ. გიორგობიანი
გ. ჯავახიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| | | 83 |
| 1. | ბრძანება № 329—გლდანის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის სპეციალურ სპორტული საშუალო სკოლა-ინტერნატად გარდაქმნის შესახებ . . . . . | 3 |
| 2. | ბრძანება № 330—სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების 1966—1967 სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგების შესახებ . . . . . | 6 |
| 3. | ბრძანება № 354—სპორტული ბაზების კეთილმოწყობისა და მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მშენებლობის ერთთვიურის შედეგების შესახებ . . | 13 |
| 4. | ბრძანება № 360—მცხეთის, ხობის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონების სკოლამდელ თაწესებულებათა მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . | 23 |
| 5. | Указания—о проведении выпускных экзаменов на атестат о среднем образовании в общеобразовательных школах при Домах офицеров и офицерских клубах в 1966—67 учебном году . . . . . | 30 |
| 6. | ბრძანება № 383—რეპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში სამოქალაქო თავდაცვის სწავლების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . | 33 |
| 7 | ბრძანება № 414—გეგეჭკორის რაიონის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . | 39 |
| 8. | ბრძანება № 421—საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ . . . . . | 49 |
| 9. | ბრძანება № 419—ბოდბის სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . | 71 |
| 10. | ბრძანება № 452—სამტრედიის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . | 77 |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 10 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/VI-67 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5. ქაღალდის ზომა 60×84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა $6^1/_2$.

შეკვ 551. უე—09791. ტირაჟი 5000.

თბილისის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ., 19.
Тбилисская типография № 11, ул. Уш. Чхеидзе № 19.